წელიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

პარასკევი, 17 ივლისი 1931 წ. № 163(3118)

პარტიის ხაზის მტკიცედ დაცვისათვის ნაციონალურ საკითხში

პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას დღევანდელ პერიოდში წარმოადგენს გადამწყვეტი ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის დარგში და დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ნაციონალური საკითხის დარგში — ამბობდა ამხ. სტალინი პარტიის მე-16 ყრილობაზე, პარტიის მტკიცე კურსმა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ხუთწლიანი გეგმის წარმატებებმა, ხუთწლედის შესრულებამ მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში ორ ნახევარ წელში, გაამწვავეს ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლა, გააძლიერეს კაპიტალისტური მსოფლიოს მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ინტერვენციის აგენტთა მავნებელი მუშაობა და სხვა.

ჩვენი ამოცანაა მომავალში ისე, როგორც დღემდე, შეურიგებლად განვაგრძოთ ბრძოლა ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის დიდი გეგმის განხორციელებლად, გავაძლიეროთ შეტევა კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ და დავამთავროთ მიმდინარე წელს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება. არც ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ წარმატებითი ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის შეუძლებელია იმის გარეშე, თუ შეურიგებლად არ ვიბრძოლეთ პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, თუ დაუნდობლად არ გამოვამჟღავნეთ კლასობრივი მტრის აგენტები მემარჯვენეთა და „მემარცხენეთა“ ბანაკიდან, თუ გამანადგურებელი არ შევუტიეთ ე. წ. მცოცავ გადახრებს — დიდმპყრობელურ შოვინიზმს, ადგილობრივ ნაციონალიზმს და მათთან შემარიგებლობას.

ბევრი სათანადოთ ვერ აფასებს მცოცავი, გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას, რაც აშკარა შეცდომას წარმოადგენს. „ნაციონალური გადახრები ამბობდა ამხ. სტალინი მე-16 ყრილობაზე — იმდენად შესამჩნევი და შემტევნი არ არიან, როგორც „მემარცხენე“ ან მემარჯვენე გადახრა. მათ შეიძლება უწოდოთ მცოცავი გადახრები. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობდენ. არა, ისინი არსებობენ და, რაც მთავარია, იზრდებიან. ეს ეჭვს გარეშეა. ეჭვს გარეშეა, ვინაიდან კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საერთო ატმოსფერა არ შეიძლება არ იწვევდეს ერთგვარი ნაციონალური უთანხმოების რამდენადმე გამწვავებას, რასაც თავისი გამოხატულება აქვს პრაქტიკაში. ამიტომ საჭიროა გამოვააშკარაოთ და დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ამ გადახრების ფიზიონომია“.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებული მასალა პარტიის ნაციონალური ხაზის დამახინჯების შესახებ ჩვენი საბჭოთა მშენებლობის სხვადასხვა დარგში, იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად სწორია ამხ. სტალინის ზემოხსენებული დებულება იმის შესახებ რომ ნაციონალური გადახრები არავითარ შემთხვევაში არ გამქრალან, არამედ ისინი არსებობენ, იზრდებიან და იზრდებიან იმიტომ, რომ მწვავდება კლასობრივი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში.

რას გვეუბნება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალა ნაციონალურ გადახრების შესახებ? იმას რომ მთელმა რიგმა პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს თავიანთი მუშაობის გარდაქმნა. განსაკუთრებით სოფლად სოციალისტური რეკონსტრუქციის ახალ ამოცანებთან შეფარდებით ვერ დარაზმეს მშრომელთა მასები დიდმყრობელური შოვინიზმის, როგორც მთავარი საფრთხის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ვერ გაშალეს სათანადოთ პარტიულ-მასიური მუშაობა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის შესასწავლად ფართო მასების მიერ და ვერ დააყენეს სათანადო სიმაღლეზე, მასების ინტერნაციონალური აღზრდა.

ჩვენ მოწამე ვართ დიდმყრობელური შოვინიზმის გამოლაშქრების. (ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობა, ტყავის ქარხანა, ამიერ - კავკასიის რკინის გზების სამმართველო და სხვა), იმ დიდმყრობელური შოვინიზმის, რომელიც „გამოხატავს წინად გაბატონებულ ველიკორუსულ ეროვნების მომაკვდავ კლასების მისწრაფებას, რომ დაიბრუნონ დაკარგული პრივილეგიები, გვერდი აუხვიონ ნაციონალურ სხვადასხვაობას, ენის კულტურის ყოფა-ცხოვრების სხვა და სხვაობას, რომ მოამზადონ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ლიკვიდაცია, რომ ძირი გამოუთხარონ ნაციონალური თანასწორობის პრინციპებს, სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას პრესის, სკოლისა და სახელმწიფო ორგანიზაციების ნაციონალიზაციის საქმეში“ (სტალინი).

რუსული დიდმყრობელური შოვინიზმის გამომჟღავნების მხრივ საგულისხმოა ის არა ნორმალური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში. ადგილობრივ პარტიულ - პროფესიონალურ ორგანიზაციებმა პოლიტიკური სიჩლუნგისა და სიღნაღის რაიკომის სუსტი ხელმძღვანელობის გამო ალაზნის საბჭოთა მეურნეობაზე.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით აიხსნება ის, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებიდან წამოსული კულაკურ-თეთრგვარდიელი ელემენტები შეიპარენ საბჭოთა მეურნეობაში და ზოგიერთ დიდმპყრობელურ სპეციალისტებთან ერთად დაიწყეს ნაციონალური შუღლის გაღვივება, ძირითადი ეროვნების მუშების შევიწროვება,—მოინდომეს სახელის გატეხვა ნაციონალურ თანასწორობის პრინციპისათვის, — ნაციონალური ენის აბუჩად აგდება და წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა მეურნეობის სხვადასხვა ორგანიზაციების ნაციონალიზაციას.

სიღნაღის რაიონულმა კომიტეტმა და საბჭოთა მეურნეობის პარტიულ-პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა დროზე ვერ მიიღეს საჭირო ზომები საბჭოთა მეურნეობის აპარატში საქმის წარმოების ქართულ ენაზე დაყენებისათვის, ვერ გასწმინდეს აპარატი დიდმპყრობელ სპეციალისტებისაგან, რომელნიც ყოველმხრივ ავიწროვებდენ ქართველ და სომეხ მუშებს, მფარველობდენ საბჭოთა მეურნეობაში შემოპარულ კულაკურ ელემენტებს, ხელს უშლიდენ მუშათა ნაციონალურ კადრების მომზადებას, დაუნდობლად ეპყრობოდენ ახალგაზრდა სპეციალისტებს ადგილობრივ ეროვნებათაგან.

ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში ამაშფოთებელ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი, როდესაც სცემეს დიდმპყრობელმა ხულიგნებმა სომეხ მუშას, იმიტომ, რომ ის სომეხია, ცალკე შეცდომებს საბჭოთა მეურნეობის მშენებლობაში და დეფექტებს მუშათა მომარაგებაში დიდმპყრობელები იყენებდენ პარტიის ინტერნაციონალური ხაზისათვის სახელის გასატეხად და უპარტიო მუშებში ნაციონალური შუღლის გასაღვივებლად. საბჭოთა მეურნეობაში მთელი საქმის წარმოება რუსულ ენაზე სწარმოებს.

ამ მდგომარეობას ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში დაუყოვნებლივ ბოლო უნდა მოეღოს. სასწრაფოდ უნდა გაიწმინდოს როგორც მეურნეობის აპარატი, ისე მუშათა რიგები დიდმპყრობელ ელემენტებისაგან, რადიკალურად უნდა გარდაიქმნას საბჭოთა მეურნეობის პარტიულ-პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობა მასების ინტერნაციონალურად აღზრდისათვის და გადაჭრით უნდა გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობაზე სიღნაღის რაიკომის ხელმძღვანელობა პარტიის ნაციონალური პოლიტიკის სწორად გასატარებლად.

მეორე მხრივ, ჩვენ საქმე გვაქვს ადგილობრივ ნაციონალიზმის (ქართულის, სომხურის და სხვა) აქტივიზაციასთან, იმ ნაციონალიზმის, რომლის რაობა მდგომარეობს „მისწრაფებაში განთავისუფლებისაკენ,—თავის ნაციონალურ ნაჭუჭში, ჩარჩოებში ჩაკეტვისაკენ, მისწრაფებაში თავის ნაციის შიგნით კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვისაკენ, მისწრაფებაში რომ თავი დაიცვან დიდრუსულ შოვინიზმისაგან სოციალისტური მშენებლობის საერთო ნაკადიდან განდგომის გზით, მისწრაფებაში—არ იქნას დანახული ის, რაც აახლოებს, აერთიანებს საბჭოთა კავშირის ეროვნებათა მშრომელ მასებს და დანახულ იქნას ის, რასაც შეუძლია მათი ერთმანეთისაგან დაშორება... ამ გადახრის საშიშროება ისაა, რომ ის ანვითარებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ასუსტებს საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთა მთლიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციონისტებს“ (სტალინი).

იგივე ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში ადგილი ჰქონდა ქართული შოვინიზმის აშკარა ფაქტებს. მენშევიკურ-ნაციონალისტური ელემენტები ილაშქრებდენ არა ქართველ სპეციალისტების წინააღმდეგ და აგროტექნიკურ პერსონალში და ქართველ მუშების ჩამორჩენილ ფენებში ავრცელებდენ ზოოლოგიურ ქართულ შოვინიზმის ხულიგნურ ლოზუნგს „საქართველო ქართველებისათვის“.

არასახარბიელო მდგომარეობაა ქ. ქიმიურ ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, სადაც ქართულ ნაციონალიზმს საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს გადგმული. ინსტიტუტის სტუდენტთა და მასწავლებლების ნაწილმა საკითხის დასმისთანავე სასტიკად გაილაშქრა ინსტიტუტის სომხეთში გადატანის წინააღმდეგ, გააზვიადა არსებული სიძნელენი და ათასგვარი ჭორი გაავრცელა სომხეთში უმაღლესი სასწავლებლისთვის მუშაობის შეუძლებლობის და ხუათა შესახებ. ინსტიტუტის ძველი ხელმძღვანელობა არ სცნობდა არა ქართველ სტუდენტებს და ამით ჰქმნიდა პირობებს სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა დაპირდაპირებისათვის. ინსტიტუტში, დახმარებას მხოლოდ ქართველ სტუდენტებს უწევდნენ, როგორც პარტიულ, ისე სხვა კრებებზე ქართულად აკეთბდენ მოხსენებებს და არაქართველები იძულებულნი ხდებოდენ დაეტოვებიათ კრება ან არ დასწრებოდენ მას.

ქართული ნაციონალიზმის გავრცელებას ხელს უწყობდენ სამწუხაროდ ზოგიერთი უღირსი კომუნისტები, მაგ. (ამიერ-კავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს კომუჯრედის მდივანი ლომთაძე ამტკიცებდა, რომ ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა იყოს საქმის წარმოება.

ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა სწორად გატარდეს ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში პარტიის ნაციონალური პოლიტიკა, დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ მთელი რიგი დეფექტები, რომელთაც ადგილი აქვს ადგილობრივ ეროვნებათა კადრების შერჩევასა და სხვათა მხრივ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ დაწესებულებებში. უნდა ავკვეთოთ ის მდგომარეობა როდესაც მთარგმნელის უყოლობის (!) მომიზეზებით ამიერ-კავკასიის ზოგიერთი დაწესებულებები არ იღებენ ქართულ ენაზე დაწერილ მიმართვას (მაგ. „სოიუზხლები“), მაგრამ არავის ნებას არ მივცემთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, არ დაუშვებთ ფედერაციის ორგანოებისათვის სახელის გატეხვას და რკინის ზანთით ამოვწვავთ მენშევიზმის, დაშნაკიზმის და მუსავატიზმის ყოველგვარ ნაშთს.

რეკონსტრუქტიული პერიოდის თანამედროვე ეტაპი განსაკუთრებული მნიშვნელობით აყენებს ნაციონალურ საკითხში სწორი პარტიული ხაზის გატარების ამოცანას, დიდმპყრობელურ შოვინიზმის, როგორც მთავარი საფრთხის და ადგილობრივ ნაციონალიზმის წინააღმდეგ, პარტიულ მასიურ მუშაობის გაშლის, მასების ინტერნაციონალური აღზრდის ამოცანას. უნდა მივიღოთ საჭირო ღონისძიებანი საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1929 წლის ნოემბრის დადგენილების რეალიზაციისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და სამეურნეო გაძლიერების შესახებ, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშიროთ ერთმანეთს მეფის თვითმპყრობელობისა და ნაციონალისტური პარტიების ბატონობის პერიოდში ერთმანეთისაგან გათიშული ერები და ამით საბოლოო ლახვარი ჩავსცეთ სოციალისტური მშენებლობის მტერს—დიდმყრობელურ და ადგილობრივ ნაციონალიზმს.

ფინანსიური კატასტროფა გერმანიაში

ლიუტერის მარცხი ბაზელში — ბრიუნინგი გამოსავალს ეძებს

მოსკოვი, 15 ივლისი. „იზვესტია“-ს საკუთარი კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება:

„მოვლენები თავბრუდამხვევი სისწრაფით მისდევენ ერთმანეთს. რეიხსბანკის პრეზიდენტი ლიუტერი ბრუნდება ბერლინში სრული მარცხის შემდეგ, რომელიც მან განიცადა ბაზელში. საერთაშორისო ბანკმა უარი უთხრა გერმანიას ახალ კრედიტებზე, დასთანხმდა მხოლოდ წინად მიცემული 100 მილიონი მარკის კრედიტის ვადის გაგრძელებაზე მაგრამ ამ კრედიტსაც გაუვიდა ვადა და ამ მარცხს არავინ მოელოდა ბერლინის წრეებში. თუ ბაზელის ბანკმა არ შესცვალა თავისი გადაწყვეტილება, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ უცხოეთის ფინანსიური კაპიტალი გერმანიას დახმარების გარეშე სტოვებს. ას მილიონიან კრედიტის ვადის გაგრძელება მხოლოდ აუცილებელი ჟესტია, ვინაიდან გერმანია მაინც ვერ შესძლებდა ამ ვალის გადახდას ვადაზე—15 ივლისისათვის.

სარეპარაციო ბანკის მიერ გამოქვეყნებული ცნობა აშკარად აბუჩად აგდების შთაბეჭდილებას სტოვებს. თუმცა ლიუტერმა ბანკის გამგეობის სხდომაზე დაწვრილებით დაასურათა გერმანიის მდგომარეობა, ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიის ფინანსიური და სამეურნეო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია“. ამგვარი გადაწყვეტილების შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ ლიუტერს, როგორც გაზეთები აღნიშნავენ ხაზგასმით, სხდომის დარბაზიდან გასვლის დროს „მკვდრის ფერი ედო“.

შეერთებულ შტატების უშუალო დახმარების იმედების დამსხვრევის შემდეგ გერმანია იძულებულია გამოითხოვოს სარეპარაციო ბანკის დახმარების იმედებსაც.

ამ გარემოებამ აიძულა მთავრობა მიეღო განსაკუთრებული ზომები, რომლის შედეგები შესაძლოა მეტად სერიოზული დარჩეს. გამოცემულია ახალი საგანგებო დეკრეტი, რომელიც მთავრობას აძლევს ფართო უფლებას, გამოაცხადოს „უბანკო დღეები“, ე. ი. დახუროს ბანკები განსაზღვრული დროით, თავის შეხედულების მიხედვით. მთავრობაზე იქნება დამოკიდებული, თუ რომელი „სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკრედიტო დაწესებულებები უნდა დაიხუროს“. გარდა ამისა, მთავრობის უბრალო განკარგულებით დაწესდება ბანკების დახურვის იურიდიული შედეგები. ასეთი დიქტატორული რწმუნებები უფლებრივი ცხოვრების გაუარესების დარგში გერმანიის მთავრობას არასდროს არ მიუღია. ამ რწმუნებების გამოყენებას მთავრობა უკვე დღეს შეუდგა.

გამოცემული განკარგულებების თანახმად „ჯერ-ჯერობით“ ორი დღით არის დახურული ყველა ბანკები და მიმდინარე ანგარიშების შემნახველი კასები საფოსტო დაწესებულებებთან. შეწყვეტილია აგრეთვე ფოსტით გადაგზავნილი ფულების გაცემა. მუშაობს მხოლოდ რეიხსბანკი.

როგორც ვოლფის სააგენტო იუწყება, ამ ორი დღის განმავლობაში მთავრობა ბანკებთან და შემნახველ კასებთან ერთად მიიღებს საჭირო ზომებს, რომ გამონახოს საშუალებები სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის უზრუნველსაყოფად და ჯამაგირისა და ხელფასის გასაცემად. საფონდო ბირჟები, როგორც ჩანს, მთელი კვირის განმავლობაში იქნება დახურული. ამავე დროს კი 15 ივლისისათვის ყველა დაწესებულებებში და საწარმოებში გაცემული უნდა იქნას შრომის ხელფასი, რაც დიდ თანხას მოითხოვს.

მთავრობის მიერ მიღებული ზომები არაჩვეულებრივად აძლიერებენ პანიკას და მღელვარებას. ჯერ კიდევ გუშინ არა მარტო ბერლინში, არამედ მთელს გერმანიაში ბანკებისა და შემნახველი კასების წინ გამწკრივებული იყვნენ აღშფოთებული მეანაბრეები. მრავალი მეანაბრე, რომელმაც გუშინ ვერ მოახერხა ფულის მიღება, გუშინ საღამოს ჩადგა რიგში, რომ დღეს დილით მაინც მიეღო თავისი ფული. მაგრამ ის, რაც გუშინ ხდებოდა, „ბავშვური თამაში“ იყო იმასთან შედარებით, რაც დღეს დატრიალდა. დღეს დიდი ხნით ადრე 9 საა-დე (ამ დროს იღება ჩვეულებრივ ბანკები) საკრედიტო დაწესებულებების წინ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. შეკრებილებიდან ბევრს არ ჰქონდა წაკითხული გაზეთი. როცა მათ გაიგეს მთავრობის ახალი განკარგულებების შესახებ, აღშფოთებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ აწერაც ძნელია. ყველგან დაიწყო მწვავე კამათი სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებათა პირებს შორის. ეს კამათი მრავალ ადგილას მუშტი - კრივით დასრულდა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საკრედიტო დაწესებულებებს, პატარა შემნახველ კასებსაც კი პოლიციის რაზმები იცავენ.

უცხოეთის ბირჟებმა „დანატბანკის“ გაკოტრებაზე უპასუხეს გერმანიის მარკის კურსის დაწევით. ლონდონის ბირჟაზე მარკის კურსი დაახლოებით 8 პროცენტით დაეცა, ბრიუსელის ბირჟაზე—კიდევ უფრო მეტად. უცხოეთის სხვა ბირჟებზე მარკის ყიდვა-გაყიდვა ოფიციალურად არც სწარმოებდა.

„ბერლინერ ბერზენკურიერ“ იუწყება, რომ ლონდონში და შვეიცარიის საბანკო ცენტრებში იყო მომენტები, როცა საერთოდ არავის სურდა გერმანული მარკის ყიდვა და არას გზით არ ხერხდება მათი გაყიდვა.

ბერლინის პოლიტიკურ წრეებში მიუთითებენ, რომ საფრანგეთი „პოლიტიკური შანტაჟის მანევრებით“ ლონდონის საშუალებით შეტევას აწარმოებს გერმანიის ფინანსიურ ბაზარზე. საფრანგეთის ბანკებმა თითქმის მთლიანად გამოითხოვეს უკან გერმანიისათვის მიცემული მოკლევადიანი კრედიტები და მიიღეს ზომები საფრანგეთის თანხების გამოსატანად ლონდონიდან, რომ ამით აიძულონ ლონდონის ბანკები თავიანთი დანაკლისი შეავსონ ინგლისური კაპიტალების გამოთხოვით გერმანიიდან. ამრიგად, არა მარტო ბერლინის, არამედ ლონდონის ბირჟაც იმყოფება საფრანგეთის მანევრების გავლენის ქვეშ, რომლებიც მიმართულია გერმანული მარკის წინააღმდეგ“ (ადს).

ფინანსიური კრიზისი მოედო მთელს გერმანიას

ბერლინი, 15 ივლისი. ფინანსიური კრიზისი ედება გერმანიის წარმოებებს და ქალაქის თვითმართველობათა უფრო და უფრო მეტ რიცხვს. პროდუქციის გასაღება თანდათანობით ძნელდება. ისეთი მსხვილი საწარმოებიც კი როგორიც არის სიმენსის ქარხნები ბერლინში, კრიზისის გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

სიმენსის დირექციამ 15 ივლისიდან შემოიღო შემცირებული სამუშაო დღე.

ქალაქის თვითმართველობათა ფინანსები მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე ანაბარების გამოთხოვა კომუნალურ შემნახველ კასებიდან.

განსაკუთრებით გართულებულია ფინანსიური მდგომარეობა ბერლინში და საქსონიის, სამხრეთ და დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ ქალაქებში (ადს).

ლიუქსემბურგში არ იღებენ გერმანიის მარკას

პარიზი, 15 ივლისი. ჰავასის სააგენტო ლიუქსემბურგიდან იუწყება, რომ ვინაიდან ლიუქსემბურგის საზღვრებს მოაწყდა მრავალი გერმანელი, რომელთაც სურთ მარკების გადახურდავება, ლიუქსემბურგის ბანკებმა შეწყვიტეს გერმანული მარკების მიღება (ადს).

შვეიცარიის ბანკებს გააქვთ კაპიტალები გერმანიიდან

ბერლინი, 15 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი შვეიცარიის საბანკო წრეების ცნობების მიხედვით იუწყება რომ უკანასკნელ ხანებში გერმანიიდან დააბრუნეს შვეიცარულ კაპიტალების ნახევარი, ე. ი. 1 ნახევრამდე მილიარდი მარკა. შვეიცარიის ბანკებს განზრახული აქვთ მომავალშიც განაგრძონ კაპიტალების დაბრუნება გერმანიიდან, ვინაიდან „საკუთარ მდგომარეობაზეც ხომ საჭიროა ფიქრი“.

„ამას უნდა დაემატოსო,—სწერს კორესპონდენტი,—რომ ხანგრძლივ სიძნელეთა შემდეგ საბოლოოდ გაკოტრდა შვეიცარიის ერთ-ერთი დიდი ბანკი „ბანკ დე ჟენევ“. ამ ფაქტმა დიდი შეშფოთება გამოიწვია შვეიცარიის წრეებში.

გერმანიიდან მიღებულმა ცნობებმა შვეიცარიის ბირჟაზე გამოიწვიეს აქციების მკვეთრი დაცემა. გერმანიის ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა შეჩერებულია. შვეიცარიის გადამხურდავებელ კანტორებში გერმანიის ვალიუტას ახურდავებენ 1.000 მარკის ფარგლებში“ (ადს).

ჰინდენბურგის ახალი საგანგებო დეკრეტი

ბერლინი, 15 ივლისი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, გამოქვეყნებულია პრეზიდენტის საგანგებო დეკრეტი, რომელიც ავალებს მთავრობას დააწესოს მუშაობის შეწყვეტის დღეები. მთავრობა ბანკებთან და შემნახველ სალაროებთან ერთად ორი დღის ვადაში შეიმუშავებს ზომებს სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის გასაგრძელებლად და ჯამაგირის გასაცემად საჭირო თანხების გამონახვის მიზნით. საფონდო ბირჟები, როგორც ჩანს, დახურული იქნება ერთი კვირის განმავლობაში (ადს).

გერმანია დახმარებას ემუდარება საფრანგეთს

ბერლინი, 15 ივლისი. საფრანგეთის პრემიერთან ლავალთან მოლაპარაკების დროს გერმანიის ელჩმა გეშმა ლავალის ყურადღება მიაქცია გერმანიის კრიტიკულ ფინანსიურ მდგომარეობაზე და სთხოვა მას „კეთილგანწყობილება გამოიჩინოს გერმანიისათვის დახმარების აღმოჩენაში საფრანგეთის მონაწილეობის საკითხის განხილვის დროს“ (ადს).

საერთაშორისო ბანკის „ფართო“ დახმარება

ბერლინი, 15 ივლისი. ბაზელიდან მიღებული ცნობით, საერთაშორისო ბანკის გამგეობამ ლიუტერის მოხსენების შედეგად გამოიტანა დადგენილება გერმანიისათვის ფართო საკრედიტო დახმარების აღმოჩენის შესახებ. სინამდვილეში კი ბანკმა გერმანიას მისცა ასი მილ. მარკის კრედიტი და ისიც ვადით 13 ივლისამდე (ადს).

ბრიუნინგის მთავრობა „სიმშვიდისაკენ“ მოუწოდებს.

ბერლინი, 15 ივლისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა გამოსცა დეკრეტი, რომელიც ავალებს მთავრობას იკისროს „დანატ-ბანკის“ დავალიანების გარანტია.

ამასთან ერთად გამოქვეყნებულია მოწოდება, რომელშიაც მთავრობა ხაზს უსვამს სიმტკიცის დაცვის საჭიროებას“ (ადს).

მემარჯვენეები მოითხოვენ ბრიუნინგის მთავრობის გადადგომას.

ბერლინი, 15 ივლისი. მღელვარება გამოწვეული გერმანიის კატასტროფიული ფინანსიური მდგომარეობით, მეტად გაძლიერდა. უკიდურესი მემარჯვენე წრეები აშკარად აყენებენ ბრიუნინგის მთავრობის დამხობის მოთხოვნილებას (ადს).

გამოძახილი ავსტრიაში

ვენა, 15 ივლისი. „დანატბანკის“ გაკოტრებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ავსტრიის ფულის ბაზარზე. დაიწყო ანაბარების მასიური გატანა „მერკურბანკიდან“.

სამეურნეო წრეებში მოელიან მთელ რიგ საფინანსო დაწესებულებების გაკოტრებას (ადს).

საფრანგეთი საომრად ემზადება

ლონდონი, 15 ივლისი. „მანჩესტერგარდიან“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთმა მეტად გააძლიერა სამხედრო აქტივობა აღმოსავლეთის საზღვარზე. კორესპონდენტის სიტყვით, მრეწველობის სხვადასხვა დარგებმა მიიღეს ინსტრუქციები მობილიზაციისათვის მომზადების საკითხზე.

გუშინ პარიზში გამოქვეყნებული იქნა ოფიციოზური ცნობა, რომ „პრემიერ ლავალს განუწყვეტელი კონტაქტი აქვს დაინტერესებულ სამინისტროებთან, მათ შორის სამხედრო სამინისტროსთანაც“.

შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ დაარსებულია პოლიციის სამმართველოს ახალი განყოფილება, რომელიც განაგებს ჯარში გაუწვეველ სამოქალაქო მოსახლეობის მობილიზაციას (ადს).

პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო ხელშეკრულების დამატება

ბერლინი, 15 ივლისი. „კელნიშე ცეიტუნგ“-ი აღნიშნავს, რომ ვარშავაში სწარმოებს მოლაპარაკება პოლონეთის გენერალურ შტაბსა და რუმინეთის გენერ. შტაბის უფროს სამრნოვიჩს შორის რუმინეთ-პოლონეთის სამხედრო ხელშეკრულების საიდუმლო დამატებითი შეთანხმების დადების საკითხის გამო. (ადს).

სოციალისტები მონაწილეობას მიიღებენ მთავრობაში

მადრიდი, 15 ივლისი. დაიხურა ესპანეთის სოციალისტური პარტიის საგანგებო ყრილობა. ყრილობამ ერთხმად დაადგინა, რომ სოციალისტურმა პარტიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობაში. (ადს).

ახალი ანტისაბჭოთა დემონსტრაცია ფინეთში

ჰელსინგფორსი. 15 ივლისი. 12 ივლისს რაუტუში, კარელიის ყელზე გაიმართა ახალი სამხედრო დემონსტრაცია ვითომდა იმ ბრძოლის აღსანიშნავად, რომელიც 1656 წელს რუსებსა და შვედებს შორის მოხდა. ეს დემონსტრაცია ჩატარებულ იქნა ანტისაბჭოთა მილიტარისტული ლოზუნგებით. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს სველოსიპედო და ეგერთა ბატალიონებმა, არტილერიამ და მრავალრიცხოვანმა შიუცკორმა (ფაშისტური ორგანიზაცია). (ადს)

ბამბის თესვის შედეგების, დამუშავების და მოსავლის აღების კამპანიის ამოცანების და 1932 წლის გეგმისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ

(საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ა.-კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის მიერ 1931 წლის [illegible] ივლისს ამხ. ტოლსტოპიატოვის მოხსენების გამო მიღებული რეზოლუცია)

I

1) პლენუმი ადასტურებს, რომ ამიერ-კავკასიის მებამბეობის განვითარებაში მიმდინარე 1931 წელიწადმა შეიტანა გარდატეხა ბამბის ფართობის გადიდების ტემპების მხრივ.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საკოლმეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის გადაჭრით მობრუნებამ ბამბისკენ, ღარიბ-საშუალო მასების საწარმოო-სამეურნეო ინიციატივის გაშლამ და მათი პოლიტიკური აქტივობის ზრდამ, გადამჭრელმა ბრძოლამ კულაკობასთან, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ყოველგვარ ღონისძიებას ბამბის საქმეში, შეურიგებელმა ბრძოლამ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებთან უზრუნველყვეს:

ა) საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის დეკემბრის პლენუმის დავალებათა წარმატებით შესრულება საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში (კოლმეურნეობებში გაერთიანებულია ღარიბ-საშუალო მეურნეობათა საერთო რიცხვის 51,2 პროცენტი 151,5 ათასი ჰექტარი ბამბის ნათესით, ე. ი. ბამბის ნათესის საერთო ფართობის 62,7 პროცენტით, ნაცვლად წარსული წლის 42,0 ათასი ჰექტარისა);

ბ) მებამბეობის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განვითარება (მოეწყო 6 ახალი საბჭოთა მეურნეობა), სადაც ბამბის ნათესი აყვანილი იქნა 24.000 ჰექტარამდე, ნაცვლად წარსული წლის 8.150 ჰექტარისა;

გ) მებამბეობის მეურნეობათა ტეხნიკური შეიარაღების ზრდის უდიდესი წარმატება, რაც შედეგად მოჰყვა იმ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ქსელის გაშლას, რომელთაც კოლექტივიზაციის გაშლის საქმეში სერიოზული როლი ითამაშეს, და საკოლმეურნეო საწარმოო საშუალებათა უკეთესად გამოყენებას (1930 წელს იყო 4 სამანქანო-სატრაქტორო სადგური 8.685 ცხენის ძალით, მიმდინარე წელს არის 29 სამანქანო-სატრაქტორო სადგური და 4 სამანქანო-სატრაქტორო კოლონა 16.850 ცხენის ძალით და, ამას გარდა, მებამბეობის საბჭოთა მეურნეობებში—4.150 ცხენის ძალა, ნაცვლად წარსული წლის 945 ცხენის ძალისა).

სულ ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში დაითესა 266,8 ათასი ჰექტარი, ნაცვლად მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული 250,0 ათასი ჰექტარის და 1930 წლის 160,9 ათასი ჰექტარისა, ამასთან თესვა დამთავრდა 15-20 დღით უფრო ადრე, ვიდრე შარშან, და პირველად მოეწყო გვალვის ამტანი და ნახევრად ამტანი ბამბის თესვა, რამაც გააფართოვა ამიერ-კავკასიის ბამბის ძველი ზონების საზღვრები.

2) ამასთან ერთად პლენუმი აღნიშნავს მთელ რიგ მსხვილ დეფექტებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მიმდინარე წლის თესვის კამპანიაში და რომელთაც უარყოფითად იმოქმედეს კამპანიის ხარისხობრივ შედეგებზე:

ა) თესვის კამპანიის მოსამზადებელი მუშაობის გაშლის დაგვიანება;

ბ) მთელ რიგ რაიონებში წინასწარი მუშაობის არ ჩატარება ან საკმაოდ არ ჩატარება ბამბისთვის მიწის ნაკვეთების გამოსაყოფად;

გ) ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ აგროღონისძიებათა დასახული გეგმის შეუსრულებლობა;

დ) მთელ რიგ რაიონებში არა დამაკმაყოფილებელი მუშაობა კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა გამოსააშკარავებლად და მათთვის მიწის დავალების მიხედვით ბამბის დასათესი ფართობის მომზადების საქმეზე;

ე) არა საკმაო ყურადღება მოწყობილი კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხებისადმი, არადამაკმაყოფილებელი მუშაობა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ნაწარდ მუშაობაზე გადასვლის დარგში, კოლმეურნეობათა საწარმოო საშუალებების გამოყენების დაბალი ეფექტიურობა და აღრიცხვის მოუწესრიგებლობა;

ვ) დაგვიანება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გაშლის საქმეში, ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღის გვიან მიღება, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შეუვსებლობა მუშაკთა საჭირო კადრებით, გაუროვნების ლიკვიდაციის დაგვიანება;

ზ) მთელ რიგ რაიონებში წყალთა მეურნეობის სამუშაოების არადამაკმაყოფილებლად შესრულება და გადასახდელის სამუშაოების ფაქტიური ჩაშლა, განსაკუთრებით მუღანში, ბამბის გადარჩევის გეგმის ჩაშლა და თესვის პერიოდში მებამბეების არასრულად და არა თავის დროზე მომარაგება პურით.

II.

1) მიმდინარე წლის თესვის კამპანიაში მიღწეული სერიოზული წარმატებანი განმტკიცებულ უნდა იქნენ სწორად მოწყობილი ბრძოლით ბამბის მოსავლისათვის. ამავე დროს, მიუხედავად დამუშავების კამპანიის პირველი სტადიის გადამწყვეტი მნიშვნელობისა, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს გამარგვლის, გამეჩხერების, კულტივაციისა და მორწყვის სამუშაოები.

ასეთი მდგომარეობის ძირითად მიზეზებად პლენუმს მიაჩნია:

ა) მთელი რიგი რაიონების უუნარიანობა—სწრაფად შეუდგნენ დამუშავების კამპანიას და რაიონების მთელი ძალები და საშუალებები გადაგზავნონ ბამბის დასამუშავებელი სამუშაოების თავის დროზე და მაღალხარისხოვანად შესრულებისათვის;

ბ) ბევრ რაიონში დამუშავების კამპანიის გადამწყვეტი მნიშვნელობის შეუფასებლობა მოსავლისათვის ბრძოლის საქმეში, რამაც მიგვიყვანა დემობილიზაციურ განწყობილებებამდე;

გ) მთელი რიგი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მხრივ თავიანთი როლის—საკოლმეურნეო ძალების და საშუალებების ორგანიზატორის როლის—შეუფასებლობა ამ ძალებისა და საშუალებების მაღალ-ეფექტიური გამოყენებისთვის დამუშავების კამპანიის ჩატარების დროს;

დ) დამუშავების კამპანიის არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობა მებამბეობის საბჭოთა მეურნეობებში, რაც პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობის გაწევის შედეგია, ამ უკანასკნელთა მოუმზადებლობა მუშახელის მიღებისა, განმტკიცებისა და უკეთ გამოყენებისთვის.

2) პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საკოლმეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციებს—მთელი თავიანთი ყურადღება და მთელი ძალები მიმართონ დამუშავების კამპანიისაკენ და უზრუნველყონ ბამბის დიდი მოსავლიანობა.

3) ყველა ორგანიზაციების ცენტრალური ამოცანას უნდა შეადგენდეს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საშუალებით, იმ უდიდეს შესაძლებლობათა გამოყენება, რომლებიც კოლექტივიზაციას მოაქვს. საკოლმეურნეო შრომის და ინდივიდუალურ მეურნეთა გაერთიანებული საწარმოო ამხანაგობების შრომის საუკეთესოდ გამოყენება, ამ შრომის ორგანიზაცია საბჭოების მე-6 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ქალის შრომის ფართოდ გამოყენება და შრომის სოციალისტური ფორმების (სოცშეჯიბრების, დამკვრელობის, საზოგადოებრივი ბუქსირის) მაქსიმალური განვითარება, ისევე, როგორც შრომის სწორი აღრიცხვა—უნდა გადაიქცეს სავალდებულო პირობად ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანოებისთვის დამუშავების კამპანიის წარმატებით ჩატარებისთვის ბრძოლაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა დაუთმონ საკოლმეურნეო სექტორს, რომელიც ბამბის ძირითადი მწარმოებელია, და ამავე დროს აწარმოონ გადამჭრელი ბრძოლა ინდივიდუალურ მეურნის—ხვალინდელი კოლმეურნის ყოველგვარ შეუფასებლობასა და უგულებელყოფასთან.

4) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების თანდათან გადიდებული როლი და მათი გაძლიერებული პასუხისმგებლობა დიდი მოსავლისათვის ბრძოლის საქმეში მოითხოვს განსაკუთრებულ სიზუსტეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობაში, კოლმეურნეობებისთვის ფართო ტეხნიკური დახმარების ორგანიზაციას და ხელმძღვანელობას ბამბის დამუშავებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარებაში. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობა უნდა მოექცეს რაიონების პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში, ისინი მოვალენი არიან შექმნან საჭირო პირობები ნორმალური მუშაობისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

5) მთელ რიგ რაიონებში თესვის კამპანიის დროს დაშვებული მიმდენარეობა და დაუდევრობა საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა ჩამოყალიბების საქმეში მოითხოვს როგორც კოლმეურნეობებთან, ისე ინდივიდუალურ მეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა ფართო შემოწმების ჩატარებას. ამ შემოწმებით აწეულ უნდა იქნას ხელშეკრულებათა მნიშვნელობა, უნდა შეიქმნას ორივე მხრივ საპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ ხელშეკრულებებისადმი. პარტორგანიზაციებმა, კოლმეურნეობათა კავშირებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი კამპანია და შემოწმების შემდეგ დააწესონ უსასტიკესი დისციპლინა იმ ხელშეკრულებათა შესრულების საქმეში, რომლებიც შეეხებიან ბამბის მინდვრების მოვლას, ბამბის აღებას და ჩაბარებას.

6) საბჭოთა მეურნეობების დასაკმაყოფილებლად მუშა-ხელით, პარტიულმა, საბჭოთა, საკოლმეურნეო-კოოპერატიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ შესრულება საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს ყველა დადგენილებების საბჭოთა მეურნეობებისათვის მუშა-ხელის მიწოდების შესახებ. ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა გააძლიერონ ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებისთვის მუშათა კონტინგენტის აღმოჩენისთვის, ხოლო საბჭოთა მეურნეობებმა გააუმჯობესონ მუშების შეგროვების საქმე და შექმნან ყველა საჭირო პირობა მისული მუშა-ხელის მისაღებად და გასანაწილებლად, მისი უკეთ გამოსაყენებლად, მოაგვარონ აგრეთვე მუშებისთვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო სამსახურის გაწევა.

7) დამუშავების კამპანიის განმავლობაში ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანათაგანს წარმოადგენს, ბამბის ნათესების უზრუნველყოფა წყლით, ამიტომ საჭიროა:

ა) უადრესი ყურადღება მიექცეს სარწყავი სისტემების რიგიანად დაცვა-შენახვას, ბამბის სავსებით და აუცილებლად უზრუნველყოფას წყლით და წყლის მომჭირნეობით გამოყენებას;

ბ) გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადოს ნათესების ნაკლებად მორწყვასა და ჭარბ მორწყვას, განსაკუთრებით მცირწყლიან რაიონებში, და სასტიკად იქნას დაცული მორწყვის ვადები;

გ) მოეწყოს საყოველთაოდ მორწყვა მთელი დღეღამის განმავლობაში;

დ) ფართოდ იქნას შემოღებული კვალში მორწყვა და სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს წყლის დატაცებას. რაიონულმა კომიტეტებმა და რაიონულმა აღმასკომებმა უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ მორწყვის კამპანიის გატარებას.

8. იმ მიზნით, რომ მოხდეს იმ რაიონების სოციალ-ტეხნიკური რეკონსტრუქციის დაჩქარება, სადაც მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობაა. რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი კამპანია, განამტკიცონ მომთაბარეთა მებამბეობის მინდვრებზე მიმაგრების საქმეში მიღწეული წარმატებანი და უკეთ მოაწყონ მინდვრად დარჩენილი მომთაბარე მოსახლეობისათვის სამეურნეო-საორგანიზაციო მომსახურეობის გაწევა.

9. ამიერ-კავკასიის მომარაგების სახალხო კომისარიატმა და მისმა რესპუბლიკანურმა რწმუნებულობამ და აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემამ უზრუნველყონ, თანახმად გეგმისა, მებამბეობის რაიონებში პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის შეუწყვეტელი შეზიდვა ამ პროდუქტებითა და საქონლით—მებამბეობის მოსამარაგებლად, რომლის დროსაც დაცულ უნდა იქნას რიგი და უპირატესობა იმათთვის, ვინც წესიერად შეასრულებს ყველა სამუშაოს ბამბის დარგში.

ბამბის დამუშავების კამპანიის ხსენებულ ღონისძიებათა გარკვეული, ბოლშევიკური გატარებით ყველა პარტიულმა, საბჭოთა და საკოლმეურნეო-კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ მიმდინარე წელს ბამბის მოსავალი არანაკლებ 226,8 ათასი ტონა ნედლი ბამბის რაოდენობით, აქედან აზერბეიჯანის სსრ-ში—181,3 ათასი ტონა, სომხეთის სსრ-ში—29,5 ათასი ტონა, ხოლო საქართველოს სსრ-ში—16,0 ათასი ტონა.

1) ბამბის მოსავლის აღების წარსული წლის კამპანიის გაკვეთილი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მეტად არადამაკმაყოფილებლად იქნა ის გატარებული, ავალებს ყველა ორგანიზაციებს—ეხლავე შეუდგნენ ბამბის აღების წარმოებების გატარებისათვის მომზადებას და უზრუნველყონ ამისათვის სრულიად მზადყოფნა.

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა და ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაამუშაონ, საკავშ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის 25 მაისის დირექტივების შესაბამისად, ნედლი ბამბის მოსავლის აღების ორგანიზაციისა და მის დამზადების კონკრეტული გეგმები, რომლებშიაც ზუსტად უნდა იქნას გამორკვეული მოსავლის რაოდენობა რაიონების მიხედვით, მოსავლის გადიდების [illegible] და დაწესებულ იქნას აგრეთვე. რაიონული მასშტაბით მოსავლის აღებისა და ჩაბარების თვიური დავალება.

2) თესვის უფრო ნაადრევად დამთავრება, წარსულ წელთან შედარებით, საშუალებას იძლევა შეუდგეთ დამზადების კამპანიას არა უგვიანეს შუა სექტემბრისა, იმ პირობით, რომ გაშლილ იქნას ის ოქტომბრის დასაწყისში და სავსებით დამთავრდეს ბამბის დამზადება არა უგვიანეს 20 დეკემბრისა.

3) მოსავლის რეალიზაციის აღნიშნული ვადების შესაბამისად, საკოლმეურნეო-კოოპერატიულმა სისტემამ და მებამბეობის საბჭოთა მეურნეობებმა გულდასმით და დროზე დაამუშაონ შრომის ორგანიზაციის საკითხები, ყოველმხრივ უზრუნველჰყონ კოლმეურნეობათა და ინდივიდუალურ მეურნეობათა მთელი შრომის უნარიანი მოსახლეობის რაც შეიძლება უფრო მთლიანად გამოყენება, გამოარკვიონ მუშა-ხელის საჭიროება საბჭოთა მეურნეობებში, გამოამუშაონ ამ საჭიროების დაკმაყოფილების წესი და საშუალებანი და ეხლავე გამოარკვიონ ის რაიონები, სადაც უნდა ხდებოდეს მუშა-ხელის შეგროვება.

4) შესყიდვის პუნქტებისა და საწყობების არსებული რაოდენობა ოდნავადაც ვერ უზრუნველჰყოფს ნედლი ბამბის დამზადებისა და შენახვის წარმატებით ჩატარებას, რის გამო საჭიროა სასწრაფოდ იქნას დაწესებული შესყიდვის პუნქტების და საწყობების ქსელი და დაკვრითი წესით იქნას გაშლილი მშენებლობა იმ ვარაუდით, რომ დამთავრდეს ის არა უგვიანეს 10-15 სექტემბრისა.

5) ნედლი ბამბის გასაწმენდათ წარმოებული მუშაობის გაფართოება და ბამბის საწმენდი ქარხნების დატვირთვის გაზრდა მოითხოვს, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარემონტო, სამშენებლო და რეკონსტრუქტიულ სამუშაოთა სასწრაფოდ შესრულება მებამბეობის ქარხნებში, იმ ანგარიშით, რომ ყველა ქარხანა სრულიად მზად იყოს 10-15 სექტემბრამდე მაინც.

IV.

მიმდინარე წელს მიღწეული წარმატება საშუალებას იძლევა 1932 წელს საგრძნობლად გადიდებულ იქნას ბამბის ფართობის ზრდის ტემპები და დასახულ იქნას საწარმოო ამოცანები 1932 წლისათვის საკავშ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს მიერ (20 მაისს) მიღებული დირექტივების შესაბამისად.

დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება, 1932 წლისათვის ბამბის დასათესი ფართობის 485 ათას ჰექტარამდე აყვანა, ხოლო მოსავლის საშუალოდ ამიერ-კავკასიის სსრ-ში 10,8 ცენტნერამდე გადიდება, მეურნეობის დაჩქარების სოციალისტური რეკონსტრუქციის და მებამბეობის რაიონების მთლიანი კოლექტივიზაციის საერთოდ არა უგვიანეს 1932 წლის გაზაფხულისათვის და დამთავრების პირობებში—ყოველივე ეს ავალებს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საკოლმეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოსამზადებელ ღონისძიებათა მიღებას, იმ პირობით, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული შემოდგომის პერიოდი და სწორედ ამით უზრუნველყოფილ იქნას 1932 წლის თესვის კამპანიის მოწესრიგებულად, წარმატებით ჩატარება.

ამ მიზნით საკავშ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი წინადადებას იძლევა:

1) მთავარი ყურადღება მიექცეს წყალთა მეურნეობის სამუშაოთა განვითარებას და განსაკუთრებით ჩამორჩენილ საირიგაციო სამუშაოებს—ამხ. ორჯონიკიძის არხს, მუღანის სამუშაოებს, კირის და ალაზნის წყალსაქაჩებს, რისთვისაც წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის მებამბეობის გაერთიანებას—სასწრაფოდ დაამუშაოს ამის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებანი.

2. ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკანურმა მიწადმოქმედების სახალხოკომისარიატებმა გადაჭრით დააჩქარონ ბამბის ფართობის გამოყენების გეგმების დამუშავება იმ ვარაუდით, რომ ეს გეგმები განხორციელებულ იქნას მიწების ირიგაციის გატარების მიხედვით.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და სამიწადმოქმედო განყოფილებები შეუდგნენ, წყალთა სამმართველოს რაიონული განყოფილებების მონაწილეობით, მიწის მასივების გამოყოფას ბამბის დასათესად 1932 წელს და აწარმოონ მიწადმოთითების სამუშაოები, არსებული სარწყავი ქსელის მსხვილი მექანიზაციისადმი მიმდინარე მეურნეობის საჭიროებებისადმი შეგუების საკითხის დამუშავებასთან ერთად იმ ანგარიშით, რომ ეს სამუშაოები დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 1931 წლის 1 ნოემბრისა.

4. ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკანურმა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატებმა ეხლავე მიიღონ ზომები მიწის გამოსაყოფად განზრახულ საბჭოთა მეურნეობებისათვის, მოაწყონ საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე არსებულ გლეხურ მეურნეობათა მიზანშეწონილი გადასახლება, ჩაატარონ მათი მიწადმოწყობა და ერთსა და იმავე დროს შეუდგნენ ტერიტორიის მოწყობას საბჭოთა მეურნეობების შიგნით შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა დაწყებამდე. ამგვარადვე დაჩქარებულ იქნას საბჭოთა მეურნეობებში მუშათა საბინაო მშენებლობა, სამეურნეო პუნქტების მშენებლობა, სასმელი წყლითა და გზებით უზრუნველყოფა და სხვ.

5. ბამბის მოსავლიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად (10,8 ცენტნერი ერთ ჰექტარზე) ეხლავე იქნას დამუშავებული, სამეცნიერო და საცდელი ორგანიზაციების მონაწილეობით, საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა მოცულობა და ხასიათი, დაწყებულ იქნას მომზადება მათ გასატარებლად, ფართოდ იქნას პოპულარიზაცი[illegible]ლი ის ღონისძიებანი მებამბეობის მეურნეობათა შორის, მათში ელემენტარულ აგრონომ-ცოდნის გავრცელებასთან ერთად.

6. განსაკუთრებით უნდა იქნას დამუშავებული და ფართოდ პოპულარიზაცი[illegible] მოსახლეობას შორის ღონისძიებანი ნიადაგის გასაპოხიერებლად, რისთვისაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას ადგილობრივი სასუქი ნივთიერების ფართოდ გამოყენება.

7. იმის გამო, რომ კადრების მხრივ რთული მდგომარეობაა, ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა, ა.-კ. მებამბეობის გაერთიანებასთან ერთად, დაუყოვნებლივ:

ა) ჩაატარონ მებამბეობისა და ირიგაციის დარგში მომუშავეთა სრული და ზედმიწევნითი აღრიცხვა და მიზანშეწონილად განაწილონ ისინი ორგანიზაციებისა და რაიონების მიხედვით;

ბ) განამტკიცონ მებამბეობის ტეხნიკუმები და საბჭოთა მეურნეობების სკოლები და გაადიდონ იქ მოსწავლეთა კონტინგენტი 3000 კაცამდე 1932 წლისათვის;

გ) გაადიდონ ამიერ-კავკასიის მებამბეობის ინსტიტუტის სტუდენტთა კონტინგენტი 1500 კაცამდე;

დ) კურსების საშუალებით მოხდეს მაღალი, საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის არა ნაკლებ 2000 მუშაკის მომზადება და გადამზადება.

დიდი წყალდიდობა

მტკვარი კვლავ ადიდებულია

16 ივლისს თბილისის მიდამოებში მტკვარის დონეს არ დაუკლია. დილის 8 საათზე მდინარის დონე ავიდა 4 მეტრსა და 10 სანტიმეტრამდე, ხოლო ნაშუადღევის 2 საათისათვის 4 მეტრსა და 25 სანტიმეტრამდე.

რიყის უბანში 1-ლი სანაპირო ქუჩა კვლავ წყალქვეშ იყო. მოსახლეობა ბინებიდან ნავებით გამოდიოდა. საღამოს მდინარის დონემ საგრძნობლად დაიკლო და რიყის ქუჩა განთავისუფლდა წყალიდან, ისე რომ ფეხით ქუჩაში გავლა უკვე შესაძლებელი იყო.

რიყის მოედანზე ადიდებულმა მდინარემ დააზიანა თივის ზვინები და სარდაფები.

ორთაჭალაში, გარდა ბაღებისა წალეკილია საბჭოთა მეურნეობის ნათესების ერთი ნაწილი.

დაუზიანებელი გადარჩა ავჭალის წყალსადენი, რომელიც ნორმალურად იმუშავებდა, რომ ზაჰესს დენის მიწოდება არ შეეწყვიტა. გუშინ, მთელი დღის განმავლობაში წყალსადენი მუშაობდა წყლის ტურბინებით, რომლებიც არ არიან ისეთი ძლიერი, რომ ქალაქისათვის საკმარისი რაოდენობის წყალი გადმოექაჩნ. 2 მილიონი ვედროს მაგიერ 15 ივლისიდან ქალაქს წყალსადენი აწოდებს დღე-ღამეში 1 მილიონ ვედრო წყალს. წყალი მეტისმეტად მღვრიეა და წყალსადენის ფილტრები ვერ ასწრებენ მის გაწმენდას.

15 ივლისს შეფერხებული იყო აგრეთვე ტრამვაის მუშაობაც. დილით ამუშავდა ტრამვაის ელსადგური, რომელმაც მდინარის ადიდებასთან დაკავშირებით მუშაობა შესწყვიტა 11 საათიდან და ნაშუადღევის სამ საათამდე ტრამვაის მოძრაობა ქალაქში არ იყო. მოძრაობა აღდგენილ იქნა სამი საათიდან.

16 ივლისს ზაჰესის ენერგიის უქონლობის გამო თბილისის ყველა საწარმოები ვერ მუშაობდენ. არ მუშაობდა: — სარემონტო ქარხანა, 26 კომუნ. ქარხანა, მაუდ-კამვოლის ფაბრიკა და სხვ. მუშაობა სწარმოებდა მხოლოდ იმ სამქროებში და იმ დაზგებზე, სადაც ელექტრო - ენერგია საჭირო არაა.

დღის განმავლობაში მტკვარს მოჰქონდა ხე-ტყის მასალა და შეშა.

ზაჰესის საგუბართან მდინარიდან ამოიღეს ორი დამხრჩვალი კაცის გვამი. მათი ვინაობა გამორკვეული არაა.

მდინარეს მოაქვს აგრეთვე სახლების ნანგრევები და შინაური ავეჯეულობა.

თბილისში მდინარემ იმსხვერპლა რამოდენიმე კაცი, რომელთა ვინაობაც გამორკვეული არაა.

გუშინ ზაჰესში

— ჯერ ასე ადიდებული მტკვარი არ გვახსოვსო, — ამბობენ მცხეთელები. არაგვიც ადიდებულა. ტალღათა სიდიდით იგი მტკვარს აღარ ჩამოუვარდება. ბევრი შიშს გამოსთქვამს, რომ წყალმა არ წაიღოს კაშხალი.

კაშხალის ფარები ყველა ღიაა, რომ ადიდებული მდინარე თავისუფლად გაეტიოს, მაგრამ მტკვარი ისე ადიდებულა, რომ მისთვის ფარების გახსნით განთავისუფლებული ადგილიც კი აღარაა საკმარისი.

ზაჰესის სპეციალისტების აზრით, რამდენადაც არ უნდა ადიდდეს მტკვარი, იგი მაინც ვერ დასძლევს ზაჰესის მთავარი საგუბარის სიმტკიცეს.

სადგურის არხის, სათავეს, საიდანაც წყალი უნდა მივიდეს საგენერატორო სადგურამდე, მიაწყდა აუარებელი ფიჩხი და შეშა. ფიჩხი შემდეგ მდინარემ მოსილა და არხის სათავის რკინის ფაცერა ისე ამოკავდა, რომ არხში წყალი სავსებით დაიწრიტა.

აქ არ შეიძლება ზაჰესის დირექციას არ უსაყვედუროთ ერთი გარემოება. სპეციალისტები ამბობენ, რომ ამდენი ფიჩხის მოტანა მდინარეს არ შეეძლო რამოდენიმე საათის განმავლობაში. ალბათ. სათავის ნაწილი წინადაც იყო ამოვსებული ფიჩხით და ქვიშით, მაგრამ ადმინისტრაციას ამისთვის არ მიუქცევია ყურადღება.

არხის სათავის გასაწმენდათ პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით გაწვეულ იქნენ — თბილისის ტრამვაის, სარემონტო ქარხნის, დეპოს და 26 კომუნ. სახელობის ქარხნის მუშები, ზაჰესის ადმინისტრაციას არ აღმოაჩნდა მომარაგებული სათავის გასაწმენდათ საჭირო ხელსაწყო იარაღები და სხვა მოწყობილობები. ბრიგადები იძულებული იქნენ თბილისიდან წაეღოთ თოკები, ბარები, წერაქვები, ნავახები და სხვ. ზაჰესის ადმინისტრაციამ ეს შემთხვევა გაკვეთილად უნდა გამოიყენოს და შემდეგისათვის მაინც იგულვოს საჭირო ხელსაწყოები.

არხის გაწმენდაზე მუშაობდა აგრეთვე თბილისის წითელდროშოვანი სახანძრო რაზმის ნაწილი ამხ. ა. ბერიძის მეთაურობით.

მეხანძრეებმა განსაკუთრებული ენერგია და თავდადება გამოიჩინეს სათავის გაწმენდაში და მათი და წითელარმიელთა ნაწილის საშუალებით გუშინვე არხში გაშვებულ იქნა იმდენი წყალი, რომ შესაძლებელი გახდა ერთი აგრეგატის ამუშავება.

აღსანიშნავია, რომ სათავის გასანთავისუფლებლად მუშაობისათვის მეტად უხერხული ტეხნიკური პირობებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იქ მუშაობა არ სწყდება დღისა და ღამის განმავლობაში.



წყლით დაფარული დესიმონოვის მოედანი

თბილისის პარტაქტივი ზაჰესის საგუბარზე

გუშინ, საღამოს 7 საათზე, სტალინის სახელობის კლუბში შესდგა თბილისის პარტაქტივის სხდომა.

მოხსენებით საქ. კომპარტიის ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საკონტროლო კომისიის პლენუმის მუშაობის შედეგების შესახებ უნდა გამოსულიყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ამხ. ს. მამულია. მაგრამ, მტკვრის ადიდებასთან დაკავშირებით ზაჰესის საგუბარი სასწრაფოდ უნდა იქნას გაწმენდილი და აქტივ-მა დაადგინა **მთელი შემადგენლობით გაემგზავრება საგუბარზე სამუშაოდ.**

საღამოს 9 საათზე თბილისის პარტაქტივი უკვე მუშაობდა საგუბარის გასაწმენდათ.

აქტივის სხდომა შესდგება იმავე კლუბში 18 ივლისს, საღამოს 7 ს. დღის წესრიგი უცვლელი რჩება.

წყალდიდობის შედეგები

ნათესების წალეკვა დასავლეთ საქართველოში.

სამტრედიიდან მიწსახკომს დეპეშით აუწყებენ, რომ ადიდებულმა მდინარეებმა წალეკეს სამტრედიის რაიონში 3.000 ჰექტარი ნათესები. იმ ადგილებზე, სადაც წყალმა გადაიარა, შეუდგნენ სოიას თესვას.

ახალსენაკიდან მოსული ცნობით ნიაღვრებმა წალეკეს 1.033 ჰექტარი ნათესები. აქედან განსაზოგადოებრივებული სექტორიდან 424 ჰექტარი და დანარჩენი კერძო სექტორიდან.

ცხენის წყალი გადავიდა სოფლებში.

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიღებულია ცნობები, რომ მდ. ცხენის წყალი გადავიდა ნაპირებიდან, წალეკა ნათესები და შეიჭრა სოფ. ონტოფახა, ხეფიეთსა და ახალ-აბაშაში. წყალდიდობასთან საბრძოლველი მუშაობის გაშლა შეუძლებელია, რადგან წყალი თანდათანობით მატულობს. ადიდებული მდინარე ფარავს ნათესების ახალ ფართობებს.

15 ივლისს ცხენისწყალმა მოულოდნელად მოიმატა და გაიტაცა დამბის მარცხენა ნაწილი, რომელიც მდინარიდან იფარავდა ნათესებს. ახალი დამბის ასაგებად მოზიდულ იქნა ფიჩხი, მაგრამ მდინარემ იგიც გაიტაცა.

გორის რაიონში.

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიღებული ცნობებით გუშინ, მდ. ლიახვმა, სოფ. კარალეთის მახლობლად წაიღო დამბა, რომელიც შარშან იყო აგებული. მდინარე გადაიჭრა მახლობელ ბაღ-ბოსტნებში.

ოტრევის ხევთან ჩამოსულმა მდინარემ გადაგლიჯა ტირიფონის სარწყავი სისტემის დამბა და გადავიდა ტირიფონის არხში.

ტირიფონის სამუშაოთა მთავარი ინჟინერი ამხ. ლიაძე იუწყება, რომ მიღებული იქნება თავის კალაპოტში და სარწყავ სისტემას ვერ დააზიანებს.

რკინის გზის დაზიანება.

ა.-კ. რკინის გზის დირექციაში მიღებულ ცნობებით, 15 ივლისს ღამით, სადგურ კავლიართან მდინარე მტკვარი გადავიდა რკინის გზის ლიანდაგში, რის გამოც საჭირო გახდა მოძრაობის დროებით შეწყვეტა.

16 ივლისს დილითვე ლიანდაგი შეკეთებულ იქნა და მოძრაობა განახლდა.

მოძრაობის შეწყვეტა გზატკეცილებზე.

საქ. გზა-ტრანსის ცნობით უკანასკნელ წვიმებისა და წყალდიდობის გამო დაზიანდა საქ. სამხედრო გზატკეცილი ანანურსა და ფასანაურს შორის ორი კილომეტრის მანძილზე.

დაზიანებულია აგრეთვე თბილის-თელავის გზატკეცილი, გომბორის გადასავალსა და თელავს შორის.

საქ. გზა-ტრანსმა მიიღო სასწრაფო ზომები აღნიშნულ გზებზე მიმოსვლის აღსადგენად.

მდ. ქსანის ადიდება.

ცხეთა, 16 ივლისი. არაჩვეულებრივად ადიდებულმა მდ. ქსანმა სოფ. ქსოვრისში წალეკა რამოდენიმე ათეული ჰექტარი პურის ყანები და ბაღ-ბოსტნები. მდინარემ გაიტაცა აგრეთვე სოფლის მახლობლად მოზიდული 800 კუბ. საჟენი შეშა. ზარალი დიდია.

სამსონია.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა
]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმი კაპიტალიზმის წინააღმდეგ

ოუენ იუნგი „აკრიტიკებს“ კაპიტალიზმს

მოსკოვი. „იზვესტია“ სწერს: „შიშმა, რომელსაც შეპყრობილი ჰყავს კაპიტალისტურ მსოფლიოს ხელმძღვანელი წრეები კაპიტალიზმის კრიზისის გაღრმავებასთან და საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენებლობის წარმატებასთან დაკავშირებით ახალი მკაფიო დადასტურება ჰპოვა. კაპიტალიზმის კრიტიკით გამოვიდა იუნგის გეგმის ავტორი, სარეპარაციო საქმეთა ყოფ. გენერალური მდივანი, ახლა—ამერიკის ტრესტის „ელექტრობის გენერალური კომპანიის“ დირექტორი ოუენ იუნგი.

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს „ნიუს სინდიკატ“-ის წარმომადგენელთან საუბარში იუნგმა გადაჭრით დაუჭირა მხარი საზოგადოებრიობის მონაწილეობას კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობაში.

იუნგმა სთქვა: „კაპიტალისტური სისტემის გაკრიტიკება მე რომელიმე ბოლშევიკზე უფრო უარესად როდი შემიძლია. მე ისევე კარგად, როგორც მან ვიცი, ამ სისტემის ნაკლოვანებები. მე ვიცი, რომ თუ დედამიწის ერთ კუთხეში პური ლპება—მაშინ, როცა მეორე კუთხეში ხალხი შიმშილობს, ეს სამარცხვინო მოვლენაა კაპიტალისტური მექანიზმისათვის. მე ვიცი, რომ უმუშევრობა იმ დროს, როცა არის ხალხი, რომელთაც უნდათ მუშაობა და ხალხი, რომლებიც საჭიროებენ გამზადებულ საქონელს,—ესეც სამარცხვინოა კაპიტალისტური სისტემისათვის. მე ვიცი, რომ დაზოგებული შემოსავალი დღემდე არასამართლიანად ნაწილდება“.

ყველაფერ ამას იუნგი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ „ბოლოს და ბოლოს კაპიტალიზმი არის მხოლოდ ეტლი, რომელსაც ახლანდელ მომენტამდე მოჰყავდა ცივილიზაცია, მაგრამ კაპიტალიზმი სრულიად არ არის საბოლოო მიზანი“. მაგრამ იუნგი მაინც არ იღებს ხელს კაპიტალიზმზე: „იგი აქამდე კარგად ემსახურებოდა კაცობრიობას და ჩვენ იძულებული ვართ ხელი ჩავსჭიდოთ მას, სანამ არ გვაჩვენებენ რაიმე უკეთესს“.

თუ მთელი საქმე იმაში მდგომარეობს, რომ იუნგი ვერ ხედავს უკეთეს სისტემას, ვიდრე კაპიტალიზმია, მეტად ადვილია მისთვის ამ სისტემის დანახვება: ამისათვის საკმაო საბჭოთა კავშირის ნახვა. მაგრამ, თუ იუნგს არა აქვს განზრახული ინახულოს საბჭოთა კავშირი, დე ის და კაპიტალისტურ მსოფლიოს მისი მსგავსი წარმომადგენლები ნუ გვიშლიან ხელს ჩვენი მშენებლობის გაშლაში და მაშინ ისინი ჩქარა შესძლებენ დარწმუნებას ჩვენი სისტემის უპირატესობაში“.

„სოციალიზმი არსებობს რეალურად“

მოსკოვი. ამერიკის ყოველთვიურ პოლიტიკურ ორგანოში „კერრენტ ჰისტორი“ („თანამედროვე ისტორია“) საერთო სათაურით—„საბჭოების სოციალური ფილოსოფია“ მოთავსებულია ორი დიდი წერილი საბჭოთა კავშირის შესახებ და აგრეთვე ამხ. ლიტვინოვის მიერ ერთა ლიგის ევროპიულ კომისიის სხდომაზე ა.-წ. 18 მაისს წარმოთქმული სიტყვის თარგმანი. ერთ-ერთი წერილი ახასიათებს საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებებს საბჭოთა კავშირში და აგრეთვე კოლექტივიზაციასთან დაკავშირებულ კულტურულ მიღწევებს; მეორე ხატავს საბჭოთა სამეურნეო სისტემის საერთო ხასიათს და აღნიშნავს, რომ „ეს სისტემა წარმოადგენს სოციალიზმს პრაქტიკაზე“.

ამ წერილის ავტორი კელვინ ჰუვერი შემდეგ დასკვნამდე მიდის: „საბჭოთა მთავრობის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა ახლა, როგორც სჩანს, უფრო მტკიცეა, ვიდრე ერთი წლის წინათ. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში უმუშევრობა არ არსებობს, ნიუ-იორკის საავადმყოფოები გვიჩვენებენ მაგალითებს იმისას, თუ როგორი მწვავედ სდგას უმუშევრობის პრობლემა შეერთებულ შტატებში. ისინი გვიჩვენებენ ამას მრავალრიცხოვან პაციენტებზე, რომელთა ავადმყოფობა გამოწვეულია შიმშილობით. პირველად ისტორიაში კაპიტალიზმი განიცდის მწვავე ეკონომიური არევ-დარევის პერიოდს იმ დროს, როცა მის გვერდით არსებობს სოციალისტური სისტემა. სოციალიზმი უკვე აღარ არის თეორიის საკითხი; იგი უკვე არ არის ფილოსოფიური დებულება და ოცნების საგანი. ცუდია თუ კარგია ეს, მაგრამ იგი არსებობს რეალურად“.

ტყიბულის დამკვრელ კომკავშირელთა პირველი შეკრების პასუხი

საქ. კ. პ. (ბ) ამ.-კავ. სამხარეო კომიტეტის მდივანს ამხ. ქართველიშვილს, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანს ამხ. მეშველიას, საკ. ლკკ. ამ.-კავ. სამხარეო კომიტეტის მდივანს ამხ. ვერმიშევს, საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანს ამხ. აზარაშვილს, ამ.-კავკ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ყურულაშვილს, გაზეთ „მოლოდოი ბოლშევიკ“-ს და „ახალგაზრდა კომუნისტს“.

ტყიბულის მაღაროთა დამკვრელ კომკავშირლების პირველი შეკრება აღნიშნავს საკავ. კ. პ. (ბ) ამ.-კავკ. სამხარეო კომიტეტის დროულ და სწორ მითითებას ტყიბულის მაღაროთა სამარცხვინო ჩამორჩენაზე სამფინგეგმათა შესრულების დროს ყველა მაჩვენებლების ხაზით.

წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მაღაროებს უნდა მიეცათ გეგმის მიხედვით 102.650 ტონა ნახშირი. ფაქტიურად მოცემულ იქნა 65.934 ტონა, რაც შეადგენს გეგმის 64 პროცენტს. ტყიბულის მაღაროებმა დააკლეს სახელმწიფოს 36.711 ტონა ნახშირი.

ტემპების გაძლიერების ნაცვლად ნახშირის ამოღების რაოდენობა ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში უდრის მხოლოდ 50-52 პროცენტს.

დამკვრელ — კომკავშირელთა შეკრება აღნიშნავს, რომ სამფინგეგმების შესრულების დარგში არსებულ გარღვევის ლიკვიდაციისთვის არ იყო აღებული ბოლშევიკური ტემპები, რისთვისაც თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავენი.

საკავ. კ. პ. (ბ) ამ.-კავ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება გარღვევის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის მოხდენის შესახებ ნახშირის ფრონტზე და აგრეთვე ნახშირის ამოღების 250.000 ტონიდან 315.000 ტონამდე აყვანის შესახებ — წარმოადგენს საბრძოლო ამოცანას თვითეულ დამკვრელ კომკავშირელისათვის.

დამკვრელ — კომკავშირელთა შეკრება აცხადებს, რომ საპარტიო პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობის ქვეშ, მიუხედავად მუშა-ხელის სიმცირისა და ტექნიკური მოუმზადებლობისა მაღაროებში, ტყიბულის კომკავშირი — შიშა-რაზმელების მობილიზაციით და ძალთა სწორი განაწილებით და საბრძოლო ტემპების განვითარებით შეასრულებს საქ. კ. პ. (ბ) ამ.-კავ. სამხარეო კომიტეტის დავალებებს.

ძირითად პირობად ამხანაგებს უნდა ჩაითვალოს ბოლშევიკური ტემპები პლიუს ბოლშევიკური ხარისხი და ტექნიკის დაუფლება.

დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ნახშირის ამოღების დარგში 1931 წლის განმავლობაში ჩვენ ვაყალიბებთ ახალ დამკვრელ ბრიგადებს, ვაყენებთ შემხვედრ სამფინგეგმებს და საქმით ვანხორციელებთ ბრიგადების და მთლიანად მაღაროების გადასვლას სამეურნეო ანგარიშზე.

ამასთან ერთად ჩვენ მივმართავთ სხვა რაიონების პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებს აიყვანონ ბუქსირზე მაღაროები ახალი მუშა-ხელით მომარაგებისათვის. ჩვენ მოვითხოვთ სარაიონო პროფსაბჭოსაგან დაუყოვნებლივ შეასრულოს ამ.-კავ. სამხარეო კომიტეტის დავალება მუშათა შორის კულტურულ — ყოფა-ცხოვრებით მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

სამუშაო დღის გაცდენებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ მემაღაროელთა შორის!

საქ. კ. პ. (ბ) ამ.-კავ. სამხარეო კომიტეტის დადგენილებას ტყიბულის მუშა-ახალგაზრდობა უპასუხებს ახალგაზრდობის მასიური ჩაბმით ლენინურ კომკავშირის რიგებში

დავაყენოთ პირველ რიგში ბრძოლა ოპორტუნიზმის, თვითმიმდინარეობის და ნახშირის ამოღების გეგმის შესრულებაში დაქვეითების წინააღმდეგ. საბრძოლო ტემპებით რეალიზაციას უზამთ ამ.-კავკ. სამხარეო კომიტეტის ბოლშევიკურ დავალებას!

გაუმარჯოს საკავ. კ. პ. (ბ) ცეკას და ჩვენი პარტიის ბელადს და ხელმძღვანელს ამხ. სტალინს!

შეკრების პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირში

სესხი სოფლად გავასაღოთ ბოლშევიკური ტემპებით
(საბჭოთა კავშირის ფინსახკომის კოლეგიის დადგენილება)

მოსკოვი, 16 ივლისი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომის კოლეგია თავის დადგენილებაში გადამწყვეტი წლის სესხის გასაღების შესახებ სწერს:

„აღნიშნოს, რომ მესამე, გადამწყვეტი წლის სესხის ჯამი—1,1 მილიარდი მანეთი, რომელიც გამოშვებულ იქნა ქალაქებში გასავრცელებლად, ერთი თვის განმავლობაში გადაჭარბებით იქნა გასაღებული, რაც მეტყველურად ადასტურებს მუშათა კლასის უაღრეს ერთგულებას პარტიის გენერალური ხაზისადმი.

ვინაიდან სესხის რეალიზაცია მიმდინარეობს საბრძოლო ლოზუნგით — არც ერთი მშრომელი არ უნდა დარჩეს მესამე, გადამწყვეტი წლის სესხის გარეშე, წინადადება მიეცეს ყველა ფინორგანოებს, განსაკუთრებით კი [illegible] გააგრძელონ მუშაობა სესხის გასაღებისათვის იმ მუშა-მოსამსახურეებს შორის, რომლებიც ქალაქებში ჩამოდიან, აგრეთვე შეკავშირებულ მოსახლეობას, შინამრეწველებს და დიასახლისებს შორის და სხვ.

აღნიშნოს, რომ მთელ რიგ ადგილებში სოფლად სესხის გასავრცელებისათვის მასიური მუშაობის ტემპი მეტად შეუწყნარებელია [illegible]. წინადადება მიეცეს სახფინსახკომებს და საკრედიტო ორგანოებს — [illegible] ბოლშევიკურ ტემპებს და გააძლიერონ მუშაობა სესხის გასავრცელებისათვის სოფლად კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მეურნეებს შორის და საჭიროებით გამოიყენონ ქალაქად სესხის რეალიზაციის მთელი გამოცდილება.

შემოსავლების სახაზინო და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოს საბჭოთა კავშირის ფინსახკომის კოლეგიის წარუდგინოს [illegible] კომისიების, ფაბრიკა-ქარხნების, სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობათა გამგეობების და ფინანსიური ფრონტის ცალკე დამკვრელების დასაჯილდოვებლად, რომლებმაც მაღალი მაჩვენებლები აჩვენეს სესხის გასაღებისას“. (ადს).

სესხის რეალიზაციის გეგმა გადაჭარბებით სრულდება

მოსკოვი, 16 ივლისი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომის ცნობებით, მესამე, გადამწყვეტი წლის სესხი 10 ივლისისათვის გასაღებულ იქნა: ქალაქად — 1.176.485.000 მანეთი — დავალების 106,7 პროც., სოფლად 71.666.000 მან. — დავალების 14,7 პროც., აქედან კოლმეურნეთა შორის 63.813.000 მანეთი—25 პროც. (ადს).

ამხ. ტრიანდაფილოვის სახელობის ფონდი

მოსკოვი, 16 ივლისი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა - ავიაქიმის პლენუმი გულწრფელ სამძიმარს უცხადებს საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წითელი არმიის თავდადებული მეთაურების ამხ. ტრიანდაფილოვის, კალინოვსკის, არკადიევის, რიბალჩენკოს, ბოგდანოვის, შინდრიკოვის, პოლოზკოვის და ბელკოვის ტრაგიკული დაღუპვის გამო.

საბჭოთა კავშირის და საბჭოთა რუსეთის თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პლენუმმა გადასწყვიტა — შექმნას ამხ. ტრიანდაფილოვის სახელობის ფონდი საომარ [illegible] გამოგონებების წახალისების მიზნით. პლენუმმა თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს სახსრებიდან გამოჰყო ფონდი 100.000 მანეთის რაოდენობით და მიმართა ყველა მუშებს, კოლმეურნეებს და მშრომელებს, თავდაცვა - ავიაქიმის ყველა ორგანიზაციებს და წევრებს, მხარი დაუჭირონ მოწოდებით ფართოდ გამოეხმაურონ პლენუმის გადაწყვეტილებას.

შემოწირულებათა თანხა უნდა გაიგზავნოს საბჭოთა კავშირის თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს სპეციალურ მიმდინარე ანგარიშზე „ამხ. ტრიანდაფილოვის სახელობის ფონდისათვის“, სახელმწიფო ბანკის მოსკოვის სამხარეო კანტორაში № 109766. (ადს).

პროფორგანიზაციები [illegible] კოოპერაციის [illegible]

მოსკოვი, 16 ივლისი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც: „პროფორგანიზაციებმა უნდა ჩააბან [illegible] მუშაობაში სამომხმარებლო კოოპერაციის დასახმარებლად. [illegible] კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებას, რიგების გადაჭრით ლიკვიდაციას, მომსახურების გაუმჯობესებას, მუშების მომარაგების [illegible] და კერძო საქმის მასიური მუშური კონტროლი“ (ადს).

პური მოდის

დონის როსტოვი, 16 ივლისი. კამენსკის რაიონის კოლმეურნეობამ „წითელმა პარტიზანმა“ გაგზავნა პირველი ქარავანი [illegible] სახელმწიფოს [illegible] პურის [illegible] (ადს).

ფრანგი პილოტები მოსკოვში

მოსკოვი, 16 ივლისი. [illegible] ფრანგმა მფრინავებმა, მოტორის მოულოდნელი [illegible] გამო, [illegible] მოსკოვში ჩამოფრინდნენ და მათ თან მიჰყავთ მოტორი, ხელსაწყო და იარაღი (ადს).

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ტრაგიკულად დაღუპულ მეთაურთა დაკრძალვა

მოსკოვი, 16 ივლისი. მოხდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ტრაგიკულად დაღუპული მეთაურების—ამხ. ტრიანდაფილოვის, კალინოვსკის, რიბალჩენკოს და სხვების დაკრძალვა. წითელი არმიის სახლის წითელდროშოვანი დარბაზი, სადაც ცხედრები ესვენა, ინახულა მოსკოვის ათასობით მუშამ, მუშა-ქალებმა და წითელ არმიელებმა მრავალი ათასობით მასამ. დაღუპული ამხანაგების კუბოები უამრავი გვირგვინებით შეამკეს. გვირგვინები იყო საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, მთავრობის, სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს და სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებისაგან.

საღამოს 5 საათზე დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდი, რომელზედაც გამოვიდნენ ამხ. კუიბიშევი, ტუხაჩევსკი, პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი გამარნიკი, საჰაერო ძალების უფროსი ალკსნისი, ამხ. უნშლიხტი, მიკოლი და სხვები. შემდეგ მრავალრიცხოვანმა სამგლოვიარო პროცესიამ გაასვენა ტრაგიკულად დაღუპული ამხანაგების გვამები კრემატორიუმში (ადს).

რა ხდება ადგილებზე

აბრეშუმის პარკის დამზადება მეტის მეტად ნელი ტემპებით მიმდინარეობს

სოხუმი, 15 ივლისი. აბრეშუმის პარკის დამზადება კვლავ ნელი ტემპებით მიმდინარეობს. საერთო გეგმა აფხაზეთში შესრულებულია მხოლოდ 41,1 პროც. გამონაკლისს შეადგენს სოხუმის რაიონი, რომელიც უკვე ამთავრებს დამზადებას (86 პროც.). თუთის თესლის დამზადების გეგმის შესრულება ფაქტიურად მხოლოდ ეხლა დაიწყო (0,6 პროც.). თუთის კანის დამზადება შესრულებულია მხოლოდ 0,39 პროც. დამზადების სისუსტე, უმთავრესად, წარმოადგენს იმ საქმისადმი უყურადღებობის შედეგს მთელ რიგ ორგანიზაციების მხრივ (ადს).

საპრემიო ფონდი მოსავლის საუკეთესოდ მოვლისა და აკრეფისათვის

ბათუმი, 15 ივლისი. გამოყოფილია რესპუბლიკანური საპრემიო ფონდი მოსავლის უკეთ მოვლისა და აკრეფისათვის 15.000 მან. რაოდენობით (ადს).

ღელვა შავ ზღვაზე

ბათუმი, 15 ივლისი. ზღვაზე დიდი ღელვის გამო თბომავალმა „აჭარისტანმა“ დააგვიანა 18 საათით (ადს).

აჭარისტანის კოლმეურნეობებში ჩაის მოვლა-დამუშავებას სათანადო ყურადღება არ ექცევა

სასწრაფოდ გამოვასწოროთ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის მოკრეფის და დამზადების საქმეში

სერიოზული დეფექტები ჩაის ფოთლის დამზადება-გადამუშავებაში

ჩაის კულტურის განვითარების უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა გვავალებს დაჟინებით ვებრძოლოთ იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელსაც ადგილი აქვს ჩაის მოვლისა - დამზადებისა და გადამუშავების საქმეში. „საქ. ჩაი“-ს გამგეობის მიერ ამასწინად მოწვეულ ფაბრიკების დირექტორების თათბირმა გამოამჟღავნა მრავალი დეფექტები ამ საქმეში.

ა.-წ. 1 ივლისისათვის მწვანე ფოთლის მოკრეფის გეგმა შესრულებული იყო 27 პროც., დამზადებული იქნა მხოლოდ — 438.000 კილოგრამი ფოთოლი. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩენილია კოლმეურნეობათა სექტორი. მოკრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 43,4 პროც. დამზადებული —704,284 კილოგრამი ფოთოლი. ამრიგად, წელს პირველ ივლისისათვის გასულ წელთან შედარებით 216.284 კილოგრამით ნაკლები ფოთოლი დამზადდა. [illegible], ამ ჩამორჩენას ნაწილობრივ იმით ხსნიან, რომ წელს ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი დაიწყო დაგვიანებით არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს გარემოება არ არის გეგმის შეუსრულებლობის უმთავრესი მიზეზი. მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩაის კრეფის კამპანიის საქმეში ძალზე სუსტი მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და აგროპერსონალმა.

ადგილი ჰქონდა ჩაის შინაურული წესით დამუშავების და კერძო ბაზარზე რეალიზაციის. ასეთმა მოვლენებმა განსაკუთრებით სისტემატიური ხასიათი მიიღო აჭარისტანში. ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ ზომებს არ ღებულობენ ამ მოვლენების წინააღმდეგ. საილუსტრაციოდ მოგვყავს ერთი ფაქტი: როდესაც სამების ფაბრიკის დირექტორმა მოაგონა მახინჯაურის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს — საჭიროა ზომების მიღება ჩაის კერძო ბაზარზე გაყიდვის აღსაკვეთად, თავმჯდომარემ განაცხადა: „მე ამის შესახებ არავითარი განკარგულება არ მაქვს და ვერც რაიმე დირექტივას მოგცემთ“. საბჭოების ასეთი დამოკიდებულება ჩაის დამზადებისადმი ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი.

აღნიშნულმა თათბირმა გამოამჟღავნა, აგრეთვე, რომ ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელებმა დღემდე ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომელსაც მათ უყენებს პარტია და ხელისუფლება.

არც ერთ ფაბრიკაში არ არის მოწყობილი მუშა-ხელის კვალიფიკაციის ამაღლებისა და „ტექნიკის დაუფლებისათვის“ ბრძოლის საკითხი. მუშებს შორის არ სწარმოებს სათანადო კულტურულ - აღმზრდელობითი მუშაობა, საჭირო სიმაღლეზე არა სდგას სოციალისტური შრომის ფორმები — სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. ნატანების ფაბრიკის დირექტორმა ამხ. გვარამიამ თათბირზე განაცხადა: „ჩვენი ფაბრიკის მუშებმა „გაიგეს“ სხვა ფაბრიკებში სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ტარდებოდა და გადაწყვიტეს თვითონაც მოეწყოთ ეს საქმე. მოიწვიეს საერთო კრება, გამოიწვიეს ერთმანეთი შეჯიბრებაში, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ძველებურად იწყეს მუშაობა. არ სწარმოებს შეჯიბრების და დამკვრელობის შედეგების აღრიცხვა, პროფორგანიზაცია არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ამ საქმეში. მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე თვითონ არ არის გარკვეული სოცშეჯიბრების მნიშვნელობაში“.

ზუგდიდის ფაბრიკის დირექტორმა სთქვა: „სოცშეჯიბრება ჩვენთან ჯერ-ჯერობით არ არის შემოღებული პრაქტიკაში“-ო. ეს ფაქტები ადასტურებენ, რომ პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ხელმძღვანელობა სრულებით ვერ აფასებს შრომის სოციალისტურ მეთოდებს. ამის შედეგი კი არის ის, რომ სალიბაურის და ოზურგეთის ფაბრიკებში ჩაის პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები გასულ წელთან შედარებით გაუარესდა, ხოლო მაღალ ეწერის ფაბრიკამ პირველი აკრეფილი 946 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მთლიანად გააფუჭა.

ლოზუნგი „დავეუფლოთ და გავუსწროთ ჩაის მრეწველობის ტექნიკას“ ფაბრიკების დირექტორების მიერ მივიწყებულია აქეთ. ფაბრიკებში არავითარი რაციონალიზატორული ღონისძიებანი არ ტარდება, დირექტორები არ არიან დაინტერესებულნი საწარმოო გამოცდილებათა გაცვლა - გამოცვლით და სხვ.

ბოლოს უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ წინად არსებული საცდელი სადგურები, ხოლო ამჟამად, „ჩაის ინსტიტუტი“ არავითარ დახმარებას არ უწევდა და არ უწევს ფაბრიკებს ჩაის ტექნოლოგიის საქმეში. 5 წლის განმავლობაში მას ერთი რჩევა-დარიგებაც არ მიუცია ფაბრიკებისათვის.

ზემოაღნიშნული ფაქტები სავსებით ადასტურებენ, რომ „ზოგიერთ ჩვენს სამეურნეო მუშაკებს არ ესმით ის, რომ მრეწველობის განვითარების ახალი პირობები მოითხოვენ ახალი წესით მუშაობას“ რომ „ხელმძღვანელობა ახალ წესზე უნდა მოხდეს“ (სტალინი).

საჭიროა როგორც „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობამ, ისე სათანადო ორგანიზაციებმა მიიღონ გადამწყვეტი ზომები აღნიშნული ნაკლების აღმოსაფხვრელად და ჩაის ფაბრიკების მუშაობის „ახალ წესზე“ გადასაყვანად.

მუშავი

ნათესები მოუვლელობით ნადგურდება
(აჭარისტანი)

ნათესების მოვლა აჭარისტანში უყურადღებოდ არის მიტოვებული. მეორე გათოხნის ვადები უკვე ამოწურულია და გათოხნა კი არ არის დამთავრებული. სიმინდის თოხნა შესრულებულია 60 პროცენტით, ბრინჯის —80 პროცენტით, ჩაის—60 პროცენტით, თამბაქოსი—75 პროცენტით. არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება სიმინდის ყანების, კარტოფილის და ბოსტნების მოვლა-პატრონობას.

აჭარისტანის არც ერთ რაიონში არ სწარმოებს ნამუშევარის ზუსტად აღრიცხვა და შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რა მდგომარეობაშია ნათესები.

ძლიერ სუსტად მუშაობენ კოლმეურნეობებიც ნათესების მოვლის დარგში. ეს განსაკუთრებით ითქმის ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებზე.

ამხ. მამულიას სახ. კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები უნუგეშო მდგომარეობაშია მოუვლელობის გამო.

ცუდი მდგომარეობაა შექმნილი გონიოში. აქაურ კოლმეურნეობებს გაშენებული აქვთ ჩაის პლანტაციები 50 ჰექტარზე. კოლმეურნეებმა პლანტაციები უპატრონოდ მიატოვეს და წავიდნენ საზაფხულოდ მთებში. ამჟამად სოფლად არავინ დარჩენილა და ჩაი იღუპება.

ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი ქობულეთის რაიონში, სოფ. შუა-ღელეში. ამ სოფელში არსებობს ჩაის სამი კოლექტივი: „ახალი ცხოვრება“, „ახალი გზა“ და „მშრომელი“, რომლებსაც გაშენებული აქვთ ჩაის პლანტაციები საკმაოდ დიდ ფართობზე. ამჟამად კოლმეურნეობების წევრები იმყოფებიან მთაში და ჩაის მომვლელი არავინ არის.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აჭარ. კოლმ. კავშირმა და აჭარ. მიწსახკომმა კარგად იციან, რომ ბარის მოსახლეობა, მალარიის გამო, ზაფხულობით მიდის მთაში, მიუხედავად ამისა, არ იყო მიღებული ზომები ნათესების დასაცავად მოსახლეობის მთაში ყოფნის განმავლობაში. ეხლა როგორც მიწსახკომში, ისე კოლმ. კავშირში სუფევს სრული დაბნეულობა, არავინ იცის, თუ რა გზით უნდა გამოსწორდეს დაშვებული შეცდომა.

ჯემალ ბურჯაძე.



ჩაის ახალი ფაბრიკა ჩაქვში (როლერნის საამქრო)

ა.-კ. სოფლმშენის დაუდევრობას ბოლო უნდა მოეღოს
(ქობულეთის საბჭოთა მეურნეობა)

ქობულეთის, ამხ. სტალინის სახელობის, ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ოჩხამურში) უყურადღებოდ არის მიტოვებული. მეურნეობის მუშაობას საგრძნობლად აფერხებს მუშა-ხელის სიმცირე — იქ მუშაობს 120 კაცი იმ დროს, როდესაც მოცემული გეგმის შესასრულებლად საჭიროა 700 კაცი.

საბინაო მშენებლობის საქმეში აშკარა გულგრილობას იჩენს „ამ. სოფლმშენი“, რომელსაც ქობულეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობისათვის პირველ კვარტალში უნდა აეშენებინა 8 ბარაკი, მაგრამ დღემდე საშენი მასალაც არ მოუტანია დანიშნულ ადგილზე.

ამ მდგომარეობას კარგად ხედავენ ადგილობრივი ორგანიზაციები, მაგრამ თავს არ იწუხებენ მის გამოსასწორებლად. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო „ამ. სოფლმშენი“-ს დაუდევრობას და გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული მუშების ბინებით უზრუნველსაყოფად. ამავე დროს უნდა მოხდეს გადამჭრელი გარდატეხა მეურნეობისათვის მუშა-ხელის მიწოდების საქმეში.

ა. ჭ.

ჩაის კრეფა ჩაქვში

2500 ჰექტარი ჩაისათვის

ჩხოროწყუ, 9 ივლისი. „საქართველოს ჩაის“ გამგეობის მიერ მიღებულია ზომები ჩაისათვის მიწის ახალი ფართობების აღმოსაჩენად.

9 ივლისს, „საქ. ჩაის“ გამგეობის მიერ გამოყოფილმა ბრიგადამ, სოფ. ლეხიჭინეში გამოიკვლია მასივი — 2.500 ჰექტარი მიწა, რომელიც ჩაის კულტურისათვის ვარგისი აღმოჩნდა.

ახლად გასაშენებელი მიწის ფართობზე პირველი და მეორე ხარისხის სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს.

ჯალაღონია

ჩაის ნათესების გამარგვლას—მთელი ყურადღება
(სენაკის რაიონი)

ჩაის ნათესების გამარგვლის უზრუნველსაყოფად რაიონის პარტიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა 10-15 ივლისამდე გამოაცხადეს ჩაის ნათესების გამარგვლისათვის ლაშქრობის ხუთდღიური.

კოლმეურნეებმა, კომკავშირის წევრებმა და პროფორგანიზაციებმა ადგილებზე მოაწყვეს შაბათობები და ლაშქრობა, რომელმაც დიდი ნაყოფი გამოიღო.

ჩაის ნათესებში თავის დროზე გამარგვლა, მოვლა და პირუტყვისაგან დაცვა, — აი საძირითადო ამოცანა, რომელთა შესრულება ადგილობრივი ორგანიზაციების ყოველდღიურ ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს.

ბ. უჩანეიშვილი



თივის ალება ყარაიას რაიონში

ჟორდანია და მეფის ოხრანკა*)

ამ ბროშურაში მოთავსებული დოკუმენტები, რომლებიც ამხ. ხაჭაპურიძემ აღმოაჩინა საქართველოს სახელმწიფო არქივში და რომლებსაც მანვე გაუკეთა კომენტარიები, ამჟღავნებენ ქართული მენშევიკების პარტიული ბელადის ინტიმურ მიწერ-მოწერას მეფის ჟანდარმებთან და მის მოღალატეობას. 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჟანდარმებმა აღძრეს „საქმე“ ნ. ჟორდანიას შესახებ, მას შემდეგ, რაც იგი სწერდა თავის საზიზღარ უმორჩილეს თხოვნებს, რაც მან გასცა თავისი „თანამოაზრენი“, რაც იგი ნაზად ღუღუნებდა თუ უმორჩილესად ბუზღუნებდა თავის თხოვნებში ჟანდარმებისადმი მოღალატის დაუჯილდოვებელი „გულწრფელობის“ გამო, მოღალატის, რომელმაც შეასრულა „რუსეთის ქვეშევრდომის წმინდა მოვალეობა“, მაგრამ 30 წლის შემდეგაც შეუძლებელია ზიზღი არ გამოიწვიოს ნ. ჟორდანიას „საქმემ“, „პოლიტიკური პატიმრის, აზნაური ნ. ჟორდანიას“ საკუთარი ხელით დაწერილმა, დროით და არქივის მტვერით გაყვითლებულმა თხოვნის ფურცლებმა.

მეფის ჟანდარმებმა სრულიად იოლად შეიძინეს „გულწრფელობა“ კავკასიის ოპორტუნიზმის ამომავალი მნათობისა, რომელმაც არა თუ ჩაიდინა რევოლიუციონერისათვის დაუშვებელი საქციელი—ჩვენება მისცა ჟანდარმებს, არამედ გამცემლობასაც არ მოერიდა. რევოლიუციონური მოძრაობის გარიჟრაჟზე ნ. ჟორდანია აღმოჩნდა საზიზღარი იუდა. და რამდენი ვერცხლისათვის?

ეს „რევოლიუციონერი“ თავის გამცემლობით სახრჩობელას და კატორღისაგანაც კი არ იცავდა თავს, არა, იგი მიისწრაფებოდა ციხიდან უცხოეთის კურორტის წმინდა ჰაერზე. ასეთ გარყვნამდე არ მისულა მეფის არც ერთი ყველაზე უფრო სულმოკლე ტყვეც კი, რომელიც ცოტაოდნად მაინც იყო დაკავშირებული რევოლიუციასთან.

და მიუხედავად იმისა, რომ ნ. ჟორდანიას მთელი შემდგომი მოღვაწეობა ავსებული იყო რევოლიუციის ინტერესების გამცემლობით—როგორც მარქსიზმის გამახინჯებელისა და წვრილ-ბურჟუაზიული ოპორტუნისტისა, შემდეგ სოციალ-პატრიოტისა ანტანტისა და რომანოვების სამშობლოს სასარგებლოთ, შემდეგ გაშმაგებული რეაქციონერისა ოქტომბრის გადატრიალების წინააღმდეგ და, ბოლოს, ინტერვენციის მქადაგებლისა,—მისმა ახლად გამომჟღავნებულმა გამცემლობამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს მუშათა კლასის, მშრომელთა ოჯახის ყოველი წევრის მისხანე აღშფოთება. დღემდე გარდა ქართველი მენშევიკების, მშრომელთა რევოლიუციების გამცემლობაში გამობრძმედილის, „მცხოვანი“ პატრიარქის ცოცხალი ლეში, ეხლა ამყრალდა ახალგაზრდა ჟორდანიაც, რომელსაც, როგორც ზოგიერთს ეჩვენებოდა, არ შეეძლო ასეთი ქედის მოხრა და მუხლებზე ხოხვა მეფის ოხრანკის წინაშე, დიდი „რუსეთის ქვეშევრდომის წმინდა მოვალეობის“ შესრულება—ესე იგი რევოლიუციონერების გამცემლობა.

შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ნ. ჟორდანიას გამცემლობა არ გამოიწვევს ბუნებრივ აღშფოთებას არც ერთი ქვეყნის მენშევიკების ბელადებში, მეორე ინტერნაციონალის დირიჟორებში, რომელთა შორისაც ნ. ჟორდანია ითვლება ერთ-ერთ გამოჩენილ და მებრძოლ წევრად. ოჰ, არა! ამ ინტერნაციონალის ლიდერები ეხლა, თავისი ბურჟუაზიის და მეფის მინისტრების სახით არა თუ იმოსებიან ლაქიების კოსტიუმებში და დაათრევენ დედოფლების გრძელ შლეიფებს „დარბაზობის“ დროს, არამედ ერთგულად და პატიოსნად ემსახურებიან ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულ მონარქიას, მხეცურად უსწორდებიან ყველგან მშრომელთა რევოლიუციონურ მოძრაობას. ისინი ვერ გასჯიან ისე მკაცრად, როგორც ეს შეეფერება ხანგრძლივი ტრადიციების მქონე რევოლიუციონერებს, ნ. ჟორდანიას ქვემძრომობას და გამცემლობას. სოციალ-ფაშიზმის ჯენტლმენებს ვერ აღაშფოთებს ჟორდანიას მოღალატური კავშირი ნიკოლოზ რომანოვის ოხრანკასთან, იმ ნიკოლოზის, რომლის საპატიო სტუმრებიც იყვნენ ხოლმე იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის დროს ბატონი ტომა, ვანდერველდე და სხვ.

მაგრამ მათგან დამოუკიდებლად და მათ წინააღმდეგ ამხ. ხაჭაპურიძის ბროშიურის შემდეგ ნ. ჟორდანიასათვის უზრუნველყოფილია ყოველი ქვეყნის რევოლიუციონერის ზიზღი, განსაკუთრებით საქართველოს მშრომელთა შორის, რომელთაც მრავალი წლის განმავლობაში ატყუებდა ნ. ჟორდანია დამახინჯებული მარქსიზმით და დემოკრატიის ხატით.

როგორ უპასუხა ამ მხილებას თვით ნ. ჟორდანიამ?

თეთრგვარდიელთა გაზეთში „პოსლედნიე ნოვოსტი“ (მილიუკოვის გამოცემა პარიზში, რომელშიაც დაბეჭდილი იყო „ტასს“-ის ცნობა ამხ. ხაჭაპურიძის წერილის შესახებ, 10 მაისის ნომერში მოთავსებულია ნოე ჟორდანიას წერილი რედაქციისადმი, მხილებულს დოკუმენტებით ნ. ჟორდანიას არ შეუძლია გაჩუმდეს, მაგრამ იგი ცდილობს მოტყუებით გავიდეს ფონს.

ხედავთ რაშია საქმე, „ტასს“-მა გადასცა აღმაშფოთებელი ცილისწამება, რომელიც შეთხზულია „ტფილისის საგანგებო კომისიის წიაღში“. „ჩემი ღირსების შეურაცყოფად მიმაჩნია არსებითი პასუხის გაცემა ბოლშევიკებისათვის“, უპასუხებს ნ. ჟორდანია, ცდილობს რა მიიღოს ამაყი გამომეტყველება. ბოლშევიკები ხომ მოურიდებლად „აცხობენ“ ყალბ ცოცხალ ნაწევრებს, მით უფრო ადვილია, მისი აზრით, ყალბი დოკუმენტების დამზადება. და იქვე მორიდებით აღნიშნავს, „მაგრამ მათდა საუბედუროდ, მათ არა აქვთ ძალა ფაქტებზე. რომლებიც მოხდა მათ გაბატონებამდე, ხოლო ყველა ფაქტები მეტყველებენ მათ წინააღმდეგ, წინააღმდეგ მათი სიცრუისა და ცილისწამებისა“...

მაგრამ რით დასჭირდათ ბოლშევიკებს ცილისწამება ჟორდანიას მიმართ 1931 წელს? „ორში ერთი: ან მათ გადასწყვიტეს ანგარიში გაასწორონ მე „მორალური“ საშუალებებით, ან და ამ გზით ცდილობენ ნიადაგის მომზადებას ჩემი ფიზიკურად მოსპობისათვის“.

სიცრუე იყო ერთ-ერთი ძლიერი მხარე წვრილ - ბურჟუაზიული დემოკრატის ნ. ჟორდანიას „მორალურ“-პოლიტიკური პიროვნებისა, ჯერ კიდევ მანამ, სანამ იგი ქართველი მეშჩანების, მედუქნეების და კულაკების პრეზიდენტი გახდებოდა. მაგრამ სიმართლესთან ბრძოლა ყოველთვის მისი გამარცხებით არ დასრულებულა წინადაც, მით უფრო არაფერი გამოვა მისი უკანასკნელი ცდიდან—თავი მოიკატუნოს ალიშიანად, რომელსაც ცილს სწამებენ „ბოროტი“ ბოლშევიკები.

ბოლშევიკებს, რასაკვირველია, არ სჭირდებათ ნოე ჟორდანიას „არსებითი პასუხი“, გამტყვერიანებულმა „საქმემ“, რომელიც შეადგინეს მის შესახებ ჟანდარმებმა, რენტგენის სხივებით გააშუქა მთელი ნ. ჟორდანია, ამ „საქმეში“ ჟანდარმების ნაწერიცა და „სოციალისტ“ ჟორდანიას შემოქმედებაც კლასიკურად ნათელი და გარკვეულია.

დოკუმენტების დედნები, ნ. ჟორდანიას საკუთარი ხელით დაწერილი წერილები ინახება საქართველოს სახელმწიფო არქივში, ყველას შეუძლია მათი დათვალიერება და შემოწმება. აბა, გაბედეთ, ბ. ნ. ჟორდანია, და მოითხოვეთ მათი შემოწმება!

ნ. ჟორდანია მიმართავს ფაქტებს, რომლებზედაც ჩვენ, ბოლშევიკებს, არა გვაქვს ძალა, და რომლებიც თითქოს ლაპარაკობენ საქართველოს სახელმწიფო არქივის თანამშრომლების მიერ მუშაობის პროცესში აღმოჩენილ დოკუმენტების წინააღმდეგ. ეს ალბად იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ნ. ჟორდანიას პოლიტიკური ბიოგრაფია ისეთი კრისტალური და რევოლიუციონურია, რომ შეუძლებელია ნ. ჟორდანიას მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის რომელიმე ეტაპზე მივაწეროთ რაიმე კომპრომისი, რაიმე „ინტიმობა“ კონტრ-რევოლიუციონური ძალებისა, მონარქიისა და მისი მსახურების მიმართ. მოკლეთ, ნ. ჟორდანიას რევოლიუციონური შეურიგებლობის ფაქტების მცხუნვარე სხივებმა უნდა გააქარწყლოს „საქმე“ და ნ. ჟორდანიას საკუთარი ხელით დაწერილი საბუთები.

არაფერი არ გამოვა ბ-ნ ნ. ჟორდანიას ამ ხრიკებიდან.

საარქივო დოკუმენტები დოკუმენტებად დარჩებიან, კიდეც რომ ჟორდანიას მთელი მოღვაწეობა მიმართული ყოფილიყო რევოლიუციის სასარგებლოდ, რაც, რასაკვირველია, არ ყოფილა. რამდენიმე ფაქტი, მხოლოდ რამდენიმე მრავალრიცხოვანი ფაქტებიდან კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ როგორი რევოლიუციონერი იყო ნ. ჟორდანია, კვლავ ჩამოაცილებს მას გაცვეთილ ნიღაბს და გამოამზეურებს მისი სამოსელის „რევოლიუციონურ სიწმინდეს“.

ნ. ჟორდანია იყო ლეგალური მარქსისტული ჟურნალის „კვალის“ ხელმძღვანელი. ეს ჟურნალი იცემოდა თბილისში 1905 წლამდე. ამ ჟურნალის მესამე ნომერში 1901 წელს (ე. ი. იმ წელს, როდესაც ნ. ჟორდანია ეწეოდა „გულწრფელ“ მიმოწერას მეფის ოხრანკასთან) პირველ გვერდზე მოთავსებულია ინგლისის გარდაცვლილი დედოფლის ვიქტორიას სურათი, რომელსაც ახლავს ნ. ჟორდანიას მიერ დაწერილი და ხელმოწერილი სტატია (მოწინავე!). ეს წერილი ჟურნალის სამ ფურცელზეა გაჭიმული.

აი „რევოლიუციონერ“ ნ. ჟორდანიას მიერ ინგლისის დედოფლის დახასიათების ნიმუში: „ამნაირად, როგორც ვხედავთ, ვიქტორიას მეფობა არის მეფობა ხალხის და ინგლისის ერს მხოლოდ მის მეფობაში მიეცა მოქმედების ფართო თავისუფლება და ამან შესაფერი ნაყოფიც გამოიღო“...

შემდეგ მოჰყავს ცნობები ინგლისის იმპერიის ყოველმხრივად განვითარებისა და კოლონიალური გაფართოების შესახებ უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში და აღტაცებით განაგრძობს: „ამრიგად, ვიქტორიას მეფობის დროს ინგლისი გაძლიერდა ყოველმხრივად ეკონომიურად, ფინანსიურად, პოლიტიკურად, სოციალურად და სხვ. ახლომა შინაგანმა გაძლიერებამ გამოიწვია საგარეო გაძლიერებაც. ინგლისის სამფლობელო ორმაგად და სამმაგად გაფართოვდა. ამასთანავე იგი გაბატონდა ზღვებზე და ააგო ყველაზე ძლიერი საომარი გემები“.

იწმენდს რა, ალბად, თვალზე მორეულ ცრემლებს, ნ. ჟორდანია ასე ათავებს თავის სტატიას: „და აი, ვისი მეფობის ქვეშ მოხდა ყოველივე ის, იგი დღეს აღარ არის. დედოფლის გარდაცვალებას ღრმად იგლოვებს მთელი ინგლისი და ეს იქნება ნამდვილი გლოვა ხალხისა“...*)

გასული წლის 50-იან წლებში მარქსი ახასიათებს ინგლისს, როგორც „მსოფლიო ბაზრის დესპოტს. 50 წლის შემდეგ ბურჟუაზიული ინგლისი გადაიქცა ყველაზე მტაცებლურ იმპერიალისტურ ქვეყნად, რომლის სისხლიანმა ბატონობამ სატანჯველში ჩააგდო პროლეტარების ახალი მილიონები და კოლონიალური მონების ასეული მილიონები“.

ჩვენი „მარქსისტი“ ჟორდანია კი, როგორც ერთგულ ქვეშევრდომს შეეფერება, ქება-დიდებით იხსენიებს დედოფალს თავისი და „მთელი ინგლისის ხალხის“ სახელით, იმ დედოფალს, რომლის მეფობის დროსაც ინგლისი სისხლიან იმპერიალისტურ სახელმწიფოთ გადაიქცა.

ამ ხოტბა - დიდების შემდეგ გავიდა ცოტა ხანი და ნ. ჟორდანია ხდება ავტორად ამჟამად აღმოჩენილ თხოვნებისა ჟანდარმებისადმი და მათთვის „გულწრფელ“ ცნობების მიმწოდებლად თავის ამხანაგების შესახებ.

ლეგალური „მარქსისტი“ გადაიჩეხა გამცემლობის უფსკრულში. მაგრამ, როგორც ხედავთ, იგი ამ უფსკრულში გადაიჩეხა სულ ერთი ვერშოკის სიმაღლიდან. ნ. ჟორდანია იმ დროს წინააღმდეგი იყო პარტიის არალეგალური ბეჭდვითი ორგანოს გამოცემისა და ცდილობდა, რომ პარტორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოდ გამხდარიყო ჟურნალი „კვალი“.

ასეთია ფაქტი, რომელიც ბოლშევიკებს არ ექვემდებარება.

მაგრამ აი ფაქტი ნ. ჟორდანიას „შეურიგებელი „რევოლიუციონური წარსულიდან“ — იმპერიალისტური ომის პერიოდიდან. მაშინ ჟორდანია ასრულებდა „რუსეთის ქვეშევრდომის წმინდა მოვალეობას“, იგი გახდა „ობორონცად“, მაგრამ არა უბრალო, არამედ პრინციპიალური, აღფრთოვანებულ „ობორონცად“. ასეთი კარიერა არა თუ საზიზღარია, არამედ საკმაოდ ძნელიც პატიოსანი დემოკრატისათვისაც კი მეფის რუსეთში, ხალხთა ამ ორმაგ ციხეში — კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრის ქვეყანაში. ნ. ჟორდანია იმპერიალისტური ომის დროს ღიად ცარიზმის გამარჯვების მისწრაფებით. იგი ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდა რუს, უკრაინელ, ქართველ, ებრაელ, სომეხ, თურქ, თუ სხვა ეროვნებათა მილიონ მუშებს, რომ ამით უზრუნველეყო ანტანტის და რუსეთის მეფის გამარჯვება.

ეს „ფაქტი“ ნ. ჟორდანიამ ალბათ ჩაიწერა თავის რევოლიუციონურ ფორმულიარში, მაგრამ მეფის ჟანდარმებმაც ჩასწერეს იგი, და სრული უფლებითაც, თავის მიღწევების ფორმულიარში. ნოე ჟორდანია—ჩვენი ანკეტის ერთი მეორეს მაშინდელი ჟანდარმები და ერთგვარი ჟანდარმული პატივისცემით ეკამათებიან კიდეც მათ, ვისაც ეკუთვნის ნ. ჟორდანია —ამ მშრომელთა მასების იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის საწინააღმდეგო რევოლიუციონური პროტესტის გამანეიტრალებლის—პატრიოტულ ერთგულებაში მეფისადმი.

აი ერთ-ერთი ჟანდარმული ამბავი, რომელიც მაშინ სავსებით დაიმსახურა სოციალ-გამყიდველმა ნ. ჟორდანიამ.

„ანი“—ეს არის კავკასიის სოციალ-დემოკრატის ნ. ჟორდანიას ფსევდონიმი. ის აზრი, რომ „ანს“ არა ჰყავს მიმდევრები ომის საკითხში—სავსებით სწორი არ არის. საქმე იმაშია, რომ, როგორც ცნობილია, პირველ კონფერენციაზე, ომის დაწყებისთანავე, კავკასიის სოციალ-დემოკრატია დაადგა „ნეიტრალიტეტის“ გზას, მაგრამ ფაქტიურად პარტიაში ბატონობდა „პორაჟენცული“ განწყობილება. მაშინ ემიგრესობაში დარჩენილი ნ. ჟორდანიას იარაღი არ დაუყრია და იგი ერთი წლის განმავლობაში ბეჭდავდა წერილებს, რომლებშიაც ამტკიცებდა რუსეთის დამარცხების დაუშვებლობას და მოუწოდებდა ხალხს სამშობლოს დაცვისაკენ.. ეხლა ყველა გრძნობს რომ „ანის“ პოზიცია განმტკიცდა და ოქტომბრის 4 მოწვეულ თათბირზე გაიმარჯვა თავდაცვის იდეამ, რომელსაც „ანი“ იცავდა“.

ეს არის ამონაწერი ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკ. ტრესკინის მოხსენებიდან, რომელიც ინახება საქართველოს რევოლიუციის მუზეუმში, როგორც იმ დროინდელი ჟანდარმთა სხვა, ჟორდანიასათვის არა სასიამოვნო, მოხსენებები*).

აი კიდევ ფაქტი მრავალრიცხოვან ფაქტებს შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ნოე ჟორდანიას პრეზიდენტობის პერიოდში. ეს ფაქტი მოწმობს ნ. ჟორდანიას „უდიდეს რევოლიუციონერობას“.

ინგლისელ ოკუპანტ გენერალ ფორესტერთან საუბარში 1919 წ. 13 სექტემბერს ნ. ჟორდანია გულახდილად აცხადებს: „მე მთავრობის თავმჯდომარე კვლავ ვიმეორებ, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობა, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე პუბლიცისტური მიმართული იყო ინგლისისა და საფრანგეთის სასარგებლოდ, ვიმეორებ, რომ ჩემი სიმპატიები არ გამოცვლილა არც ომის დროს და არც ამჟამად“.

რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ეფერება გენერალ კორის, რომელსაც უსაყვედურა უოკერი და მისთვის მსგავსად ფიქრები „თავისუფალ“ საქართველოს მთავრობის მაგიდაზე დაიწყო: „მე პირადად 25 წლის განმავლობაში და მრავალი სხვაც მთავრობის ეხლანდელი წევრებიდან, ვეწეოდით პროპაგანდას ინგლისელების სასარგებლოდ, მაგრამ მე ეხლაც უნდა გამოვაცხადო, რომ ასეთი მოქცევა ბრიტანეთის ხელისუფლებათა მხრივ ანგრევს ჩვენს მუშაობას“.

ეს მარგალიტები ნ. ჟორდანიას 25 წლის გულწრფელი ერთგულებისა იმპერიალიზმისადმი ამოღებულია ნ. ჟორდანიას მრავალრიცხოვან საუბრებიდან ინგლისის გენერლებთან. ეს საუბრები გამოცემულია ამხ. სედის მიერ**) 25 წლის პროპაგანდა იმპერიალიზმის, ინგლისის მეფის, ჩემბერლენებისა და კერზონების სასარგებლოდ, იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ— ასეთია „რევოლიუციონერ“ ნ. ჟორდანიას ავტოპორტრეტი.

მაშ რა გასაკვირია, რომ ეს კერზონისგვარი მარქსისტი აღმოჩნდა კონტაქტში დენიკინთან და ვრანგელთან და მათთან ერთად სცემდა ერთ წერტილში ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

რისთვისღა უნდა დასჭირებოდათ ბოლშევიკებს ნ. ჟორდანიას სხვა პორტრეტი? რომელიმე რევოლიუციონერის გამცემი 1901 წელს, იგი გახდა იმ მილიონების გამცემლად, რომლებმაც დაიპყრეს პროლეტარიატის დიქტატურა აქ და იბრძოდნენ მისთვის.

ასეთია ფაქტები, რომლებიც მართლაც არ ექვემდებარებიან ბოლშევიკებს, მაგრამ რომლებიც ამჟღავნებენ ნ. ჟორდანიას. ნ. ჟორდანია თავს ვერ დაიძვრენს ამ ფაქტებისაგან. ამხ. ხაჭაპურიძის ბროშიურა მისთვის საფლავის მძიმე ლოდია. მის ქვეშ განისვენებს უკანასკნელი ნაგლეჯი იმ წარმოდგენისა ნ. ჟორდანიაზე, რომელიც მას სახავდა „რევოლიუციონერად“ ცარიზმის წინააღმდეგ.

და რამდენად უსაზღვრო სიცრუის და ცილისწამების მარაგი უნდა ჰქონდეს ჯერ კიდევ ნ. ჟორდანიას, რომელიც ცდილობს თავისი თავი გამოიყვანოს ბოლშევიკების მიერ ფიზიკური მოსპობისათვის განწირულ მსხვერპლად!

რა უბადრუკია გამომჟღავნებული მოღალატის ეს ხრიკები! ჩვენ არც დრო გვაქვს ამისათვის და არც გვჭირდება ასეთი რამ. ჩვენ ვსპობთ კაპიტალიზმის ნაშთებს ძლევამოსილი ოქტომბრის ქვეყანაში. ჩვენ სოციალისტური გუთნით ვხნავთ ნიადაგს, რომელზედაც იზრდებოდა კაპიტალიზმი თავისი იდეოლოგიით, თავისი მცველებით, და სრულიად გულგრილად ვუყურებთ კერძო საკუთრების ამა თუ იმ მოციქულის და კაპიტალიზმის მქადაგებლის არსებობის ხანგრძლივობას, რამდენადაც ჩვენ იგი არ გვშლის საბჭოთა ხელისუფლებაზე ამართული მახვილით ხელში. მაგრამ, თუ მაინცა და მაინც ჩვენ დავინტერესდით ნ. ჟორდანიას ფიზიკური არსებობით, ყოველ შემთხვევაში ჩვენ მას ხანგრძლივი სიცოცხლე უნდა ვუსურვოთ, რადგან სავსებით დავიწყებულმა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მიერ, მან ეხლა თვითონ მოუგდო თავი თავისი წინანდელი მოღალატეობით და თვით გააკრა თავისი თავი სამარცხვინო ბოძზე. იგი გადაიქცა „სასარგებლო“ საჩვენებელ მაგალითად ყოველი მუშისათვის, ყოველი კოლონიალური მონისათვის: აი მენშევიზმის მცხოვანი მეპაირასტრე, აი სოციალ-ფაშიზმის ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის და ინტერვენციის ინტერნაციონალის ერთ-ერთი დედა-ბოძი.

ისიამოვნეთ დიდხანს, ბ-ნო ჟორდანია, ახალი სამარცხვინო დიდით! თქვენი პოლიტიკური ბიოგრაფია უკვე დასრულებულია: იგი დაიწყო 30 წლის წინად სათაურით—ფარული გამცემლობა, და დასრულდა თეთრგვარდიელთა ემიგრაციაში სათაურით—ინტერვენცია.

ბურჟუაზიული რეაქციის ქალარა იუდა პარიზში აგვირგვინებს იუდის ხვედრს, რომელიც მან მეტეხის ციხეში დაიწყო.

⁂

ჟურნალის გამოსვლის წინ ჩვენ გადავეცანით ნ. ჟორდანიას წერილს, რომელიც მოთავსებული იყო კერენსკის თეთრგვარდიულ ჟურნალში „დნი“—7 ივნისს, პასუხად უკანასკნელის თანამშრომლის წერილზე ნ. ჟორდანიისადმი.

მარქსი პრუდონის შესახებ სწერდა, რომ წვრილი ბურჟუა მოქმედებს „ერთის მხრით“ და „მეორე მხრით“, ამავე დროს „მეცნიერული გაბედულობა და პოლიტიკური კომპრომისის სულისკვეთება“ წარმოადგენს დამახასიათებელ თვისებას, რომელიც ახასიათებს წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის ნიჭიერ წარმომადგენლებსაც კი. ამ შემთხვევაში ნ. ჟორდანია გაიძვერაობს არა მეცნიერულად, არამედ სრულიად ელემენტარული საშუალებებით.

მან უკვე მიიღო თბილისის გაზეთების ნომრები, სადაც მოთავსებულია მისი ხელით დაწერილი წერილების და ჟანდარმების მოხსენებების ფოტოგრაფიული სურათები. მას უკვე აღარ შეუძლია, როგორც თავის პირველ წერილში, შეინარჩუნოს პატიოსანი ადამიანის აღშფოთების პოზა და ყალბად ჩათვალოს არსებითი პასუხის გაცემა ბოლშევიკებისათვის; მას აღარ შეუძლია ყველა გამოქვეყნებული დოკუმენტების ყალბ, „თბილისის საგანგებო კომისიის“ მიერ შეთხზულ დოკუმენტებად გამოცხადება. ეხლა იგი იძულებულია „მანევრებისა“ და გაიძვერაობის გზას დაადგეს, იგი სწერს: „გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ძნელია იმის გამოცნობა, თუ რომელია ნამდვილი და რომელია შეთხზული“.

ნ. ჟორდანიას მეორე თეზისია: „ეგრედ წოდებული „განცხადებები“, კიდეც რომ ნამდვილი იყოს, ამტკიცებენ მხოლოდ ერთს—ჩემს დაჟინებით სურვილს არ ვმჯდარიყავი ციხეში ბრალდების წამოყენებლად, დაუკითხავად, ისე, რომ არ მიმეღო ზომები ჩემს განთავისუფლებლად“.

აქ კომენტარიები ზედმეტია. იგი იძულებულია, თუმცა გაიძვერული მანერობით, აღიაროს აღმოჩენილ დოკუმენტების ავტორობა. „ციხიდან განთავისუფლების სურვილმა“ უკარნახა მას ინტიმობა ჟანდარმებთან, თანამოაზრეთა გაცემა, ხოლო შემდეგ უბადრუკი ჩივილი დაუჯილდოებელი გულწრფელობის შესახებ.

არა, ნ. ჟორდანია ვერ გაექცევა სამარცხვინო ბოძს, რომელზედაც მიაკრეს იგი არქივში აღმოჩენილმა დოკუმენტებმა მისი საიდუმლო გმირობის შესახებ მეტეხის ციხეში.

---

*) ეს სტატია წარმოადგენს ბროშურას—„Ной Жордания и царская охранка“-ს წინასიტყვაობას. წიგნი ამ დღეებში გამოვა.

*) ჟურ. „კვალი“-ს კომპლექტი ინახება საქ. რევოლიუციის მუზეუმში და აგრეთვე თბილისის დიდ ბიბლიოთეკებში.

*) ამ მოხსენებიდან ამონაწერები გამოქვეყნებულ იქნა 1927 წ. მ. ორახელაშვილის ბროშურის „Закавказские большевистские организации 1917 г.“ დამატების სახით. გამოც. „Закнига“-სა.

**) „საქართველოს „დემოკრატიული მთავრობა“ და ინგლისის სარდლობა“.

გაშლილი ბრძოლით დიდმპყრობელური შოვინიზმის, როგორც მთავარი საფრთხის, და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ—უზრუნველვყოთ სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება

> „ველიკორუსულ-ი შოვინიზმისაკენ გადახრის რაობა მდგომარეობს იმაში, რომ გვერდი აუხვიონ ნაციონალურ ხვადასხვაობას, ენის, კულტურის, ყოფაცხოვრების სხვადასხვაობას, რომ მოამზადონ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ლიკვიდაცია, ძირი გამოუთხარონ ნაციონალური თანასწორობის პრინციპს, სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას პრესის, სკოლისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების ნაციონალიზაციის საქმეში".
>
> სტალინი

> „ადგილობრივ ნაციონალიზმისაკენ გადახრის რაობა მდგომარეობს მისწრაფებაში განთავისუფლებისაკენ, თავის ნაციონალურ ნაჭუჭის ჩარჩოებში ჩაკეტვისაკენ, მისწრაფებაში თავის ნაციის შიგნით კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვისაკენ, მისწრაფებაში, რომ თავი დაიცვან დიდმპყრობელური შოვინიზმისაგან სოციალისტური მშენებლობის საერთო ნაკადიდან განდგომის გზით, მისწრაფებაში—არ იქნას დანახული ის, რაც აახლოვებს, აერთიანებს საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს და დანახულ იქნას მხოლოდ ის რასაც შეუძლია მათი ერთი მეორისაგან დაშორება".
>
> სტალინი

პარტიის ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯების წინააღმდეგ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომ. პრეზიდიუმის და მუშგლეხინის კოლეგიის 1931 წ. [illegible] ივლისის გაერთიანებული სხდომის რეზოლუცია

ალაზნის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობა

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის - მუშგლეხინის ინსტრუქტორის ამხ. [illegible] ინფორმაცია ალაზნის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობაში ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯებების შესახებ, ადასტურებს, რომ საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციამ და მისმა ხელმძღვანელობამ ვერ გაატარეს ცხოვრებაში საქ. კ.პ. (ბ) მე-16 ყრილობის უმნიშვნელოვანესი დირექტივა ნაციონალურ საკითხში გადახრებთან და მათდამი შემრიგებლობასთან ორ ფრონტზე გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო საბჭოთა მეურნეობაში დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის ზრდას და გამოცოცხლებას, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს შემდეგ ფაქტებში:

1. მთელ რიგ სპეციალისტების (აგრ. კროუკოვის, ესილიევის და სხვ.) დიდმპყრობელურ გამოსვლებში პარტიის იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია მუშათა ნაციონალური კადრების შექმნისა და მოწინავეობისაკენ საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე იმ სპეციალისტების—ნაციონალების ოთვალისწინებებში და მათდამი უნდობლობაში, რომლებმაც დაამთავრეს საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლები.
2. ზოგიერთი მუშაკის მიერ (ათისთავი შურკო და სხვ.) დიდმპყრობელობის ხაზის გატარებაში მკვიდრი ეროვნების მუშათა გასადევნად საბჭოთა მეურნეობიდან და ამავე დროს ყუბანის მუშების შოვინისტურ მფარველობაში, აგრეთვე მუშებს შორის ეროვნული შუღლის გაღვივების შეურაცხმყოფელი ხაზის გატარებაში.
3. ზოგიერთი მუშაკის მიერ (საბჭოთა მეურნეობის კანტორის მუშაკები) მუშებისაგან ქართულ ენაზე დაწერილ განცხადებების მიღებაზე უარის თქმაში, ქართული ენის, როგორც „ძაღლური" ენის წინააღმდეგ ბუხჰალტერ ბოროვსკის მხრივ საძაგელ შოვინისტურ გალაშქრებაში.
4. საბჭოთა მეურნეობის დირექციის წასისიანებასა და მისთვის ნაციონალიზმის დაწამებაში და იმ არაქართველ მუშების დევნაში, რომლებიც ადგან სწორ გზას ჩრდილოეთ - კავკასიიდან გადმოხვეწილ კულაკურ ელემენტებისა და თეთრგვარდიელებისაგან საბჭოთა მეურნეობის გაწმენდის საკითხში.
5. მენშევიკურ - ნაციონალისტურ ელემენტების მიერ ჩამოსულ სპეციალისტების (ინჟენერ თაყუბოვის და ჰიდროტექნიკოს სამოგვიკოვის) დევნაში, საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკური პერსონალის ერთ ნაწილისა და ქართველ მუშების ჩამორჩენილ ფენებს შორის მენშევიკური იდეის—„საქართველო ქართველებისათვის" გავრცელებაში.
6. შოვინისტურად განწყობილ მიწისმზომელთა ერთი ჯგუფის შეურაცხმყოფელ გამოსვლაში, რაც გამოიხატა მუშა ნაციონალის ცემაში ლოზუნგით „დასცხე სომეხს, ისინი არავის არ უყვარს".

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია ადასტურებენ, რომ ორივე სახის შოვინიზმის გამომჟღავნების ეს ფაქტები შედეგია მთელ ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის ჩვენს ქვეყანაში მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე და ამასთან დაკავშირებით კლასობრივი ბრძოლის გამწვავების და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებისათვის იმ დრომოჭმულ კლასების წინააღმდეგობის გაწევის, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ შორის სიძნელეები და კოოპერატიულ - მომმარაგებელ და სხვა ორგანიზაციების ცალკე დეფექტები პარტიის გენერალური ხაზის სახელის გასატეხად, შეიტანონ უპარტიო სპეციალისტებსა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაბმულ მუშათა ახალ კადრებს შორის ნაციონალური ურთიერთობის გამწვავების ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ჩაშლის მიზნით.

მაგრამ გაერთიანებული სხდომა აღნიშნავს, რომ დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის განვითარებისათვის პირობების შექმნაში დიდი როლი ითამაშა იმან, რომ საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა, პროფესიონალურმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს თავიანთი მუშაობის გარდატეხა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანებთან შეფარდებით, ვერ შესძლეს ნაციონალიზმის გამოაშკარავების ცალკე ფაქტებიდან პრინციპიალური პოლიტიკური დასკვნების გამოყვანა პარტიულ - მასიური მუშაობის მოსაგვარებლად, ინტერნაციონალური აღზრდის გასაძლიერებლად და პარტიულ და უპარტიო მუშათა მასების აქტივობის ფართო მობილიზაციისათვის დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია განსაკუთრებით აღნიშნავენ პარტიის სიღნაღის რაიკომის და რაიონულ საკონტროლო კომისიის - მუშგლეხინის მეტად სუსტ ხელმძღვანელობას საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანებისადმი მიდგომას, აგრეთვე ორივე სახის შოვინიზმის გამომჟღავნების კონკრეტულ ფაქტებთან ბრძოლის მნიშვნელობის არასათანადოთ შეფასებას, რამაც მთელ რიგ შემთხვევებში გამოიწვია პარტიის ყრილობათა, საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ნაციონალურ საკითხში გადახრებთან გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ მოცემულ უმნიშვნელოვანეს დირექტივების შეუსრულებლობა.

საჭიროდ იქნას ცნობილი განსაკუთრებულად მითითოს სიღნაღის რაიკომს, რაიონულ საკონტროლო კომისიას — მუშგლეხინს და საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციას აპარატის გაქართულების და საბჭოთა მეურნეობაში საქმის წარმოების ქართულ ენაზე გადაყვანის შესახებ პარტიის დირექტივის დაუშვებელ უგულებელყოფაზე, რაც ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გადაჭრის დარგში პარტიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა პოლიტიკური და პრინციპიალური მნიშვნელობის არასათანადოთ შეფასების პირდაპირი შედეგია.

ყოველივე ამის გამო, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიის გაერთიანებული სხდომა ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციას დაუყოვნებლივ გააჩაღოს მუშაობა დიდმპყრობელური შოვინიზმის, როგორც ეხლანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხისა და მისი მასაზრდოებელი ადგილობრივი ნაციონალიზმის შინაარსისა და იდეური საფუძვლების გამოსაშკარავებლად, მოაწყოს საბჭოთა მეურნეობაში პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ფართო პროპაგანდა და გადამწყვეტი წინააღმდეგობა და შეურიგებელი ბრძოლა გაუწიოს ორივე სახის შოვინიზმის კონკრეტულ გამოხატულებას, მის გამომხატველებს და მათდამი შემრიგებლობას.

2. საქართველოს კ.პ. (ბ) სიღნაღის რაიკომმა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მთელი პარტმუშაობის გარდატეხა საბჭოთა მეურნეობაში პარტიულ - მასიური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლის თვალსაზრისით, გაამახვილოს ყურადღება მუშაობის გაშლაზე ინტერნაციონალური აღზრდისათვის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ, უპარტიო და კომკავშირელ მუშათა მასებს შორის და ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნამდვილად გაშლისათვის პარტიულ და უპარტიო მასებში და ეს თვითკრიტიკა უმთავრესად მიმართოს შოვინიზმის კონკრეტულ გამომხატველთა გამოსაშკარავებისაკენ.

საბჭოთა მეურნეობის უჯრედის წევრებმა და კანდიდატებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ აუცილებელია გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევა ანტისაბჭოთა და შოვინისტური ელემენტებისადმი — გამოიყენონ საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის ცალკე შეცდომები და კოოპერატიულ - მომმარაგებელ ორგანიზაციების მუშაობის დეფექტები პარტიის გენერალური ხაზის სახელის გასატეხად და ნაციონალური შუღლის გასაღვივებლად უპარტიო მუშებს შორის.

3. გადახრების შესახებ პარტიის დირექტივების სწრაფად განხორციელებისათვის, რაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს და საქმის წარმოების ქართულ ენაზე გადაყვანის მიზნით, საქართველოს კ.პ. (ბ) სიღნაღის რაიკომმა და საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციამ მიიღონ შემდეგი ზომები:

ა) დასახონ მთელი რიგი ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობის ცალკე ორგანიზაციებისათვის (საბჭოთა მეურნეობის კანტორა, საამშენებლო კანტორა და სხვ.) ქართულ ენაზე საქმის წარმოების გადასაყვანად, ეს ამოცანა განხორციელდეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა; ამასთან უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციებში განცხადებების მიღება მუშების მშობლიურ ენაზე; ბ) მოაწყონ მუშაკების მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები ქართულ ენაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობიდან მუშაკთა ტექნიკური კადრების მომზადებას; გ) საბჭოთა მეურნეობისათვის ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობიდან მუშათა მუდმივი კადრების შექმნისა და მომზადების მიზნით, კავშირი მის მეზობლად არსებულ კოლმეურნეობებთან კოლმეურნეობიდან საჭირო კადრების გამოსაყოფად, შეარჩიონ მათ სპეციალობა (ტრაქტორისტების, მეწველებად მომუშავეების აღრიცხვები და სხვ.), რათა ისინი გამოყენებულ იქნან როგორც ძირითადი გადამწყვეტი რეზერვი საბჭოთა მეურნეობისათვის, აგრეთვე დაამყარონ საბჭოთა მეურნეობაში ქალთა შრომის მიზიდვის და გამოყენების გეგმა. მთელი ეს მუშაობა ჩატარდეს საბჭოთა მეურნეობის მიერ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებათა დადების საფუძველზე. და იგი უზრუნველყოფილ იქნას წინასწარი მასიური ორგანიზაციული მუშაობით კოლმეურნეებს შორის; დ) როგორც წესი საბჭოთა მეურნეობის უჯრედის ბიუროში ყველა კრებების სხდომები საბჭოთა მეურნეობაში ჩაატარონ ერთდროულად ქართულ და რუსულ ენებზე.

4. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციას მუშათა კადრებით მეურნეობის შევსების დროის სასტიკად ადევნონ თვალყური სამუშაოზე მიღებულთა სოციალურ მდგომარეობას და არ მისცეს საშუალება თეთრგვარდიელებს, კულაკებს და ანტისაბჭოთა ელემენტებს შეიპარონ საბჭოთა მეურნეობაში.

5. დიდმპყრობელური განწყობილების გამოაშკარავებისა და მუშებსა და სპეციალისტებს შორის ნაციონალური შუღლის გაღვივების ცდებისათვის გამოეცხადოს აგრონომ კროუკოვს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით, რომ შემდეგში ანალოგიური მოქმედების განმეორების დროს იგი შესაფერ ორგანიზაციებს დააყენებს მკაცრი ზომების მიღების აუცილებლობის წინაშე.

6. მოიხსნას სამუშაოდან საამშენებლო კანტორის ბუხჰალტერი ბოროვსკი და ათისთავი შურკო, როგორც აშკარა დიდმპყრობელები.

7. პოლიტიკური სიბეცის გამოჩენისა და დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის ფაქტებზე გამოუჩენლობისათვის გამოეცხადოს საყვედური სიღნაღის რაიონულ საკონტ. კომისიის - მუშგლეხინის თავმჯდომარეს ამხ. ნაზარიშვილს და განთავისუფლებულ იქნას იგი საკონტროლო კომისიის - მუშგლეხინის თავმჯდომარეობისაგან, საქართველოს კ.პ. (ბ) სიღნაღის რაიკომმა განახილოს საბჭოთა მეურნეობის უჯრედის ბიუროს შემადგენლობა, რომელმაც ვერ გაუძლო მუშაობას და რომელმაც ვერ შესძლო პარტორგანიზაციის მობილიზაცია გადახრებთან საბრძოლველად ნაციონალურ საკითხში და უზრუნველყოს საბჭოთა მეურნეობის უჯრედი უფრო ძლიერი მუშაკებით.

8. ალაზნის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაობაში ჩამორჩენის ლიკვიდაციის და მეურნეობაში პარტიულ - მასიური მუშაობის გარდატეხის მიზნით, ეთხოვოს საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაგზავნოს იქ პარტორგანიზატორათ ჯგუფი ერთი თვის ვადით.

9. საჭიროდ ჩაითვალოს საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის და ა-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წინაშე საკითხის დასმა იმის შესახებ, რომ ამიერ - კავკასიის მებამბეობის შესაფერმა ორგანიზაციებმა (ა-კ. მებამბეობის მთავარი კომიტეტი, ა-კ. მებამბეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და სხვ.) განახორციელონ პარტიის დირექტივები ალაზნის საბჭოთა მეურნეობის გაქართულების შესახებ და გარდაქმნან თავიანთი მუშაობა საბჭოთა მეურნეობის მომსახურებისათვის ქართულ ენაზე.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს კ.პ. (ბ) სიღნაღის რაიკომს დაამუშაოს ეს დადგენილება რაიონის ყველა უჯრედებში და უზრუნველყოს იგი შესაფერი მომხსენებლებით.

აღმოფხვრათ ნაციონალიზმი ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში

ამხ. მოლოტოვის სახელობის ამიერ კავკასიის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ადგილი ჰქონდა ნაციონალისტურ გამოსვლებს. ჯერ თავიდანვე იქნა დაშვებული შეცდომა; ინსტიტუტში მიღებულ სტუდენტთა 75 პროცენტზე მეტი ქართველებია მაშინ, როდესაც ინსტიტუტი ამიერ-კავკასიის სახელს ატარებს და უნდა აერთიანებდეს ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებებს. სხვათა შორის ამანაც შექმნა პირობები ნაციონალისტურ გადახრებისათვის, რასაც ადგილი ჰქონდა ინსტიტუტში მრავალ საკითხების მოგვარების დროს.

ასე მაგალითად, პროფესორთა შორის მომხდარი კონფლიქტში სტუდენტების ერთმა ნაწილმა დაივიწყა პროლეტარული სტუდენტების მოვალეობა და ნაციონალური თვალსაზრისით მიუდგა კონფლიქტის განხილვას.

ახლო წარსულში იდგა საკითხი ა.-კავკასიის ქიმიურ - ტექნოლოგიური ინსტიტუტის სომხეთში გად[illegible] შესახებ. ამან გამოამჟღავნა ბევრი ქართველ მასწავლებლისა და სტუდენტის ნაციონალისტური ბუნება. მათ მოჰყავდათ სხვადასხვა ყურით მოთრეული საბუთები ინსტიტუტის სომხეთში გადატანის წინააღმდეგ, ავრცელებდნენ წინასწარ შეთხზულ პანიკურ ხმებს სომხეთში ცხოვრებისა და სწავლის ცუდი პირობების შესახებ და სხვა. პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციამ თავის გაერთიანებულ კრებაზე იმსჯელა ამ საკითხის შესახებ. ბოლშევიკური პირდაპირობით გაკიცხა ქართული შოვინისტური გამოსვლები ინსტიტუტში. პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციამ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა საკ.კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს ინსტიტუტის სომხეთში გადატანის საქმეში, თუ კი საოლქო კომიტეტი ამას საჭიროდ დაინახავდა.

რომ ამიერ-კავკასიის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მაგრად ჰქონდა გადგმული ფესვები ქართული ნაციონალისტური განწყობილებებს, ეს ჩანს შემდეგი ფაქტებიდანაც: ინსტიტუტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ძველი, ეხლა უკვე მოხსნილი ხელმძღვანელობის დროს, მოხსენებებსა და კამათს აწარმოებდა მხოლოდ ქართულ ენაზე, რაიც იძულებულს ხდიდა ქართულის არმცოდნეთ დაეტოვებიათ კრებები.

პირწავარდნილი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ძველი პროფკომის ხელმძღვანელები და ქიმმრეწვის მმართველი მაისაშვილი სტუდენტებისათვის ერთდროული დახმარების გაწევის დროს სავსებით ივიწყებდნენ არაქართველ ღარიბ სტუდენტობას. რომ ნახოთ სია სტუდენტებისა, რომელთაც სტუდენტთა ორგანიზაციიდან დახმარება მიუღიათ, მათ შორის გარდა ქართული გვარებისა ვერც ერთ სხვა ეროვნების გვარს ვერ წააწყდებით.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა გამოიკვლია ამიერკავკასიის ქიმიურ - ტექნოლოგიურ ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდგომარეობა. თბილისის კომიტეტმა დაშალა პარტბიუროსა და პროფკომის ძველი შემადგენლობა და პარტიიდან გამორიცხა ორი კაცი. ინსტიტუტის ახალი პარტიული ხელმძღვანელობა ენერგიულად უნდა მოეკიდოს საქმეს, მან უნდა განაგრძოს შეურიგებელი ბრძოლა ნაციონალისტური გადახრების მავნე შედეგების წინააღმდეგ, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ამიერ კავკასიის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტის სინამდვილეში.

მ.—ძე.

ბოროტმოქმედნი და შოვინისტები

ა.-კ. წყალთა მეურნეობის საცდელ - საგამოკვლევო შენობათა მშენებლობის პარტუჯრედმა გამოამჟღავნა ადგილობრივი ნაციონალიზმის კონკრეტული ფაქტები.

ამავე უჯრედის პარტიის წევრ გასპაროვს სურდა თავის გარშემო შემოეკრიბა გადაგვარებული პიროვნებები რათა შეესუსტებიათ უჯრედის მუშაობა და თავიანთი ბნელი საქმეები მოეჭახრაკებიათ.

გასპაროვის გარშემო დარაზმულთა შორის იყო გრიგორიანი, გარიცხული პარტიის რიგებიდან, როგორც ინტრიგანი და შოვინისტი, ის აწარმოებდა ბრძოლას გასპაროვთან ერთად პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ ეროვნულ საკითხში; გასპაროვის წრეში იყო აგრეთვე აირაპეტოვი —საწყობის გამგე, რომელიც მოხსნილ იქნა სამსახურიდან, როგორც სამუშაოსადმი შეუფერებელი და გამფლანგველი. გასპაროვი, გრიგორიანი და აირაპეტოვი გაიძახოდნენ: „სამუშაოზე ქართველები გასაქანს არ აძლევენ სომხებს"-ო, „ქართველები ავიწროებენ და დევნიან სომხებსა"-ო და სხვ.: ნაციონალისტური საფარით მათ სურდათ მიეჩქმალათ თავიანთი ბოროტმოქმედებები. აირაპეტოვმა გაფლანგა 3.000 მან., რის გამო მოხსნილ იქნა სამსახურიდან. აირაპეტოვი ამის შესახებ გაიძახის „მე მომხსნეს სამსახურიდან იმიტომ, რომ ვიღაც ქართველი მიიღეს"-ო პარტიის წევრი აირაპეტოვის ამგვარი ნაციონალისტურ გამოსვლას სისტემატიური ხასიათი ქონდა, მას სურდა მიეჩქმალა თავისი ბოროტმოქმედება და ჩამოეგდო ნაციონალური შუღლი სომხებსა და ქართველებს შორის.

გასპაროვმა ცილი დასწამა ა.-კ. წყალთა მეურნეობის საცდელ-საგამოკვლევო მშენებლობის ხელმძღვანელს ამხ. კიზირიას და გაიძახოდა—„კიზირია ავიწროვებს სომხებს"-ო. პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე შეამჩნია გასპაროვის და კამპანიის ნაციონალისტური გამოსვლები და შესძლო დროულად მაგრად დაერტყა ნაციონალიზმის აშკარა გამოხატულებისათვის.

გასპაროვი პარტუჯრედმა გარიცხა პარტიის რიგებიდან და აირაპეტოვს გამოეცხადა უკანასკნელი გაფრთხილება სასტიკი საყვედურით.

გ. ს.

ნაციონალისტური გამოსვლები უკუგდებულია

ამიერ - კავკასიის კავშირგამგებლობათა სამმართველოს კომუჯრედის მდივანი ლომთაძე მოექცა ნაციონალისტურ გავლენის ქვეშ. კომუჯრედის მდივანი, პირველ რიგში უნდა იბრძოდეს ყველა სახის ოპორტუნისტულ გადახრების წინააღმდეგ, მაგრამ ლომთაძე პირიქით იქცეოდა: ის თვითონ გახდა ადგილობრივ შოვინიზმის მატარებელი. მან პარტიის წევრს ბარუდინს, რომელმაც არ იცის ქართული ენა, უჯრედის ერთ-ერთ კრებაზე დასცინა: „იმუშავე იქ, სადაც შენი ენა იციან"-ო. რა არის ეს, თუ არა პირწავარდნილი შოვინიზმი.

ლომთაძის აზრით ამიერ - კავკასიის დაწესებულებაში ადგილი არ უნდა ქონდეს მათ, ვინც ქართული ენა არ იცის, რომ ამიერ - კავკასიის ყველა დაწესებულებებმა მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა აწარმოონ მუშაობა. ეს ამიერ - კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ გალაშქრებაა, ამიერ - კავკასიის ერთა ინტერნაციონალური სოლიდარობის წინააღმდეგ გალაშქრება.

ამიერ - კავკასიის კავშირგამგებლობის პარტიულმა ორგანიზაციამ ლომთაძე მოხსნა პარტიის უჯრედის მდივნობიდან და ბოლშევიკური შეფასება მისცა ლომთაძის ნაციონალისტურ გამოსვლას.

ამავე დროს დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა დიდმპყრობელურ შოვინიზმის კონკრეტულ გამოხატულებას, ამიერ - კავკ. კავშირგამგებლობათა სამმართველოს ერთ - ერთ პასუხისმგებელმა მუშაკმა ამხ. ბობრიშევმა დაწესებულების საერთო კრებაზე გაილაშქრა ერთ - ერთი მუშაკის გიორგობიანის წინააღმდეგ და განაცხადა: „გიორგობიანი სარაიონო ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზატორად არ ვარგა, რადგან მან რუსული ენა არ იცისო".

რ. ჯ—ძე.

კლასიური მტრის ხმა

(ტყავის ქარხ. № 1)

ამას წინად ტყავის ქარხანა № 1-ში პარტიის წევრი მირაბოვი გამოვიდა დიდმპყრობელური ცილის წამებით და უარყო წითელი არმიის ქართული ნაწილების საჭიროება.

მირაბოვი ნებით თუ უნებლიეთ ებრძვის პარტიის პოლიტიკას ეროვნულ საკითხში. წითელ არმიის ქართული ნაწილები, რომლებიც იზრდებოდა და იზრდება ინტერნაციონალურ პრინციპებით იცავს სოციალისტურ სამშობლოს. წითელი არმიის ქართული ნაწილები, რასაკვირველია, არ საჭიროებენ მირაბოვების [illegible]. როგორ მოხდა პარტიის რიგებში შოვინისტი მირაბოვი და რატომ დარჩა ის დღემდე გამოუმჟღავნებელი. ყველასათვის ცხადია, რომ მირაბოვის სახით წითელი არმიის ქართულ ნაწილებს თავს ესხმის კლასობრივი მტერი, რომელიც ვერ შეურიგება ჩვენი სიძლიერის შეურიგებელ ზრდას.

ტყავის ქარხნის მუშების საერთო კრებამ გამანადგურებელი პასუხი გასცა მირაბოვის გამოსვლას.

თ. ც.

ნაციონალიზმთან ბრძოლა დავიწყოთ

ზოგიერთ პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო გამოაშკარავებინა და სათანადო ბრძოლა გაეშალა, როგორც დიდმპყრობელურ შოვინიზმის, ისე ადგილობრივ ნაციონალიზმის კონკრეტულ გამოხატულებების წინააღმდეგ. მაგალითად, თბილისის აღმასკომის ბიურო კოლექტივს „გამორჩა" სამუშაო გეგმიდან ისეთი საკითხი, როგორიც არის დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის კონკრეტული ფაქტების გამოაშკარავება და მასთან ბრძოლა.

აღმასკომის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების გარეშე დარჩა მე-16 პარტყრილობის დადგენილება და ამხ. სტალინის სიტყვა — ნაციონალურ გადახრებთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

მე-16 პარტყრილობაზე ამხ. სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა პარტიულ ორგანოების გადაუდებელი ამოცანა —დაუნდობელი ბრძოლა, როგორც ადგილობრივი ნაციონალიზმის, ისე დიდმპყრობელურ შოვინიზმთან, რომლებიც გამოხატავს წინად გაბატონებულ, დღეს მომკვდარ კლასების განწყობილებას.

აღმასკომის პარტორგანიზაცია ვერ აფასებს ვერც დიდმპყრობელური შოვინიზმის საშიშროებას და ვერც ადგილობრივ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას. პარტორგანიზაციამ დაივიწყა, რომ აღმასკომის აპარატში ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვება ყოფილი ხალხი, ძველი ჩინოვნიკები და სხვა კლასიურად უცხო ელემენტები, რომლებიც დაავადებულნი არიან ნაციონალიზმის სენით. მათ გამოსამჟღავნებლად და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად აღმასკომის პარტკოლექტივს არავითარი მუშაობა არ უწარმოებია.

ადგილობრივ პარტიულ ორგანოებმა ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა დიდმპყრობელურ შოვინიზმის და ადგილობრივ ნაციონალიზმის გამოსააშკარავებლად და მედგარი ბრძოლა უნდა აწარმოონ მათ წინააღმდეგ.

იმაური.

პირწავარდნილი დიდმპყრობელური შოვინიზმი

დიდმპყრობელური შოვინიზმის აშკარა კონკრეტულ გამოხატულებას ადგილი აქვს „სოიუზხლების" თბილისის სააგენტოს აპარატში.

ამას წინად „სოიუზხლები"-ს სააგენტოს სამმართველომ ოფიციალურად მისწერა ამიერ - კავკასიის რკინის გზის სამმართველოს მეორე სარაიონო განყოფილებას, რომ განყოფილებას ყოველგვარი მიწერ - მოწერა შეეწყვიტა ქართულ ენაზე. რადგან სააგენტოს თანამშრომლებს არ ესმით ქართული ენა. „სოიუზხლები"-ს თბილისის სააგენტომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს უკან დაუბრუნა ქართულ ენაზე დაწერილი მიმართვა. თბილისის ზოგიერთი [illegible]ასებულებანი, რომელთაც საქმიანი ურთიერთობა აქვთ „სოიუზხლებთან" და კერძოთ თბილისის აღმასკომის მომარაგების განყოფილება „სოიუზხლებს" ყოველგვარ მიმართვას რუსულ ენაზე უგზავნის. „სოიუზხლები" თავს იმით იმართლებს, რომ მას „შტატი არ ყავს მთარგმნელების". ეს არავითარი გასამართლებელი საბუთი არ არის. „სოიუზხლები" ვალდებულია ყავდეს თავის აპარატში ქართული ენის მცოდნე.

სათანადო პარტიულმა ორგანიზაციამ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს და წესრიგისაკენ მოუწოდოს „სოიუზხლების" თავგასულ ადმინისტრაციას.

მუშკორი.

დაწინაურების მოტრფიალე ნაციონალისტი

ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციამ ვერ შესძლო გაშლილი ბრძოლა ეწარმოებია დიდმპყრობელური და ადგილობრივ შოვინიზმის კონკრეტული ფაქტების გამომჟღავნებისათვის. რკინის გზის სამმართველოში საკმაოდ არის ყოფილი ხალხი: ჩინოვნიკები და წვრილ ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები.

ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს აპარატის მოსამსახურე ქალი გრიქუროვა უსაფუძვლოდ გაიძახოდა, „სხვა ეროვნების, რომ ვიყო, უსათუოდ დამაწინაურებენო" შოვინისტ გრიქუროვას აზრით თითქოს აწინაურებენ მხოლოდ ქართველებს და რუსებს, სომხებს კი გასაქანს არ აძლევენ. გრიქუროვს არ ესმის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის აზრი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა აპარატში ხდება დაწინაურება ყველა მშრომელის, სოციალისტური მშენებლობის ყველა ხელის შემწყობის, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, რადგან კომუნისტური პარტია ერთნაირად იცავს ყველა ეროვნებათა ინტერესებს.

ქ. მ—ლი.

კარიერისტი ეროვნულ პოლიტიკის საფარის ქვეშ

(ა.-კ. ს. მ. უ. ს.)

ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აპარატში თავი იჩინა ადგილობრივ შოვინიზმის კონკრეტულმა გამოხატულებამ, თურქი ეკონომისტი ამხ. იზმაილოვი უსაფუძვლოდ გაიძახოდა, თითქოს ამ.-კავკ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში გასაქანს არ აძლევენ თურქებს.

რად დასჭირდა ამხ. იზმაილოვს ნაციონალური საფარით გამოსვლა ამ.-კავკ. ს. მ. უ. საბჭოს პარტიულ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ? იზმაილოვს სურდა მიეჩქმალა თავისი არა ნაყოფიერი მუშაობა აპარატში. ის ხშირად აცდენდა სამუშაო დღეებს, დაკისრებული მოვალეობას გულგრილად ეკიდებოდა, რაზედაც მას არაერთხელ მიუთითეს.

ადმინისტრაციამ განიზრახა ამხ. იზმაილოვის დაწინაურება. პარტიულ ორგანიზაციამ, რომელიც კარგად იცნობდა იზმაილოვის შოვინისტურ ბუნებას, გაილაშქრა იზმაილოვის დაწინაურების წინააღმდეგ, ამას შემდეგ იზმაილოვი კიდევ უფრო გათამამდა, თავის შოვინისტურ აგიტაციაში.

იზმაილოვი და მისი მსგავსი ელემენტები შოვინისტური სენით დაავადებულნი, ვერ გამოადგებიან სოციალისტურ მშენებლობას. ამიერ - კავკასიის ს. მ. უ. ს.-ის პარტიულმა ორგანიზაციამ დროულად დაარტყა იზმაილოვის წმინდა წყლის ნაციონალისტურ გამოსვლებს.

ქ. ბ.

შაქრის ქარხანა აგარაში

„შაქარი ტკბილია, მაწონი მჟავეა".

ეხლა პიონერმაც კი იცის, რისგან და როგორ ამზადებენ შაქარს, ან რა სარგებლი მოაქვს მას ადამიანის ორგანიზმისათვის. მაგრამ წინათ ამის შესახებ ცოტას თუ ექნებოდა რამე გაგონილი. გოგებაშვილის „დედა-ენა"-ს ყალიბით იცოდნენ:

— „შაქარი ტკბილია, მაწონი მჟავეა".

ჩაის წამლით სვამდნენ ავადმყოფს და ბევრს შაქრის გემო მარტო ლოგინათ ჩავარდნის დროს თუ ეღირსებოდა.

სიღარიბის გამო გლეხი იძულებული იყო მაწონიც ხილათ ეჭამა. იშვიათად, როცა ბავშვებს ეგრედწოდებული „მეყვანა ხველა" დაერეოდათ, ის მაწონში აღებული გროშებით ჩხვლობით ყიდულობდა „შაქარ-ყინულს" და ქალაქიდან სოფლამდე, მთელი გზა, ებრძოდა თავს, რომ ხელით გასავათებულ ბავშვების გულის დასაამებელ არჩივებისათვის, ერთი ნამცეციც არ მოეკლო.

მდიდრებსა და ბობოლებს, სანიავო ჩრდილში მხართეძოზე წამოწოლილ მემამულე თავადებს კი თავი-შაქრები, წვეტიან პატარა მთებს რომ მოაგონებდნენ კაცს, გამოულევლად ეწყოთ თაროებზე.

ასე იყო წინად, მაგრამ ასე არაა ეხლა:

ლატაკებს, უფლება-აყრილთ და სოციალურ უკუღმართობით პირუტყვულ მდგომარეობაში ჩაცვენილებს ოქტომბრის რევოლუციის ქარმა მოუტანათ შაქარივით ტკბილი თავისუფლება.

ისინი ალიჭურვნენ სრული ადამიანური უფლებებით და ამ უფლებების ბოლომდე შენარჩუნების მიზნით, იბრძვიან და ქმნიან ახალ, ჯერ უნახავ და გაუგონარ სამყაროს.

ისინი საკუთარ კბილებით დაგლეჯენ ყველას, რომლებიც შეეცდებიან მათი უფლებების კვლავ ფეხქვეშ გათელვას, რომლებიც გაბედავენ ახალი ქვეყნის შენებაში მათი ხელის შეშლას.

ამ ახალ ქვეყნის კაცებს ეხლა შაქარი სჭირდებათ არა მარტო ავადმყოფობის დროს, არამედ ყოველდღე, რათა უფრო მეტი ენერგიით იშრომონ და იბრძოლონ სოციალიზმის დასამყარებლად.

საქართველოს მუშა და გლეხი, მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა დახმარებით, უკვე გამოსულია ცხოვრების ფართო სარბიელზე და აწი არავის ძალუძს, საუკუნოებით შეჩვეულ ნაჭუჭში მათი კვლავ მოქცევა.

უკვე აღარაა საქართველოში არც ერთი ისეთი ქალაქი, ისეთი დაბა, სადაც არ აშენებულიყო ან არ შენდებოდეს ახალი ქარხნები, ახალი ფაბრიკები.

უკვე აღარაა საქართველოში ისეთი სოფელი, სადაც არ გუგუნებდეს ტრაქტორი. სადაც არ ისწრაფოდნენ კოლექტიურ შრომისაკენ.

თოხის და კავის, პრაქიან საქართველოს ნაცვლად, იქმნება ახალი, სოციალისტური საქართველო გაბრდღიალებული ზაჰესებით და რიონჰესებით.

ვიწყებთ შაქრის წარმოებასაც.

და აი, საქართველოს იმ კუთხეში, სადაც წინათ ქნის ერისთავები, ციციშვილები და მათნი მსგავსნი, მწევარებზე ცვლიდნენ

კოლმეურნენი უსმენენ აგრონომის საუბარს კომბაინის მუშაობის და მნიშვნელობის შესახებ

გლეხებს, სადაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, იგივე თავადები და ბობოლები ტყავს ხდიდენ ღარიბ გლეხებს, ამ ერთი წლის წინათ აიგო ცემენტის ქარხანა, ხოლო 5 ივლისს საძირკველი ჩაეყარა მეორე გიგანტს—შაქრის ქარხანას.

ქართლის გულში— სად. აგარასთან შაქრის ქარხნის აგებით „ქართლის ცხოვრებაში" იწყება ახალი ხანა.

ჯერ ერთი: აგარაში, თვალუწვდენ ტრიალ მინდორზე, რომელსაც აღმოსავლეთით ვერცხლის ქობასავით მიუყვება მტკვარი, შაქრის ქარხნის გარდა, აგებული იქნება სამსართულიანი მუშათა საცხოვრებელი სახლები, თეატრი, კლუბი, კოოპერატიულ დაწესებულებების შენობები და სხვ.

მეორე: იქვე შენდება შაქრის ჭარხლის და სხვა კულტურების გიგანტი—საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც უკვე აქვს სატრაქტორო სამანქანო სადგური 16 ტრაქტორით და კომბაინით.

მალე, ეს საბჭოთა მეურნეობა შეუდგება სარძეო ფერმის და მეღორეობის სადგურის მოწყობასაც. ფერმამ პირველ ხანაში ეყოლება 1.000 ჯიშიანი ძროხა. ასეთივე ფართო ნიადაგზე იქნება დაყენებული მეღორეობაც.

როგორც ძროხებს, ისე ღორებს გამოკვებავენ მხოლოდ ჭარხლის ნარჩენებისაგან.

განზრახულია აგარაშივე აიგოს ბეკონის ქარხანა.

ამრიგად, სულ ერთი-ორი წლის განმავლობაში, აგარა გადაიქცევა მთელი ქართლის ინდუსტრიალურ წარმოების და ინდუსტრიალურ-აგრარულ მეურნეობის მთავარ ცენტრად.

„ტეტიათა მოტრფიალენი". ალბათ, სიზმრათაც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ქართლელი „ტეტიები" იქცეოდნენ სოციალისტურ მშენებლობის ბურჯებად და ჩადგებოდნენ ახალი ქვეყნის შექმნისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.



შაქრის ქარხნის საძირკვლის ჩაყრა

სურათზე: მარცხნიდან დგას სტალინისის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ზოგილაძე

უნდა საკუთარი თვალით გენახათ 5 ივლისს აგარაში გამართული ქართლელ მშრომელი გლეხების და ქალების მიტინგი, უნდა საკუთარი ყურით გაგეგონათ ქართლელ კოლმეურნეთა აღფრთოვანებული სიტყვები, რომ ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყავით საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობაში და იმაში, რომ ეხლანდელი ქართლელი მშრომელი გლეხები სრულებით აღარ გვანან რაფ. ერისთავის პირით მოწუწუნე „ტეტიებს" და დაბეჩავებულ „ბერუებს".

ჭარხალის პლანტაციებში საჭიროა უმთავრესად ქალის შრომა, ამიტომ შაქრის ქარხნის აგება განსაკუთრებით დიდ ცვლილებებს შეიტანს და სრულებით გარდაქმნის ქართლელ მშრომელი ქალების დღეს ყოფაცხოვრებას, სამუდამოთ გამოიყვანს მათ ცხოველურ მდგომარეობიდან და გაანთავისუფლებს მავნე ჩვევებისაგან.

აგარაში ქარხნის ასაგებათ წინასწარი სამზადისი მუშაობა სავსებით დამთავრებულია.



მიტინგი საძირკვლის ჩაყრის წინ

მანქანების და ლუმელების დიდი ნაწილი უკვე ადგილზე მიღებულია.

შაქრის ქარხანა უნდა ამუშავდეს გაისად —1 ოქტომბერს. ქარხნის მშენებლობის ტექნიკურმა პერსონალმა და მუშებმა 5 ივლისს ფიცი დასდვეს, რომ ამ დავალებას პირნათლად შეასრულებენ.

ქარხანა დღე-ღამეში დაამზადებს 10.000 ფუთს შაქარს. პირველ წელიწადს შეიძლება ქარხანამ იმუშაოს მარტო 4 თვეს და მოგვცეს 1 მილიონი ფუთი შაქარი. ეს იმიტომ, რომ ქარხანას მოუხდება მხოლოდ ზამთარში მუშაობა, რადგან ჭარხალი ზაფხულში ვერ ძლებს.

მაგრამ, აქედანვე მიღებულია ზომები, რომ ქარხანასთან მოეწყოს ჭარხლის ამერიკული საშრობები. მაშინ ქარხანა იმუშავებს განუწყვეტლივ 250 დღეს და დაამზადებს 2.500.000 ფ. შაქარს.

ამგვარად, სულ ცოტა ხანში, ქართლი იქცევა „თეთრი ოქროს" მადნად.

ადგილობრივ მშრომელ გლეხებისაგან კვალიფიციურ კადრების შექმნის მიზნით, უკრაინის შაქრის ქარხნებში და პლანტაციებში გაგზავნილია ახალგაზრდა კოლმეურნენი და მოჯამაგირეები. გარდა ამისა, ქარხნის ინჟენერ-ტექნიკოსების დახმარებით ადგილობრივ მო[illegible]ია ტექნიკური კურსები, სადაც ამზადებენ ჭარხლის კვალიფიციურ მეურნეებს, ტრაქტორისტებს, კომბაინზე მომუშავეთ და სხვ.

გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი შაქრის მეურნეობისათვის მოამზადებს სრულებით ახალ კადრებს. მასთანავე, მაღალკვალიფიკაციის მუშაკების მომზადების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან იწყობა ცალკე კათედრა.

ამ მხრივ შეიძლება ითქვას, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არის სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც ეხლავე საჭიროებენ გადაჭრას. მაგალითად, ქარხნის მშენებლობისათვის არაა საკმაო მუშა-ხელი. მშენებლობაზე კოლექტივ-დან თავისუფალ მუშა-ხელის მიზიდვის საქმე მოუგვარებელია. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-რაც არაა გამოყოფილი შაქრის პლანტაციების ზონები, არაა მიწადმოწყობა ჩატარებული, ჭარხლის პლანტაციებისათვის საჭირო მიწებზე ზოგან აშენებენ ხეხილს, რაც ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა ეხლავე და საბოლოოდ ჭარხლის მეურნეობისათვის ვარგის ნიადაგის გამოყოფა და რაც შეიძლება მისი ერთ მიჯნაში მოქცევა. ჭარხლის პლანტაციების დაქუცმაცება, რასაც ნაწილობრივ აქვს დღეს ადგილი, გაართულებს და გააძვირებს ქარხნის ნედლი მასალით გეგმიან მომარაგებას.

აგრეთვე, აქედანვე განსაკუთრებული ზომები უნდა იქნეს მიღებული საგზაო მშენებლობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაშორებულ კოლექტივებიდან ჭარხლის დროზე გამოტანა შეუძლებელი იქნება.

არის კიდევ ერთი მტკივნეული და მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ესაა მთლიანად ქართლის ველების მელიორაციის და კერძოდ ჭარხლის ნათესების მორწყვის საკითხი.

საქმე იმაშია, რომ მელიორაციის შემდეგ შეიძლება თითოეულ ჰექტარზე მოსავალი მივიღოთ 3-ჯერ მეტი. მოურწყავათ კი, ხელსაყრელ ამინდის დროსაც, ჰექტარმა ბევრი-ბევრი მოგვცეს 900-100 ფუთი ჭარხალი. გარდა ამისა, მელიორაციის საკითხის დადებითად გადაჭრა, სავსებით უზრუნველყოფს როგორც ჭარხლის, ისე სხვა კულტურების ნათესებს გვალვისაგან. ქართლის ველების მორწყვის პროექტი დღეიზით— „ქართლის პრობლემა", კარგა ხანია შედგენილია და რესპუბლიკანურ ორგანოებში გატარებული. ამ 6 თვის წინათ, აღნიშნული პროექტი დასამტკიცებლად გადაეცა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს, საიდანაც დღემდე არავითარი პასუხი არაა. საჭიროა „მუდელუგინის" საქმის დასაჩქარებლად.

რაჟდენ გვეტაძე.

შეცდომა უნდა გამოსწორდეს

(განათლების სახ. კომისარიატის საყურადღებოთ)

1929-30 სასწავლო წელს 1-ლ საცდელ საჩვენებელი სკოლის მეორე კონცენტრი, სასკოლო ქსელის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, გადაკეთებული იქნა ამხ. სტალინის სახელობის სასკოლო საამშენებლო ტექნიკუმად, ხოლო ამავე სკოლის 1-ლი და მე-2 საფეხურის კონცენტრი—პირველ საცდელ-საჩვენებელ საქარხნო - საფაბრიკო 7 წლედად. სამწუხაროდ ტექნიკუმის სახელწოდებამ ვერ გამოხატა ტექნიკების ტიპი და მისი მუშაობის შინაარსი გაურკვეველი დარჩა თვით განსახკომისათვისაც, რომელიც რატომღაც მოწადინებული იყო შეენარჩუნებია აღნიშნული სკოლა თავის გამგებლობაში, რათა ტექნიკუმი არ გადასცემოდა სათანადო სამეურნეო ორგანიზაციას, განსახკომმა მხოლოდ ამიტომ მისცა მას სასკოლო - საამშენებლო „განხრა", რაც არსებითად არაფერ სპეციალურ დავალებას არ აკისრებდა ტექნიკუმს.

ამ გაუგებრობიდან ტექნიკუმი გამოიყვანა თვით პედაგოგიურმა პერსონალმა, რომლის აქტივობით და მუშაობით, ტექნიკუმი სწავლა - მაცადინეობას აწარმოებდა, როგორც ნამდვილად სპეციალური საამშენებლო ტექნიკუმი.

მომავალი სამოსწავლო წლიდან განზრახული იყო ეს ტექნიკუმი გადასცემოდა საქ. სახ. მეურნეობის საბჭოს, რადგანაც იგი თავის დანიშნულებით უფრო ეკუთვნოდა სამეურნეო უწყებას, ვიდრე განსახკომს.

ტექნიკუმი 5 წლედის ბოლოს გამოუშვებს საშუალო კვალიფიკაციის 150 მშენებელს, რაც დიდად შეუწყობს ხელს მშენებლობას კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტექნიკუმი თბილისში არსებობს მხოლოდ 3. სტალინის სახ. ტექნიკუმი სავსებით უზრუნველყოფილია საჭირო კაბინეტებით, ლაბორატორიებით და სახელოსნოებით. ტექნიკუმის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი ჰქონდა მისი კიდევ უფრო გაფართოვება, მაგრამ განსახკომმა მოულოდნელად გამოიტანა დადგენილება აღნიშნულ ტექნიკუმის პედაგოგიურ სადგურთან შეერთების შესახებ. ეს—მაშინ, როცა აღნიშნულ სასწავლებლებს სინამდვილეში არაფერი საერთო არა აქვთ ერთმანეთთან.

ამხ. სტალინის სახ. სასკოლო-საამშენებლო ტექნიკუმის დიდი ნაწილი წარმოების მუშებია, ეს ტექნიკუმი ერთ-ერთ მოწინავე ტექნიკუმად ითვლება და მისი გაუქმება პირდაპირ გაუგებრობის შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ჯერ ერთი: აღნიშნული ტექნიკუმის მეორე კურსის მსმენელები, პედსადგურთან შეერთების შემთხვევაში, ვერ გაივლიან პედსადგურის მეორე კურსის სასწავლო პროგრამებს და დისციპლინებს, ვინაიდან ორივე კურსი გასულ სასწავლო წელს გადიოდნენ სრულებით სხვა და სხვა საგნებს, რაც უსათუოთ შეუშლის ხელს ნორმალურად მაცადინეობას და არაა მიზანშეწონილი.

ერთი სიტყვით, არავითარი მოსაზრებით არ შეიძლება გამართლებულ იქნას განსახკომის დადგენილება ამ საკითხზე ამხ. სტალინის სახ. ტექნიკუმის პედსადგურთან შეერთება გამოწვეულია ხოლოდ იმით, რომ წელს სახალხო ს. მ. უ. საბჭო უარს აცხადებს ამ ტექნიკუმის მიღებაზე, რადგან მას ამისათვის საჭირო თანხები არ აქვს გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვაში, მხოლოდ განათლების სახ. კომისარიატს კი საშუალება არა აქვს იგივე ტექნიკუმი კვლავ თავის ხარჯზე იყოლიოს, ეს მით უფრო, რომ ტექნიკუმი არსებითად სულ სხვა განხრისაა და არა პედაგოგიური.

ჩვენის აზრით, ყოვლად დაუშვებელია ერთ შეცდომას მეორეც დაუმატოთ, როგორც ამას განსახკომი სჩადის. პირველი შეცდომა იყო ის, რომ ხსენებული ტექნიკუმი განსახკომმა შარშან არ გადასცა ს. მ. უ. საბჭოს და მისი შენარჩუნების მიზნით ტექნიკუმს უსაფუძვლოდ მისცა სასკოლო საამშენებლო ტექნიკუმის სახელწოდება, მეორე უფრო დიდი შეცდომაა—მისი ხელაღებით გაუქმება და შეერთება სრულიად სხვა სახის სასწავლებელთან.

აღნიშნული ტექნიკუმი უნდა დარჩეს და მას შესაფერისი პატრონი გამოენახოს. შეიძლება მისი კომუნალურ საამშენებლო ტექნიკუმად გადაქცევა. ეს ტექნიკუმის ცხოვრებაში არავითარ ცვლილებას არ გამოიწვევს და მიზანშეწონილიც იქნება, რადგანაც საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის დადგენილებით აღნიშნულ დარგს და ამ დარგისათვის კვალიფიციურ კადრების მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

შეცდომა უნდა გამოსწორდეს.

დაინტერესებული.

სატარიფო ცხრილის გადასინჯვა

უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა

მუშების, მოსამსახურეების და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის სწორად განაწილება კვალიფიკაციის მიხედვით და ცალკე კატეგორიის მუშაკთა შორის ხელფასის სწორი შეფარდების დაწესება ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა შრომის რაციონალური ორგანიზაციისათვის, მუშახელის ცვალებადობის ლიკვიდაციისათვის და სხვ.

მოქმედი სატარიფო ცნობები და ცხრილები ძალზე მოძველდნენ და არ შეეფერებიან მრეწველობის მოთხოვნილებებს. ცნობარები არ ასახავენ მრეწველობის გადასვლას უფრო მაღალ ტექნიკურ და ორგანიზაციულ საფეხურებზე, არ ეხებიან ახალ კვალიფიკაციის მრავალ ჯგუფს და ზოგიერთ მთელ საწარმოსაც. მოქმედი სატარიფო განაკვეთები და ხრილები, რომლებიც გათანასწორების ტენდენციის მატარებელნი არიან, არ იძლევიან კვალიფიკაციის ამაღლების სტიმულს, არ გამოჰყოფენ ხელფასის დონიდან მთავარ პროფესიებს, აფერხებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ამჟამად საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭო საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეუდგა ახალ საკვალიფიკაციო ცნობარების და სატარიფო ცხრილების შედგენას და ეს მუშაობა შეფასებული უნდა იქნას, როგორც უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა.

ა.-კ. ს. მ. უ. საბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოებს და ა.-კ. გაერთიანებებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ კვალიფიკაციის, ხელფასის აღრიცხვის და სანარ. მუშის საჭიროებებთან სატარიფო ცხრილების შეფარდების შემოწმებას.

მუშაობის უშუალოდ ჩატარებისათვის იქმნება განსაკუთრებული ბრიგადები მუშებისაგან, ტექნიკურ-დამნორმავი ბიუროს დამკვრელ მუშებისაგან, შემფასებელ საკონფლიქტო კომისიებისაგან და ფაბქარხადგილკომებისაგან (ადს).

შაბათს, 18 ივლისს, საღამოს 6 საათზე, გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციაში

მოწვეულია **დამკვრელ მუშკორთა საერთო კრება**

თბილისის წარმოებების ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეებთან და უჯრედის მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციის მასიური განყოფილების ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;
2. მასიური განყოფილების სამთვიური სამუშაო გეგმის დამტკიცება.
3. მიმდინარე საკითხები.

კრება შესდგება რედაქციის ბინაზე.

გაზეთ „კომუნისტი"-ს მასიური განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება სამოქალაქო ავიაციის განვითარებას

მაღლა ავწიოთ სამოქალაქო ავიაციის მშენებლობის ტემპები

(საუბარი კავკასიის წით[illegible]ბანი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსის მოადგ[illegible] ამხ. პროხოროვთან)

სამხედრო უწყება ულარესად არის დაინტერესებული საბჭოთა კავშირის ტერიტორიის აეროდრომებითა და დასაშვები მოედნებით უზრუნველყოფის საკითხით, სამოქალაქო ავიაციის განვითარება ამ მხრივ მეტად სასურველია. მაგრამ ის ტემპები, რომლითაც ხორციელდება სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობა ამიერ-კავკასიაში, ძალზე არადამაკმაყოფილებელია. ამის მიზეზია მთელი რიგი ორგანიზაციების მიერ სამოქალაქო ავიაციის მშენებლობის მნიშვნელობის შეუფასებლობა. სამოქალაქო ავიაციის განვითარება ამიერ-კავკასიაში განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებასთან. იგი უზრუნველყოფს სწრაფ და მუდმივ კავშირს ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო ცენტრებთან. ნორმ სამოქალაქო ავიაციის ბრწყინვალე გამარჯვებას წარმოადგენს „პრავდა"-ს მატრიცების მოტანა თბილისში. საჭიროა სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის მუშაობაში მივაღწიოთ უფრო სრულ და გარკვეულ კოორდინაციას, რაც სამოქალაქო ავიაციის განვითარების წარმატების საწინდარი იქნება. სამოქალაქო ავიაციის ათდღიური, რომელიც ჩვენთან ტარდება, გამოყენებულ უნდა იქნას იმისთვის, რომ მშრომელთა ფართო მასებმა შეიგნონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება სამოქალაქო საჰაერო ფლოტს ჩვენი სამეურნეო მშენებლობის საერთო გეგმაში (ადს).

უფრო ენერგიულად ვიბრძოლოთ საბჭოთა კავშირის მძლავრი სამხედრო-საჰაერო ფლოტის შექმნისათვის

მოსკოვი, 16 ივლისი. საბჭოთა კავშირის სამხედრო - საჰაერო ძალების შეფოლენინური კომკავშირი მთელ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობასთან ერთად ღრმა მწუხარებით გამოთქვამს მძიმე დანაკლისს—ამხ. ტრიანდოფილოვის, კალინოვსკის, რიბალჩუკის, ბოგდანოვის, ბინდროკოვის, პოლოვინკინის, არკადიევის და ბელკოვის დაღუპვის გამო. შევავსოთ საჰაერო ფლოტის რიგები მრავალი ასი და ათასი კომკავშირელ - მფრინავით და ინჟინერით. მოუწოდებთ საშეფო სამხედრო - საჰაერო ფლოტის ყველა მფრინავ ინჟინერებს, მებრძოლებს და მეთაურთა შემადგენლობას და ლენინურ კომკავშირს—უფრო ენერგიულად იბრძოლონ საბჭოთა კავშირის მძლავრი სამხედრო - საჰაერო ფლოტის შექმნისთვის (ადს).

სამოქალაქო ავიაციის დახმარების ათდღიური

სამოქალაქო ავიაციის დახმარების ათდღიურთან დაკავშირებით, საჰაერო მიმოსვლის ამიერ-კავკასიის სამმართველომ მიმართა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს, შექმნას ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოსთან თბილისი აერონავთსადგურების მშენებლობის დამხმარე კომისია და გადასდოს ამ მშენებლობისათვის 600.000 მანეთი.

აღიძრა შუამდგომლობა აგრეთვე აზერბეიჯანის სახკომსაბჭოსა და ბაქოს საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ გაყვანილ იქნას წყალსადენი, ელექტრონი და ტელეფონი აეროსადგურში, რომელსაც ბაქოში აგებენ, მომარაგებულ იქნას გზი ავტოტრანსპორტით და გამოიყოს ბინები ზაფხულის შემაყვდენლობისათვის. ამას გარდა, საჰაერო მიმოსვლის ამიერ-კავკასიის სამმართველო ითხოვს განმტკიცდეს მასზე „აზმშენის" მუშების შეფობა და დაარსდეს აზერბეიჯანის სახკომსაბჭოსთან ან ბაქოს საბჭოსთან აეროსადგურის მშენებლობის დამხმარე კომისია. ასეთივე თხოვნით მიმართა სამმართველომ ქუთაისის ქალაქის აღმასკომს, დაღესტნის სახკომსაბჭოს, გროზნოს, კავკავის, მინერალური წყლების და პიატიგორსკის ქალაქის აღმასკომებს. მიმართვა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებებით სამოქალაქო ავიაციისათვის დახმარების შესახებ დაეგზავნა აგრეთვე ამიერ-კავკასიის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (ადს).

სამოქალაქო ავიაციის დახმარების დღე დაგვიანებით იწყება

ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს განზრახული აქვს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე, რომელიც 16 ივლისს უნდა შესდგეს, მოისმინოს და დაამტკიცოს დეკადის ჩატარების გეგმა. დეკადის ჩატარება დაკავშირებული იქნება ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების შემოწმებასთან დირიჟაბლის მშენებლობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ (ადს).

საქართველოს პროფსაბჭომ გასცა დირექტივები, მაგრამ მათი შესრულების შესახებ არაფერი იცის.

საქართველოს პროფსაბჭომ დაუგზავნა დირექტივები კავშირების ცენტრალურ გამგეობებსა და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს სახელდახელო მიტინგების ჩატარების შესახებ დეკადის გატარების დროს. კლუბებს წინადადება მიეცათ დეკადის დღეებისათვის შეიმუშაონ სპეციალური პროგრამები მაგრამ საქართველოს პროფსაბჭო აქამდე არ დაინტერესებულა, შესრულებულია თუ არა მისი დირექტივები. მან არ იცის—დაიწყო თუ არა ფაქტიურად დეკადის გატარება პროფკავშირული ხაზით (ადს).

უკრაინის ხელოვნების მუშაკები ბათომში

აჭარისტანის დედა - ქალაქი გუმბერვალედ, ზეიმით შეხვდა უკრაინის ხელოვნების მუშაკთა დელეგაციის ჩამოსვლას.

13 ივლისს, დილით, ბათომს ესტუმრა უკრაინის განათლების სახ. კომისრის მოადგილე ამხ. ა. ა. პოლოცკი. ამავე დღეს ბათომში მოვიდნენ უკრაინელი მომღერლები, მსახიობები, მხატვრები.

უკრაინის დელეგაცია გაეცნო ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, ჩაის ფაბრიკას, ბოტანიკურ ბაღს და ნავთის გადამამუშავებელ ქარხნებს.

საღამოთი ბათომის აკადემიურ თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრო უკრაინის დელეგაციის მთელი შემადგენლობა, აჭარისტანის მთავრობის წევრები, წითელარმიელები, მეზღვაურები და ბათომის ფაბრიკა - ქარხნების დამკვრელი მუშები.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. შვეკეთ ლორთქიფანიძემ, რომელმაც დელეგაციას გადასცა მხურვალე სალამი პარტიის საოლქო კომიტეტისა და აჭარისტანის მთავრობის სახელით.

დელეგაციას მიესალმნენ მშრომელი ინტელიგენციის, სანაპირო დაცვის რაზმის, კოლმეურნეების წარმომადგენლები. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე მწერალმა ტ. ტაბიძემ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. ა. ა. პოლოცკი, რომელმაც გააცნო დამსწრეთ უკრაინის წარსული და მისი დღევანდელი მდგომარეობა.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ სტუმრების პატივსაცემად გაიმართა კონცერტი.

—:—

ბათომიდან უკრაინაში გამგზავრების წინ უკრაინის განათლების სახ. კომისრის მოადგილემ ამხ. ა. ა. პოლოცკიმ საუბარში ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან შემდეგი განაცხადა: „ჩვენ, უკრაინელი ამხანაგები, სავსებით კმაყოფილნი ვართ უკრაინის კულტურის დეკადის შედეგებით. მიზანი მიღწეული იქნა. დეკადის საშუალებით ჩვენ გავიცანით საქართველო და ამიერ - კავკასია და გავაცანით ამიერ - კავკასიის ხალხებს ჩვენი მიღწევები.

დეკადამ მიიღო მასიური ხასიათი და მასში ჩაება მშრომელთა ფართო მასა.

დეკადის საშუალებით ჩვენ დავუმტკიცეთ მთელს დედამიწას ლენინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის სისწორე.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებმა ჩვენზე დატოვეს წარუშლელი შთაბეჭდილება.

გავეცანით ერევანს, რომელიც ნანგრევებიდან მალე გადაიქცევა სოციალისტურ ქალაქად.

ბაქოს ქარხნები სამუდამოთ დარჩება ჩვენს ხსოვნაში. ნავთის ქალაქის მუშაკების ენთუზიაზმი ნავთის მეორე ხუთწლედის უმოკლეს ვადაში შესრულების თაობაზე.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე ჩაის კულტურის სწრაფი ტემპებით განვითარებამ აჭარისტანში.

დელეგაცია უღრმეს მადლობას უძღვნის ამიერ - კავკასიის მშრომელებს გულითადი შეხვედრისათვის, რითაც შესაძლებელი შეიქნა დეკადის წარმატებით ჩატარება.

იმედია, რომ საბჭოთა უკრაინაში სულ მალე ვიხილავთ საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის, აჭარისტანის წარმომადგენლებს და კიდევ უფრო განვამტკიცებთ დეკადის შედეგებს".

—:—

14 ივლისს, თბომავალ „აჭარისტანი"-თ დელეგაცია გაემგზავრა სოხუმისაკენ.

შ. ხუციშვილი

ქვანახშირის ახალი საბადოების მოძებნა უნდა დაჩქარდეს

ა.-კ. ს. მ. უ. საბჭოს დადგენილება

ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა სპეციალური მოხსენება ქვანახშირის ახალი საბადოების გამოსახავი სამუშაოების მსვლელობის შესახებ.

მიღებულ დადგენილებით ა.-კ. გეოლოგიურ სამუშაოთა სამმართველოს დავალებული აქვს გააძლიეროს მუშაობა ტყიბულში და გელათში ქვანახშირის ახალი საბადოების გამოსაკვლევად. სწრაფი ტემპით უნდა იქნეს გაგრძელებული მუშაობა ახალციხის და დაგალუს (აზერბეიჯანში) რაიონებში ცნობილ ქვანახშირის საბადოების გამოსაკვლევად. დაუყოვნებლივ უნდა გაიშალოს მუშაობა კასპის და ქალის ქვანახშირის საბადოების გამოსაკვლევადაც.

ტყვარჩელის ქვანახშირის სამრეწველო რაიონში გაგზავნილ კომისიას დაევალა სასწრაფოდ შეუდგეს იმ აუცილებელ სამუშაოთა გამორკვევას, რაც საჭირო იქნება ბზიბის, ბაკლანოვკის, ჩერნიგოვკის, ჯგვარის და ტყვარჩელის ქვანახშირის, ჯერ კიდევ გამოუკვლეველ საბადოების შესასწავლად. კომისიამ მუშაობა უნდა დაამთავროს ივლისის ბოლომდის, რომ აგვისტოიდანვე შესაძლებელი იქნეს მუშაობის ფართოდ გაშლა.

ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ქვანახშირის ამოსაღები ახალი წყაროების გამონახვის დაჩქარებას გვიკარნახებს ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარების ინტერესები. მომავალი წლიდან ამიერ-კავკასიის მრეწველობა სავსებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ადგილობრივი ქვანახშირით.

განათლების მუშაკთა კავშირის ც. საბჭ. გამგეობის მე-7 პლენუმი

დამთავრდა საქ. განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის მე-7 გაფართოებული პლენუმი, რომელსაც გარდა ც. გ. წევრებისა, ესწრებოდნენ კავშირის რაიკომების თავმჯდომარეები და მსხვილ რაიონებიდან კომკავშირის აგიტპროპმუშაკები.

პლენუმმა მოისმინა 1. ამხ. ს. პანიცკიდის მოხსენება და ამხ. მოლოშნის (აჭარისტანის საოლქო გამგეობა) თანამოხსენება საკავშირო მუშაობის გარდაქმნის შედეგებზე.

2. ამხ. შალვა გეგენავას (განსახკომი) მოხსენება და ნ. ძიძიგურის თანამოხსენება (გან. კავშირის (ც. გ.) განვლილ სამოსწავლო წლის შედეგებზე და მომავალი წლისათვის მზადების შესახებ;

3. ამხ. ს. ებრალიძის მოხსენება (განსახკომი) და ამხ. ან. მეზურნიას თანამოხსენება მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალურ მდგომარეობის შესახებ;

4. ამხ. ან. კაპანაძის (კ. კ. ცკა) მოხსენება და სხ. პლენუმის მთელი შემადგენლობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში, რის შემდეგ რამდენიმე საკითხი დამუშავდა სექციური წესით.

პლენუმზე, მიუხედავად თხოვნისა, არ გამოცხადდა თანამოხსენებელი მომარაგების სახ. კომისარიატიდან, აგრეთვე არ გამოცხადდნენ წარმომადგენლები ცეკავშირიდან და ფინსახკომიდან, ასეთი უპასუხისმგებლობისათვის სათანადო პასუხი უნდა მოვთხოვოთ დამნაშავეთ.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები: ც. გ. თავმჯდომარე ამხ. ვ. იმედაძე, მისი წითელ პროფესურაში მივლინების გამო პლენუმი გაანთავისუფლა თანამდებობიდან და ც. გ. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ც. გ. პ. მგ. მდივანი ამხ. აკ. მახათაძე, პ. მგ. მდივნად კი ამხ. ან. მაზურია.

ქრონიკა

— თბილისის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 18, 19, 20 და 21 ივლისს მლაშე ტბის მიდამოებში იწარმოებს სროლა ქვემეხებიდან.

[illegible] ზზა კავკასიის [illegible]

საქართველოს სახკომსაბჭომ განიხილა მის დასამტკიცებლად წარდგენილი საუღელტეხილო რკინის გზის 3 ვარიანტი. საქართველოს სახკომსაბჭო შეჩერდა ორ ვარიანტზე: ბესლან-ახალსენაკისა და დაოკობგორის ვარიანტებზე.

სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაევალა შეაგროვოს ყველა არსებული მასალა ამ ორი ვარიანტის შესახებ და ერთი დეკადის ვადაში წარუდგინოს სახკომსაბჭოს საბოლოო დასკვნის გამოსატანად.

შეღავათები წით. [illegible]ლებსა და პარტიზანებს

საქართველოს სახკომსაბჭომ დაავალა მომარაგების სახალხო კომისარიატს—დასვას საწყებო ხაზით საკითხი იმის შესახებ, რომ ყოფ. წითელგვარდიელები და წითელი პარტიზანები სამრეწველო საქონლით და პროდუქტებით მომარაგების მხრივ გაუთანასწორონ პირველი კატეგორიის მუშებს („ა" ჯგუფს). ცეკავშირს წინადადება მიეცა—მიიღოს ზომები ყოფ. წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანებისა და მათი ოჯახების მისაწოდებლად დახურულ განაწილებებზე.

რძის პროდუქტების დამზადება

რძის პროდუქტების დამზადება დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. 1 ივლისისათვის კარაქის დამზადების გეგმა ამიერ-კავკასიაში შესრულებულია მხოლოდ 13,3 პროც. დამზადებულია 958 ცენტნერი. სახელდობრ აზერბეიჯანში კარაქის დამზადების გეგმა შესრულებულია 11,7 პროც., სომხეთში—19 პროც. და საქართველოში—11,1 პროც. ყველი ამიერ-კავკასიაში დამზადებულია 8.932 ცენტნერი (გეგმის 15 პროც.), რძე—96.625 ცენტნერი (გეგმის 27,3 პროც.).

გარდა ამისა, რომ წლიური გეგმის შესრულების პროცენტი დაბალია, უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლის იმავე პერიოდთან შედარებით—რძის პროდუქტების დამზადება 50 პროც. შემცირდა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია—რძის პროდუქტების ამ მთავარმა დამამზადებელმა, ვერ გაშალა მუშაობა საჭირო ტემპებით, მაშინ, როდესაც რძის პროდუქტებით სპეკულიაციას ყველგან აქვს ადგილი. სხვა და სხვა სავაჭრო ორგანიზაციები, როგორც მაგალითად, „მთიდი" ყიდულობენ და ყიდიან რძის პროდუქტებს სპეკულიატიურ ფასებში, ჰყიდიან ბაზარზე აგიოტაჟს და შლიან დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობას. განსხვავება დამამზადებელ ფასებსა და ბაზრის ფასებს შორის 600 პროცენტს აღწევს. დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მატყლის დამზადება

1931 წლის გაზაფხულის მატყლის დამზადების გეგმა ამიერ-კავკასიაში 1 ივლისისათვის შესრულებულია 74 პროც. დამზადებულია 2.198 ტონა. აქედან აზერბეიჯანში დამზადებულია 1.259 ტონა—გეგმის 91 პროც., სომხეთში—161 ტონა—443,6 პროც. და საქართველოში 686 ტონა—62,9 პროც.

კვერცხის დამზადება

ა.-კ. მომარაგების სახ. კომისარიატის ცნობებით 1 ივლისისათვის ამიერ-კავკასიაში დამზადებული იყო 10.030 ყუთი კვერცხი (ყუთში—1.440 ცალი) ე. ი. გეგმის 36,2 პროც. აზერბეიჯანში დამზადებულია 291 ყუთი—გეგმის 18,2 პროც., სომხეთში 3.161 ყუთი—44,6 პროც., საქართველოში 5.574 ყუთი—41,3 პროც.

ფრინველის დამზადება

ფრინველის დამზადების გეგმა ამიერ-კავკასიაში 1 ივლისიდან შესრულებულია 35,7 პროც. დამზადებულია 211.100 ცალი. აზერბეიჯანში დამზადებულია 39.200 ცალი, გეგმის 35,8 პროც., სომხეთში 21.900 ცალი—14,6 პროც., საქართველოში — 157.000 ცალი, გეგმის 44,8 პროც.

სხვადასხვა

— **კახელ გლეხების მომღერალთა გუნდი.** 25 ივლისს თბილისში ჩამოვა კახელ გლეხების მომღერალი გუნდი მიხა ჯილაურის ხელმძღვანელობით.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორისა და სამრეწველო რაიონების მუშაობისათვის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მობილიზაციის შესახებ

რათა სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორისა და სამრეწველო რაიონების კვალიფიციური სამკურნალო-სასანიტარო და პროფილაქტიური დახმარების საქმე გაუმჯობესებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან და სამედიკო-სასანიტარო შრომის დარგში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, აღნუსხოს, ერთი თვის ვადაში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში და სამრეწველო რაიონებში სამუშაოდ გაგზავნისათვის, ის კვალიფიციური სამედიცინო მომუშავენი (ექიმები, კბილის ექიმები, ფერშლები, სამედიცინო დები, ფარმაცევტები), რომლებიც ქ. ტფილისის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებებში მუშაობენ და რომელთა მობილიზაციისათვისაც ამა დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, დაბრკოლება არ არსებობს.

2. 1-ლი მუხლის წესისამებრ აღნუსხული სამედიცინო მომუშავენი გაიგზავნებიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი განაწილებს მათ საგეგმო წესით სათანადო სამუშაოებზე სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში და სამრეწველო რაიონებში.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული სამედიცინო მომუშავენი მობილიზებულ უნდა იქნენ ვადით ერთ წლამდე. მობილიზაციის დაწყებისა ვადად ჩაითვლება მათი სამუშაოზე გაგზავნის მომენტი.

4. მობილიზებულ სამედიცინო მომუშავეთ შეუნარჩუნდებათ წინანდელი სამსახურის სამუშაო ხელფასი სამი თვის განმავლობაში დღიდან მათთვის სამუშაოზე გაგზავნის განკარგულების ჩაბარებისა.

5. მობილიზებულ სამედიცინო მომუშავეთა სამუშაოზე გაგზავნის ხარჯს, შრომის კანონთა კოდექსის 82¹ მუხლის თანახმად, აანაზღაურებს ის დაწესებულება და ორგანიზაცია, სადაც დანიშნულია მომუშავე.

6. მობილიზებულ მომუშავეთა სამუშაო ხელფასი ახალი სამსახურისათვის არ შეიძლება იყოს იმ ჯამაგირზე ნაკლები, რასაც იგი იღებდა წინანდელი ძირითადი სამსახურის თანამდებობაზე შეთავსებით მიღებული საზღაური ანგარიშში არ ჩაითვლება.

მობილიზებული სამედიცინო მომუშავენი სამუშაოზე გაგზავნის დროს მიიღებენ კომპენსაციას [illegible] შვებულებისათვის საერთო წესისამებრ.

7. მობილიზებულ არ უნდა იქნენ: ა) ინვალიდები, რომელნიც წარადგენენ ინვალიდობის სათანადო მოწმობას სამკურნალო ექსპერტიზის ბიუროსას; ბ) ის მარტოხელა პირები, რომელთაც ჰყავთ თავიანთ მზრუნველობაზე [illegible] შვილები ასაკით ორ წლამდე; გ) იმ პირთა ცოლები, რომელნიც მუდმივ ქ. თბილისში ცხოვრობენ; დ) ის პირები, რომელნიც, სამი წლის განმავლობაში სოფლად მუშაობის შემდეგ, გადაყვანილ არიან ქ. თბილისში ჯანმრთელობის ორგანოების მიერ.

8. ამა დადგენილების წესით მობილიზებულთა შეუნარჩუნდებათ მობილიზაციის განმავლობაში მთლად ის საცხოვრებელი ფართობი, რაც უჭირავთ თვით მათ და მათ ოჯახებს, იმისდამიუხედავად დარჩებიან მათი ოჯახის წევრები ძველ საცხოვრებელ ადგილას თუ გაჰყვებიან მობილიზებულთ.

9. მობილიზებული სამედიცინო მომუშავენი, მობილიზაციის ვადის დამთავრებისას, ბრუნდებიან თავიანთ წინანდელ [illegible] სამსახურის თანამდებობაზე.

10. იმ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია მობილიზებულთა თბილისში გადაყვანასთან მობილიზაციის ვადის გასვლისას, გაიღებენ მე-5 მუხლში გათვალისწინებული დაწესებულებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე: **ლ. სუხიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 4.
თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტ. პროპ. განყოფილება განმეორებით აცხადებს, რომ დღეს, 17 ივლისს, დღის 2 საათზე თბილისის კომიტეტის კულტპროპ განყოფილებაში (ოთახი № 11) შესდგება მეთოდბიუროს სხდომა. სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ (დაუგვიანებლად) შემდეგ ორგანიზაციების წარმომადგენლები: ცეკას პარტმუშაობის კომისიის გამგე, კომკავშირის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და თეორიული სწავლების განყოფილების გამგე, საქართველოს პროფსაბჭოს კულტსექტორის გამგე და შემდეგი ამხანაგები: მაიერი (კავკასიის წ.-დროშიანი არმიის პოლიტსამმართველო), ბარნაბოვი (ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის პარტკომის კულტპროპი), ტატლიევი (დეპოს პარტკომის კულტპროპი), ჯავახიძე (ტრამვაის პარტკომის კულტპროპი) და „26" კომუნარის სახელობის ქარხნის და თამბაქოს ფაბრიკის კულტპროპის გამგეები.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ლაზარეტი ძიძიგურს (რკ. გზის ტექნიკუმი) სასწრაფოდ გამოცხადდეს 16 ივლისს ამხ. მდივანთან (ოთახი № 11).

—:—

თბილისის კომიტეტის კულტ. პროპ. განყოფილება აცხადებს, რომ ლენინგრადის აღმოსავლეთის ინსტიტუტში არის 7 თავისუფალი ადგილი, წითელ პროფესურის ინსტიტუტისთვის მოსამზადებელ სასწავლებლის ბაქოს განყოფილებაში — 6 ადგილი, ბაქოს ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში—1 ადგილი, სვერდლოვის უნივერსიტეტში—4 ადგილი, იქვე ასპირანტურაში—1 ადგილი, ლენინგრადის ცენტრ. კომუნისტურ უნივერსიტეტში 2 ადგილი, წითელ პროფესურის ინსტიტუტის აგრარულ განყოფილებაზე—5 ადგილი.

ის პირნი, რომლებსაც სურთ აღნიშნულ სასწავლებლებში შესვლა, უნდა გამოცხადდნენ საქართველოს კ.პ. (ბ) თბ. კომ. კულტპროპგანყოფილებაში ამხ. პლიევთან (ოთახი № 11).

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ ამხ. აივაზოვთან ოთახი № 20: არმენაკ ოგანეზოვი, ათანაზე დოლიძე, აკაკი მამალაძე, გაბრიელ კალანდაროვი, ანტონინა რადოვიჩი, სერგო კარაშევი, სუსანა სარქისიანი, გიორგი შალიბაშვილი, ალ. გრიგორიანი, კარაპეტ გაგიაზაროვი, მაკალია სხილაძე, ალ. სარქისოვი, მარიამ ბენიამინოვი, სუბარსკი-ბასლეევი, გრიგოლ გოსპარგეევიჩი, ვლ. ხარიბაშვილი, ნაუმ ვიჩენკო, გიორგი კაპანაძე, ელენა ჯებლაძე, პანტელეიმონ ქიქავა, აკაკი ძიძიგური, ბაქრაძე, შენგელია ანგელინა, გრიგოლ ნანეზოვი, შ. კასრაშვილი, გურგენ იაკუბიანი, კადა-ზადე, მამინოვი, ალ. კამანდაშვილი, მირზა მირზოევი, ლევ პისარევსკი.

საქ. კ.პ. (ბ) აგიტმასის განყოფილება აცხადებს, რომ სამკუთხედების კრება შვიდ საათიან სამუშაო დღისა და განუწყვეტელი კვირის შესახებ, რომელიც დანიშნული იყო 15 ივლისს, საღამოს 6 საათისათვის გადადებულია და შესდგება 19 ივლისს, საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის ბინაზე (ოთახი № 9).

პარტკალენდარი [illegible]

დღეს პირველ საათზე საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება ნაბეჭდი და საფაბრიკო-საქარხნო გაზეთების რედაქციების თათბირი.

დღის წესრიგში სდგას საჰაერო ფლოტის ათდღიურის ჩატარების საკითხი.

სავალდებულოა ქვემოდ დასახელებული ამხანაგების დასწრება: გრიგორიანი („ზარია ვოსტოკა"), ასრიევი („მ. რ."), კაჭაძე („კომუნისტი"), მახათაძე („მუშა"), ბუაჩიძე („კოლექტივიზაცია"), მეგლაძე („ახ. კომ."), იბრაგიმოვი („ენი კენდ"), ვართანიანი („პროლეტარი"), ბედენაშვილი („ნაშ გუდოკ"), ცხაკაია (რადიო-გაზეთი), „ბიუგელი"-ს რედაქტორი, აღმასკომის, თავდაცვა-ავიაქიმის და ავტოგზის პასუხისმგებელი წარმომადგენლები, „პრავდა"-ს კორესპონდენტები და ამხ. თომა სიხარულიძე.

—:—

დღეს, დილის 11 საათზე ცეკას აგიტმასიურ განყ. უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: 1. ქავჟარაძე (8 შრომის სკოლა), 2. გუმბათაშვილი მარო (განათლების მუშაკთა კავშირი), 3. ბერიძე შუშანა (ყოფ. 33 სკოლა), 4. მაისურაძე მარო (ბუფეტების ბაზა).

ც.კ. აგიტმასიური განყოფილების მდივანი **მაჩაიძე.**

ა/წ. 6 ივლისიდან
დაიწყო მუშკოოპის საგარეუბნო მეურნეობის პერიფერიული ორგანოების (დიღომი, სოღანლუღი, კრწანისი, მესხეური, წეროვანი და სამტრედია) თანამშრომელთა
საჯარო წმენდა
ამხ. ვ ისაკაძის თავმჯდომარეობით. ვთხოვთ მოგვაწოდოთ მასალები წმენდის კომისიის მდივანს ამხ. ლეჟავას მუშკოოპის სამმართველოს ოთახი № 34.
წმენდის კომისია
3—3 1017

საზაფხულო ეთერი (ხალ ოპერის ბაღში)
პირვ. სეანსის დასაწყისი 9 ს.

საზაფხულო დარბაზი
1 სეან დასაწ. 9 ს., 11—10 ს. 45 წ.

პრემიერა ხაბარდა!
პოლიტ-პამფლეტი
ს. ტრეტიაკოვის და მ. ჭიაურელის სცენარით.
რეჟისორი—მიხეილ ჭიაურელი, ოპერატორი—ანტონ პოლიკევიჩი.
„სოიუზკინო"-ს [illegible] საქ. სახკინმრეწვის ტრესტის ნაწარმოები.

სახალხო სახლ. კლუბის კინო
(ყ. პალასი)
1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.

დადგმის მეორე კვირა
სომხეთის ჰაჭი და ჰაკაშონი სურათში
შორი და შორ-შორი
რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი.

ამ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს 6 ივნისის დადგენილების № 169 და ამ. ს. ფ. ს. რ. ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის 24 ივნისის № 252 დადგენილების

საფუძველზე მომარაგების და გასაღების ორგანო „ა/კ. მარაგგასაღება" მის სისტემაში შემავალ რესპუბლიკური მარაგვაჭრობებით (საქმარაგვაჭრობა, აზმარაგვაჭრობა, სომხმარაგვაჭრობა და „ა/კ. მომარაგვაჭრობა") გადაკეთებულია ა/კ. ს ფ ს. რ. მთელი სახალხო მეურნეობის მომარაგებისა და გასაღების მთლიან ფედერატიულ ორგანოდ, რომელიც ა/კ. ს მ.უ საბჭოს გამგებლობაშია

ა.კავ. მარაგგასაღება

ა/კ ს ფ. ს რ სახალხო მეურნეობის მთელი განსახელმწიფოებული სექტორის საშენი მასალით და სამრეწველო-ტექნიკური მნიშვნელობის საქონლით მომარაგების და ა/კ სახალხო მეურნეობის პროდუქციის გასაღების ფუნქციებით.

საქმარაგვაჭრობა, აზმარაგვაჭრობა სომხმარაგვაჭრობა და ამარაგვაჭრობა უერთდებიან „ა/კ. მარაგგასაღებას" 1931 წლის 1 ლი ივნისის ბალანსით.

გაუქმებულ რესპუბლიკანური მარაგვაჭრობათა ნაცვლად ეწყობა ა/კ მარაგგასაღების რესპუბლიკანური კანტორები, რომლებიც ოპერატიულად ექვემდებარებიან „ა/კ მარაგგასაღების" გამგეობას და რომლებიც მოქმედებენ შინაგანი სამეურნეო ანგარიშის საფუძვლებზე, ამ ფილიალებს ეკისრებათ მათ ტერიტორიაზე რესპუბლიკური მარაგვაჭრობათა მიერ დადებულ [illegible] ვალდებულებათა და გარიგებათა მიხედვით უფლებებათა და ვალდებულებათა შესრულება.

რესპუბლიკანურ კანტორებს ეკისრებათ ა/კ მარაგგასაღების წარმომადგენლობა ხელმძღვანელ და მომწესრიგებელ ორგანოებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგების მომარაგების გეგმების შედგენაზე, ამიერ-კავკასიის და საკავშირო ორგანიზაციების მომარაგება ყველა სახის სამრეწველო და საშენი მასალით, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ფონდების განაწილება, აგრეთვე ადგილობრივ საშენი მასალისა და ადგილობრივი წარმოების სხვა არა დასაგეგმი და არა [illegible] საქონლის დამზადება და განაწილება ყველა სამომხმარებლო ორგანიზაციებს შორის.

ფართო მოხმარების სამომხმარებლო [illegible] საქონლით მომარაგების ყველა ოპერაციები გამოყოფილია ა/კ მარაგგასაღების სისტემის ორგანოების გამგებლობიდან და გადაეცა ახლად მოწყობილ სახელმწიფო საცალო ვაჭრობის „ა/კ. ვაჭრობის" სისტემის და რესპუბლიკანურ საცალო ვაჭრობის ორგანოებს.

აცნობებს რა ყოველივე ამას ყველა დაინტერესებულ დაწესებულებებს და საწარმოებს, ა/კ. მარაგგასაღების გამგეობა სთხოვს მომარაგებისა და გასაღების ყველა საკითხების შესახებ მიმართონ შემდეგ რესპუბლიკანურ კანტორებს:

საქართველოს კანტორას თბილისში, აზერბეიჯანისას ბაქოში, სომხეთისას ერევანში, აფხაზეთისას სოხუმში და მათ ადგილობრივ განყოფილებებს და სააგენტოებს.

ა/კ მარაგგასაღების გამგეობა.

ნ. 1431

ნ. კონტოროვიჩი
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9 (ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის. ფერის [illegible]. ქორფილის. მეჭეჭის ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის [illegible] სამკურნალო უახლესი აპარატების და ხაზუალებების გამოყენება. მიღება 11-დან
25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „[illegible] ლამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ ორთქლის ვანნები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 14. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძმელაძის შესახვევიდან.
25—6

ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, ბუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას [illegible], აქეროლა, თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. [illegible] ქ. № 22.
3 5464

პ. ი. ჯალალოვი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება: დილით 8—9 ს. საღამოს 6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. ბინის მისამართი: კამოს ქუჩა № 19 ყოფილი დიდი ძთავრის ქ., კარლ მარქსის მოედანის ახლობლად ტელეფონი 1 90 [illegible] 25—8 432

სულ მოკლე ხანში
ვასწორებ ხელს წერაში
რუსულ და ქართულ ენებზე
პროფ. კოსოდოს მეთოდით
ტურგენევის ქუჩა № 4 (მე-9 კომისარიატი) კბილის ექიმის ფონ-ბრენერის ბინა, შესავალი ეზოდან.
2—2 6015

დაიკარგა
9 ივლისს თბილისში შავ-მაზული ვირი
ნიშნები: ნაცრის ფერი, გვერდებზე თეთრი ხალები, მნახველს ვთხოვ მაცნობოს: დიღომი, გიორგი იაშალოვი
6024

მუხის ბუფეტი
სტილიური
სასწრაფოდ იყიდება იაფად
ნახვა შეიძლება საღ. 5 საათიდან. ჩუღურეთი, გონჩარნი შესახვ. № 6.
6040

დებულება
კბილის ექიმების ექიმ-სტომატოლოგებათ
გადასამზადებელი კურსები

მოსახლეობის, გლეხთა და მოსწავლე მასების კბილის სამკურნალო დახმარების აღმოჩენის ამოცანა საქართველოში არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ სტომატოლოგების ახალი კადრებს თბილისის [illegible] სამკურნალო ფაკულტეტის ახლადგახსნილი სტომატოლოგიური განყოფილება [illegible] არ შეუძლია უზრუნველყოს მთელი სამკურნალო პროფილაქტიური დღითი დღე მზარდი ქსელისათვის საჭირო კადრების მომზადება.

ამ რიგად, ჯერჯერობით მომავალში კბილის ექიმები კიდევ დიდ ხანს იქნებიან იმ მთავარ საყრდენად, რომელზედაც უნდა შენდებოდეს საქართველოში საერთო კბილის სამკურნალო დახმარება [illegible] დანიშნულია რომ მშრომელთა კბილის სამკურნალო დახმარების საქმე იმყოფებოდეს მაღალი კვალიფიციური სპეციალისტების ხელში.

1. [illegible] საშუალება მიეცეთ კბილის ექიმებს აწიონ თავისი კვალიფიკაცია იმ დონემდე, რაც მოეთხოვება ექიმ—სტომატოლოგებს, ჯანსახკომთან ეწყობა კბილის ექიმთა გადასამზადებელი სპეციალური კურსები.

2. კურსებზე მიიღებიან ყველა კბილის ექიმები, რომელთაც აქვთ კბილის ექიმის სათანადო მოწმობა, გაცემული უნივერსიტეტის მიერ და რომელნიც აწარმოებენ პრაქტიკას საქართველოს ტერიტორიაზე.

3. მეცადინეობა კურსებზე სწარმოებს სპეციალური ლექციების და დავალებების საშვალებით თანახმად სპეციალურად გამომუშავებულ გეგმისა და პროგრამისა მათთვის დანიშნულ ვადებში.

4. კურსების სასწავლო გეგმასა და პროგრამებს ამტკიცებს განსახკომი ჯანსახკომისარიატთან შეთანხმებით.

5. კურსებზე მეცადინეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 18 სამოსწავლო თვით ორ ციკლად.

შენიშვნა: გამონაკლისის სახით ჯანსახკომისარიატს შეუძლია ეს ვადა შესცვალოს ზოგ მსმენელთათვის.

6. პირველ ციკლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 6 სამოსწავლო თვით, რის შემდეგ მსმენელები მიმაგრებული იქნებიან თბილისის სამ. მედინსტიტუტზე, სადაც ისინი სამი კვირის განმავლობაში აწარმოებენ პრაქტიკულ მუშაობას სასწავლო გეგმისა და კურსების პროგრამის თანახმად და აბარებენ პირველი ციკლის დამთავრებულ საგნებს.

7. მეორე ციკლის სწავლის ხანგრძლივობა უდრის 2 თვით.

8. მეორე ციკლის საგნების განვლის დროს კლინიკურ მასალების პრაქტიკულად დასამუშავებლად, მსმენელები მიემაგრებიან სათანადო საავადმყოფოებზე, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით [illegible] ჯანინსპექტორთან შეთანხმებით. კურსების მსმენელები საავადმყოფოებში მკურნალობენ ავადმყოფებს, სწავლობენ მათ, არიდებენ ავადმყოფობის ისტორიას და სხ. სპეციალურ პროგრამით და სამისოდ [illegible] საავადმყოფოს ექიმების ხელმძღვანელობით.

წესი და ხასიათი ამ მეცადინეობისა დაწესებულ იქნება სპეციალური ინსტრუქციით.

9. ციკლის მეორე კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელები კვლავ მიემაგრებიან თბილისის მედინსტიტუტზე, სადაც ისინი ოთხი კვირის განმავლობაში აწარმოებენ პრაქტიკულ მუშაობას ამ ციკლის სპეციალურ საგნებში და აბარებენ მეორე ციკლის ყველა საგნებს.

10. როგორც პირველის, აგრეთვე მეორე ციკლის საგნების ჩაბარების წესი და ხასიათი დაწესებული იქნება სპეციალური ინსტრუქციით.

11. კურსების სასწავლო, აგრეთვე საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობა ეწყობა გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: 1) კურსების დირექტორი იგივე გამგეობის თავმჯდომარე რომელიც ინიშნება ჯანსახკომის მიერ, 2) მედსანშრომის კავშირის წარმომადგენელი, 3) თბილისის ოდონტოლოგიური საზ-ბის წარმომადგენელი, 4) ჯანსახკომისარიატის კბილის სამკურნალო ნაწილის წარმომადგენელი (კონსულტანტი), 5) თბილისის მედინსტიტუტის წარმომადგენელი.

12. კურსების მთელი მეთოდოლოგიური მუშაობა ხელმძღვანელად გამგეობასთან არსდება მეთოდკომი ყველა მასწავლებლების შემადგენლობით.

13. კბილის ექიმებს, რომელთაც სურთ კურსებზე შესვლა, შემოაქვთ გამგეობაში ამის შესახებ სათანადო განცხადება შემდეგი საბუთებით: 1) უნივერსიტეტის მიერ მიცემული დიპლომი, ან კბილის ექიმის წოდების მოწმობის ასლი, 2) სამსახურის ცნობა, 3) ცნობა სტაჟის შესახებ და ორი ფოტოგრაფიული სურათი.

14. კურსებზე ჩარიცხულ კბილის ექიმები, რომელნიც იმყოფებიან სამსახურში, მედინსტიტუტში პრაქტიკული მუშაობის გატარების დროს, უნდა განთავისუფლებულ იქნან სამსახურის მოვალეობისაგან ხელფასის შენახვით.

15. კურსებზე ჩარიცხულთ შემოაქვთ სწავლის გადასახადი შემდეგი რაოდენობით: პ/კავშირის წევრ კბილის ექიმებს—150 მანეთი მთელი კურსისათვის, ბ/არა კავშირის წევრებს კბილის ექიმებს—200 მანეთი. სწავლის ფული შემოაქვთ თანაბარ ნაწილებით წინდაწინ ხუთ ვადაში—რომელსაც დააწესებს გამგეობა.

16. კურსების დამთავრების და მედინსტიტუტში სასწავლო გეგმის და ყველა საგნების ჩაბარების შემდეგ მსმენელები მიიღებენ სათანადო მოწმობას ექიმ—სტომატოლოგების სახელწოდებით იმის თანახმად, როგორც ეს ეძლევათ მედინსტიტუტის სამკურნალო—პროფილაქტიურ ფაკულტეტის სტომატოლოგიურ განყოფილების კურსდამთავრებულ ექიმ—სტომატოლოგებს.

ჯანსახკომის მოადგილე **მამულია.**
ჯ. ს. კ. კადრების სექტორის გამგე **მჟავანაძე.**
კბილის სამკურნალო ნაწილის გამგე **მარგველაშვილი.**

ნ. 1434

ს. ს. რ. ქ. ს მ. უ. საბჭოს [illegible]

ამიერ-კავკასიის რაიონული ხ[illegible]მართველო („ზაკენერგო"), თბილისი, ლენინის ქ., № 11, მე-3 სართული. თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს 19. 5 წ 30 VI დადგენილებისა, საბჭ. კავშირის ს. მ. უ. საბჭოს 17/III—7 წ. № 1057 ბრძანებისა და [illegible] 3 V 31 წ. № 174 ბრძანების „ზაკენერგო"-ს [illegible] ელექტრომშენებლობა, რომლის [illegible]:

1. არსებულ ელექტროსადგურების და ელექტრომშენებლობათა და იმ [illegible] ამიერ-კავკასიის [illegible] კომისარიატის და „სოიუზენერგო"-ს ელექტროსადგურების [illegible].

2. იმ ელექტროსადგურების და მშენებლობათა პროექტების განხილვა, რომლებიც შენდება ამ ფართობებზე და შესაფერი მოწმობების [illegible].

შენიშვნა: 500 კილოვატამდე დადგმულობათა პროექტებს განიხილავს და [illegible]; 500 და 6000 კილოვატამდე დადგმულობათა პროექტებს განიხილავს და [illegible] „ზაკენერგო"; პროექტებს დადგმულობათათვის 6.000 კილოვატს ზევით განიხილავს „ზაკენერგო" და დაამტკიცებს ენერგოცენტრი.

3. ცენტრალური სადგურების ქვესადგურების და [illegible] ხაზების ელექტროსადგურების [illegible] გამოკვლევა, აგრეთვე ელექტროსადგურების [illegible] როგორც მათ ელექტრო და ჰიდროტექნიკურ ნაწილში, ისე ტექნიკური [illegible] შესაბამისობის [illegible] და ნორმების და [illegible] პროექტებს

4. მოწყობილობის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ ობიექტების ტექნიკურ მიღებანი.

5. მოწყობილთა მომსახურეობის ელექტროსადგურების და დადგმულობათა პერიოდული გამოკვლევა როგორც ელექტრომოწყობილობა, ისე თბოსადგურში ამ ობიექტის ექსპლოატაციის [illegible] ხელის შეწყობის და [illegible] წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

6. უფასო კონსულტაციის მიცემა საწარმოთათვის და ამ უკანასკნელთა [illegible] ენერგოეკონომიის საკითხებს და ენერგოყულებების [illegible] საკითხებში [illegible] (ამ შემთხვევებში გასახადები საბჭოდან). კონსულტაცია სწარმოებს ყოველ დღე გარდა დღესასწაულის მე-2 და მე-7 დღისა 2 საათიდან 3 საათამდე „ზაკენერგო"-ს შენობაში.

ნ. 1430 „ზაკენერგო".

კბილის ექიმების
ექიმ-სტომატოლოგებათ გადასამზადებელი კურსების
დირექცია

აცნობებს ყველა საქართველოში მომუშავე კბილის ექიმებს, რომ ჯანსახკომმა გახსნა

კბილის ექიმების ექიმ-სტომატოლოგებათ გადასამზადებელი კურსები

განცხადებები მიიღება ჯანსახკომის კანცელარიაში ოთახი № 21 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე, განცხადებას თან უნდა დაერთოს:
1. სახ. უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომის [illegible] წოდებაზე.
2. ცნობა სამსახურის შესახებ.
3. ცნობა სტაჟის შესახებ.
4. ორი ფოტოგრაფიული სურათი.

პირველი გადასახადი კავშირის წევრთათვის 30 მან. და არა კავშირის წევრთათვის 40 მან.

2—1 **კურსების დირექცია** ნ. 1435

ლენინის სახელობის საბ. საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა აცხადებს, რომ 18 ივლისს, 7 საათზე, საღამოს, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში (რუსთაველის პრ.)

დანიშნულია ამხანაგობის წევრების საერთო კრება

თუ ვინიცობაა პირველი კრება 7 საათზე არ შესდგა მეორე კრება დანიშნულია 8 საათზე რამდენიც წევრიც არ უნდა დაესწროს კრება ჩატარებული იქნება.

დღის წესრიგი:
1. გამგეობის წლიური ანგარიში და სარევიზიო კომისიისა.
2. არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის.
3. მიმდინარე საკითხები.

6056

---

18 ივლისიდან
რევოლ. კინოს მუშაკთა ასოციაციის სამეცნიერო და სახელოვნებო სამხატვრო კოლეგიათა
— ჩაატარებენ —
შემოქმედებითი დისკუსიის ერთთვიურს კინემატოგრაფიის საკითხების შესახებ
18 ივლისს, ხელოვნების სასახლეში, საღამოს ზუსტად 8 საათზე შესდგება მოხსენება
ფილმის „ხაბარდა"-ს მეთოდოლოგიის შესახებ
მომხსენებელი ამხ. ა. დუდუჩავა.
მოხსენების თეზისების მიღება შეიძლება სახკინმრეწვში.
2—1

დამწუხრებულნი მაიამ და სასო ასათიანები შვილებით: ელენე, ვლადიმერ, ლეონიდე, [illegible] და რძალი ქეთო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი რძალი, უსაყვარლესი ბიცოლა
ასინა ნანეიშვილი ასათიანისა
გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან დღეს, 17 ივლისს, 6 საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 6038

შვილი ფენია, სიძე ნიკოლოზ [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი
ასინა ნანეიშვილი ასათიანისა
გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან დღეს, 17 ივლისს, 6 საათზე. 6038

ფოთში მწუხარებაში მყოფი მეუღლე ეპრაქსია, რძალი ქრისტინა, [illegible] აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა [illegible]
ალექსანდრე ნიკოს-ძე ხოშტარია
დაკრძალვა ფოთში პარასკევს 17 ივლისს, 5 საათზე, გამოსვენება ნიკოლაძის ქ. № 105. 2—2 6149

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ალექსი, შვილი სტეფანე, რძალი [illegible] აუწყებენ [illegible], რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი
კესარია ვაჩას-ასული უჩანეიშვილი კალანდარიშვილისა
დაკრძალულ იქნა 8 ივლისს, ქ. ახალ სენაკში 6054

დამწუხრებულნი შვილები: [illegible] სოთიო და [illegible] აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და ძვირფასი დედა
მინადორა დიმიტრის ასული ტატიშვილი
სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, გამოსვენება შაბათს, 18 ივლისს, 4 საათზე, ტოლსტოის ქ. (ყოფ. მიმოსვლისა), № 6, ქ. მარქსის მოედანთან. 6030

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ბაგრატი, თამარა, მამიდა ნადია [illegible] აუწყებენ [illegible] რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი პაწია
მიშუშა (ხუნტული) ბაგრატის-ძე ზარქუას
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ბინიდან პლეხანოვის ქ., № 93, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 6033

მეუღლე ალექსანდრე, შვილები: ფენია, მიშა, ლეგა და გიორგი ასათიანები, სიძე ნიკო ჯვარშეიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის [illegible]
ასინა თეიმურაზის ასული ნანეიშვილი ასათიანისა
გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურიდან დღეს 6 საათზე დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, თბილისში. 6028

სახელგამის გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № [illegible]